სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართველური ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მარინე კაკაჩია ქეთევან მარგიანი მარინა ჯღარკავა

ქართველურ ენათა სემანტიკა-სემასიოლოგიის საკითხები

თბილისი 2018

ნაშრომში განხილულია ქართველურ ენათა სემანტიკა-სემასიოლოგიის ცალკეული საკითხები მეგრულის, ლაზურის, სვანურის მდიდარი ემპირიული მასალის საფუძველზე.

რედაქტორი: პროფ. **მერაბ ნაჭყებია**

რეცენზენტები: პროფ. **თამილა ზვიადაძე**
პროფ. **მედეა საღლიანი**

ავტორები მადლობას უხდიან აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერისათვის.

© მარინე კაკაჩია, ქეთევან მარგიანი, მარინა ჯღარკავა, 2018

ISBN 978-9941-25-553-3

წინასიტყვაობა

ფასდაუდებელია დამწერლობისა და მწერლობის მნიშვნელობა ცალკეულ ეროვნებათა, თუ ეთნოსთა ლინგვოკულტუროლოგიური შესწავლის თვალსაზრისით. უპირველეს ყოვლისა, უძირითადესი როლი ენიჭება სახელმწიფო (სალიტერატურო) ენას, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ცოცხალი მეტყველების კვლევა ნაკლები ღირებულებისაა! არა მხოლოდ არქაულ ლექსემათა, თუ გრამატიკულ მოვლენათა შემონახვის თვალსაზრისით, არამედ არაკანონიკურ, არანორმირებულ, თავისუფალი განვითარების მქონე უმწერლობო ენებსა თუ დიალექტ-კილოკავებს უდიდესი ღვაწლი შეიძლება ჰქონდეთ უნივერსალიათა თუ „ენების ფილოსოფიურ-თეორიული პრობლემების გადასაწყვეტად“ (ვ. ჰუმბოლდტი).

პროფესორ ი. ჩანტლაძეს დავესესხებით: შემთხვევითი არაა, რომ თავის დროზე ნიკო მარი საგანგებოდ აღნიშნავდა: საქართველო **ცოცხალ საენათმეცნიერო მუზეუმს წარმოადგენსო**. თავი რომ დავანებოთ არამონათესავე ენებს, საქართველოს ენობრივი სამყაროს საოცარი სიმდიდრის საჩვენებლად მარტო ქართული ენის 17, ქართველურ ენათა (სვანური, მეგრული, ლაზური) 10 დიალექტის დასახელებაც იკმარებდა.

საუკუნის წინ ითქვა დიდებული რამ ნიკო მარის მიერ: „ვფიქრობდი, რომ სინას მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცული უძველესი ქართული დათარიღებული ხელნაწერი 864 წლისა მომცემდა ქართული ენის უძველეს სახეს, მაგრამ იმედი გამიცრუვდა და განცვიფრებულიც დავრჩი: **ძველი სამწერლობო ენა არ აღმოჩნდა იმდენად არქაული**, რამდენადაც ვფიქრობდი; პირიქით, ის ამტკიცებდა ცოცხალი ქართული მეტყველების ბევრ თავისებურებათა კანონიერებასა და სიძველეს“ (მარი).

წერილობით ძეგლებს, თუნდაც უძველესთ, არ შეუძლიათ გასწიონ ხალხური ცოცხალი ენის მაგივრობა. ისინი ვერ წარმოადგენენ მთელი სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით ენის ფორმებსა და ფუნქციებს. ამისათვის მეტად მნიშვნელოვანია ისეთი ენების შესწავლა, რომლებიც ქმნიან მეტყველების ფორმების თავისუფალი განვითარების აუცილებელ პირობებს და შებოჭილი არ არიან ლიტერატურის საქმეში ჩარევით. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იდიომები ქართული (ქართველური) ტომების: სვანებისა და მეგრელ-ლაზებისა, რომლებშიც **ენა ცოცხლობს ჯერ კიდევ თავის ბუნებრივ – მუდმივი წვის მდგომარეობაში და სწორედ ამ ენებს უნდა მივაქციოთ ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება, თუკი გვინდა წარმოვადგინოთ ქართული ენის ნათესაობა და განვითარება** (ა. ცაგარელი).

ქართველურ ენათა შედარებითი კვლევა ქართველოლოგიურ ლინგვისტიკაში მემკვიდრეობით გადმოცემული ამოცანაა. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის საფუძველი წინა თაობის მეცნიერთა მიერ არის მომზადებული. ამ საკითხს დღესაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

ნაშრომი „ქართველურ ენათა სემანტიკა-სემასიოლოგიის საკითხები" წარმოადგენს ქართველურ ენათა – მეგრულის, ლაზურისა და სვანურის – ლექსიკოლოგიის, სემანტიკა-სემასიოლოგიის ცალკეული თემებისა და საკითხების შესწავლის მოკრძალებულ ცდას;

საანალიზო სვანური ბალსზემოური მასალა ამოკრებილია ძირითადად სვანური ენის ქრესტომატიიდან, სვანური პროზაული ტექსტებიდან (ტ. I ბალსზემოური კილო), კოდორული ქრონიკებიდან; მეგრულ-ლაზური მასალაც ამოკრეფილია გამოცემული ლექსიკონებიდან და ტექსტებიდან; უხვად არის წარმოდგენილი და მაქსიმალურად არის გათვალისწინებული ცოცხალი

მეტყველების ნიმუშები სამეცნიერო ექსპედიციებისა და საველე მუშაობის დროს მოპოვებული მასალების სახით.

ვფიქრობთ, რომ ემპირიულ მასალზე დაფუძნებულმა გამოცემამ ახალი, ლინგვისტურად საინტერესო ფორმებითა და ფაქტებით უნდა გაამდიდროს ქართველური ენების ლექსიკურ-სემანტიკური ფონდი. აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ ავტორებს – მარინე კაკაჩიას, ქეთევან მარგიანს, მარინა ჯღარკავას – აქვთ ქართველურ ენებზე სალექციო, სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, იმავდროულად, გარკვეული სამუშაოები აქვთ ჩატარებული ქართველური ენების მორფოსინტაქსის საკითხებზე, დევნილთა მეტყველების შეკრების, პუბლიკაციისა და შესწავლის თემატიკაზე.

ავტორთა მრავალწლიანი გარჯისა და შრომის მიუხედავადაც კი თემატურად საინტერესო და დატვირთული წიგნი დღის სინათლეს ვერ იხილავდა, რომ არა აფხაზეთის განათლების სამინისტროს ეგიდით განხორციელებული უკვე მრავალწლიანი პროექტი „აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამა“, რომელმაც არც მეტი და არც ნაკლები, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სასიცოცხლო სული შთაჰბერა არაერთი აფხაზეთელი ქართველისა, და, ზოგადად, დევნილ მეცნიერთა ნააზრევსა და ნაჯაფარს.

ავტორები მადლიერებით მიიღებენ და სამომავლოდ გაითვალისწინებენ ქართველოლოგთა, განსაკუთრებით კი ქართველური ენების მკვლევართა, სპეციალისტთა, ქომაგთა, გულშემატკივართა ყველა სახის შენიშვნას, რჩევას, რეკომენდაციას.

ენა არის სმენით (აკუსტიკურად) და მხედველობით (ოპტიკურად) აღქმადი ნიშნების სისტემა.

ენობრივი ნიშნების შინაარსობრივ მხარეს სემანტიკა არკვევს. მისი ძირითადი კატეგრიაა „მნიშვნელობა". სემანტიკის ბუნების გასაცნობად საჭიროდ მიგვაჩნია ენობრივი ნიშანი წარმოვადგინოთ სემანტიკურ ჭრილში და მისი ანალიზის საშუალებით გამოვკვეთოთ უმნიშვნელოვანესი სემანტიკური ერთეულები. ენობრივი ნიშნების ზემოთ მოცემული დახასიათების შინაარსისაგან განყენებით აქ შევთანხმდეთ, რომ ენობრივი ნიშანი არის სემანტიკური ანალიზის ბაზისური ერთეული დ ის არ უნდა გავიგოთ არც სიტყვის და, მით უფრო არც ცალკეული ასოს ანალოგიით. ზოგიერთ შემთხვევაში ენობრივი ნიშანი შეიძლება დაემთხვეს ცალკეულ სიტყვას, ზოგიერთ შემთხვევაში კი მთელ ფრაზას. ყველა შემთხვევაში ენობრივი ნიშანი იმგვარი სემანტიკური ერთეულია, რომლის შემდგომი აზრიანი დანაწევრება აღარ შეიძლება (მამუკა ბიჭაშვილი).

სემანტიკა (sēmantikos – მნიშვნელობის მქონე) იგივეა, რაც სემასიოლოგია; სემასიოლოგია – (ბერძნულად sēmasia – მნიშვნელობა და logos მოძღვრება) – ლექსიკოლოგიის დარგია (განშტოებაა), რომელიც შეისწავლის სიტყვის მნიშვნელობას (საგნობრივ მიმართებას), მის აგებულებას და დროში ცვალებადობას. ზოგჯერ სემასიოლოგია უფრო ფართოდაც ესმით. როგორც სიტყვის შინაარსეული მხარის შემსწავლელი მეცნიერება სემასიოლოგია ფართო გაგებით შეისწავლის გრძნობით ელფერს, სტილისტურ თავისებურებებს.

სემანტიკური პრობლემები განიხილებოდა ფილოსოფიური აზრის მიერ ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან. დისკუსიები სი-

ტყვის მნიშვნელობასა და მის დამოკიდებულებაზე ყოფიერებასა და ცნობიერებაზე, რომლებიც იმართებოდა ანალოგისტებისა და ანომალისტების მიერ უძველეს საუკუნეებში და ნომინალისტების, რეალისტებისა და კონცეპტუალისტების მიერ შუა საუკუნეებში. ასეთი იყო სწავლება სიტყვის მნიშვნელობის ცვლასა და კონტექსტზე დამოკიდებულებაზე სქოლასტიკაში, ასეთივე პრობლემები წამოიჭრა ცნობიერების ენობრივი გამომსახველობის ადექვატურობასა და წინააღმდეგობებს შორის მე-17-18 საუკუნეების ფილოსოფიის წინაშე. მაგრამ ყველა ეს პრობლემა არ განიხილებოდა თავად ლინგვისტურ დისციპლინებში, მაგალითად, გრამატიკაში. მე-19 საუკუნის ჩათვლით ერთადერთი ლინგვისტური მეცნიერება, რომელიც ასე თუ ისე ეხებოდა სემანტიკის პრობლემებს, იყო ეტიმოლოგია. მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იმასთან დაკავშირებით, რომ გაიზარდა ინტერესი ენის არა მხოლოდ ბგერითი, არამედ „ფსიქოლოგიური" მხარის მიმართ, დადგა სემანტიკის,როგორც დარგის, გამოყოფის აუცილებლობის საკითხი. თავად ტერმინი „სემანტიკა" შემოიტანა ფრანგმა ლინგვისტმა მიშელ ბრეალმა. მისი განმარტებით, სემანტიკა არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ენობრივ ერთეულთა შინაარსს (აზრობრივ მნიშვნელობას).

მე-19 – მე-20 საუკუნეების ლინგვისტები თითქმის არ ეხებიან სიტყვის მნიშვნელობის განმარტების საკითხს, უთმობენ რა ფილოსოფოსებსა და ფსიქოლოგებს ამ საკითხის გადაწყვეტას. თავად კი იმით კმაყოფილდებიან, რომ სიტყვის მნიშვნელობას აიგივებენ საგანთან, რომელსაც ეს სიტყვა აღნიშნავს, ან ამ საგნის წარმოდგენასთან მთქმელის ცნობიერებაში. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა მთავარი, თუ ერთადერთი არა, კვლევის საგანია იმდროინდელ ენათმეცნიერებაში.

სემასიოლოგია, როგორც ისტორიული ენათმეცნიერების დარგი, შეიქმნა XIX საუკუნის I ნახევარში, როდესაც კარლ რაიზიგმა (K. C. Reisig) მოძღვრება სიტყვის მნიშვნელობის შესახებ მოათავსა გრამატიკულ დისციპლინათა შორის. კ. რაიზიგსავე ეკუთვნის სახელწოდებაც, რომელიც გავრცელდა გერმანულენოვან და რუსულ (მოგვიანებით საბჭოთა) სპეციალურ ლიტერატურაში (თანამედროვე ფრანგულ- და ინგლისურენოვან საენათმეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია ს ე მ ა ნ ტ ი კ ა). მის წიგნში „ლექციები ლათინური ენის შესახებ" ვხვდებით პირველ ცდებს ამ მიმართულების აღწერისა. მეცნიერს აინტერესებდა სიტყვის ისტორიული განვითარება.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ამ სფეროში აღმოცენდა პირველი ლინგვისტური კონცეფციები: ჰეიმან შტეინტალისა და ვილჰელმ ვუნდტის კონცეფცია. მე-20 საუკუნის ლინგვისტები ყურადღებას აქცევდნენ მორფემებს, ფრაზეოლოგიზმებს, წინადდებებს.

სემასიოლოგიური მეცნიერებების განვითარების სამ ეტაპს გამოყოფენ: 1. ფსიქოლოგიური ან ევოლუციური. კულტურას განიხილავს როგორც ევოლუციის პროდუქტს. ენობრივ სემანტიკას უპირისპირებს ერის მენტალობას. 2. შედარებით-ისტორიული; 3. ინტეგრაციული ეტაპი.

სემანტიკური კვლევის ობიექტი შესაძლებელია იყოს ცვალებადი, მისი შესწავლა კი აქცენტირებულია მეტყველების გარკვეულ ასპექტზე. ამასთან დაკავშირებით გამოყოფენ სემანტიკის რამდენიმე სახეობას: კოგნიტურს, ლექსიკურს, ფორმალურს, გენერატიულს. თითოეულ ამ სახეობას თავისი გარკვეული მიზნები აქვს:

კოგნიტური შეისწავლის ურთიერთდამოკიდებულებას მეტყველების ნაწილებსა და ამ ენაზე მეტყველთა კულტურულ

მენტალიტეტს შორის. ამ მიმდინარეობის სპეციალისტები ცდილობენ გაარკვიონ შინაარსი სიტყვისა, ფრაზისა, წინადადებისა და მათი კავშირი ცნობიერებასთან;

ლექსიკური უფრო ღრმად სწავლობს მნიშვნელობებს, ჰყოფს რა ორ ნაწილად: კონოტატად (ის, რასაც სიტყვა აღნიშნავს) და დენოტატად (ის, რაც აღინიშნება). განიხილება სიტყვის კლასიფიკაცია, ანალიზი, აღწერენ სხვადასხვა ენების ლექსიკური სტრუქტურების საერთო და განმასხვავებელ თვისებებს;

ფორმალური ყოფს ენებს მათემატიკური ფორმულის გამოყენებით;

გენერატიული არაპოპულარი მიმართულებაა, რომლის მიზანს წარმოადგენს ისეთი ენობრივი მოდელის შექმნა, რომელიც ორ სქემას იყენებს: მნიშვნელობიდან ტექსტისკენ და პირიქით.

ყველა ეს მიმართულება გაერთიანებულია ერთი საერთო სახელწოდებით „ლინგვისტური სემანტიკა".

უმარტივესი სემასიოლოგიური ერთეულია სემა, შეიძლება ითქვას, რომ სემა არის მორფემის მნიშვნელობა, მაგრამ რადგან ფლექსიურ ენებში რამდენიმე მორფემას ერთი მნიშვნელობა აქვს, სწორი იქნება ვთქვათ: ერთი სემა შეესაბამება რამდენიმე მორფემის მნიშვნელობას.

შემდეგი სემასიოლოგიური ერთეულებია ლექსემა და ფრაზემა, რომელიც ამავე დროს ლექსიკოლოგიის შესწავლის საგანს წარმოადგენს.

ამჟამად სემასიოლოგია შეისწავლის სიტყვის მნიშვნელობის ცვლას, მნიშვნელობათა კლასიფიკაციას, სიტყვის შინაარსობრივი მხარის აგებულებას, ენობრივი ნიშნის ბუნებასა და მისი კვლევის მეთოდებს.

თანამედროვე სემასიოლოგიური კვლევის უმთავრესი მიმართულებებია კომპონენტური ანალიზი (ლ. იელმსლევი (Hjelmslev)),

დისტრიბუციული ანალიზი (ს. ზვიაგინცევი), სემანტიკური ველების თეორია (ტრირი, ვაისბერგერი, პორციგი), ლექსიკურ-სემანტიკური ვარიირება (ვ. ვინოგრადოვი) და სხვები.

ლექსიკის სემასიოლოგიურ კვლევას უპირისპირდება ონომასეოლოგია, სიტყვის, როგორც სახელწოდების, კვლევა. ზოგჯერ სემასიოლოგია იხმარება ლექსიკოლოგიის ფარდად.

ჰუმბოლდტის თანახმად, **ადამიანი ენობრივი არსებაა, ის ცხოვრობს მისი ენით აგებულ სამყაროში და „აზროვნება დამოკიდებულია არა უბრალოდ ენაზე ზოგადად – ის გარკვეულად განპირობებულია აგრეთვე ყოველი ცალკეული ენით“** (ჰუმბოლდტი 1984 : 317).

სემანტიკა გაგებული უნდა იქნეს როგორც ნიშანი სოსიურისეული დეფინიციით, ანუ აღსანიშნისა და აღმნიშვნელის განუყოფელი ერთიანობა (მ. ქურდიანი, ენობრივი ნიშნის მორფემატული თეორია, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება XXXVI, Tb, 2008, 234).

ენობრივ ნიშანთა სემიოტიკური მოდელის იერარქიაში კი შეუწყნარებელი ჩანს სინტაქტიკისა და სემანტიკის იერარქიული ურთიერთმიმართება, რასაც თეორიულ ლინგვისტიკაში, ჩვეულებრივ, ან უკომენტაროდ გვაწვდიან, როგორც ფაქტს, როგორც თავისთავად საგულისხმოს, ან, გრძნობენ რა ამ ლოგიცისტური თანმიმდევრობის არამართლზომიერებას, ლინგვისტური პოზიციიდან, ცდილობენ აბსურდული გამართლება მოუძებნონ, მაგალითად ისეთი, თითქოს შეიძლება გვქონდეს, ან შეიძლება ხელოვნურად იქნეს შექმნილი ისეთი სისტემები, რომლებიც იქნება სინტაქტიკური მიმართებები, მაგრამ თვით ეს ნიშნები მოკლებულნი იქნებიან სემანტიკას (მ. ქურდიანი, ენობრივი ნიშნის მორფემატული თეორია, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება XXXVI, Tb, 2008, 235).

სემანტიკა ქმნის, აყალიბებს, ძერწავს კონცეპტს. კონცეფტი (lat. conceptus – ცნება). ფილოსოფიაში გახლავთ ცნების შინაარსი, რაც ნიშნავს სახელის (ნიშნის) მნიშვნელობის გაგებას. ის განსხვავდება თვით ნიშნისაგან და მისი საგნობრივი მნიშვნელობისგან (დენოტატისგან, ცნების მოცულობისგან). ის გაიგივებულია ცნებასა და სიგნიფიკატთან. კონცეპტი ფილოლოგიასა და ლინგვისტიკაში არის მყარი ენობრივი ან ავტორისეული აზრი, რომელსაც გააჩნია ტრადიციული გადმოცემა. იგივეა, რაც მოტივი. https://ru.wikipedia.org/wiki/Концепт

1. სიხარულის კონცეპტი ქართველურ ენებში

სხვადასხვა ხალხის მიერ სამყაროს აღქმა და შემეცნება განსხვავებულია. ეს განსხვავება ყველა ენაში თავისებურად აისახება. თითოეული ენა ინდივიდუალური სამყაროა. იგი ადამიანის გონითი კულტურის უმთავრესი ფორმაა. ყოველ ერს თავისი ენობრივი მსოფლხედვა გააჩნია. ენა განსაზღვრავს არა მხოლოდ მსოფლხედვას, არამედ ეთნოსის, ერის ეროვნულ ცნობიერებას. ერის მსოფლხატი ენისა და ერის შინაგანი ურთიერთობის საფუძველზე აღმოცენდება.

ამა თუ იმ ენის მატარებელთა მსოფლაღქმის სპეციფიკას ასახავს კონცეპტთა, როგორც სემანტიკურ ერთეულთა, ერთობლიობა, რომელიც ქმნის კონცეპტუალურ სფეროს. **კონცეპტი მიეკუთვნება ნაციონალურ ენობრივ ცნობიერებას, იგი ენისა და აზრის ერთიანობაა,** რომელიც ასახავს იდეალური ან რეალური სამყაროს საგანს (მოვლენას) და ინახავს ენის ნაციონალურ მეხსიერებაში ვერბალური აღმნიშვნელის სახით. ამ კუთხით უაღრესად საინტერესოა ქართველური ენების – სვანურის, მეგრულისა და ლაზურის შესწავლა და ენობრივი მონაცემები;

სიხარულის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე სვანურში აერთიანებს შემდეგ ლექსემებს: სახრჳბ „სახარება“, **ლიხრაბჳლ „ხარებობა“, ხარჳბ** „ხარება“, **ხიად/ ხიადშულ** „სიხარული, სიხარულო“, **მჳხჲად** „სიხარული, მიხარია, მილოცვა“, **ლჳხიადჳლ** „გახარება“, **ლჳხიადჳლ,** სასიხარულო“, **ლიხჳდე** „გახარება“, **ლიხირშულ** „მხიარულება“, **ხირშულ** „მხიარული“, **ლგხჳდე** „გახარებული“, **ლეხჳდე** „მისახარებელი“, **მგხჳდე** „გამხარებელი“, **ლეხჲად** „სასიხარულო“, **ქამგხენე** „მიმხარებელი“, **ქა ლეხენე** „მისახარებელი“, **ჟი ლუხჳრულე** „გამხიარულებული“, **უხჳდა,**

„გაუხარელი, გაუხარებელი“, **უხ̄ადა̄ლა** „უსიხარულო“, **უხ̄ირულა** „გაუმხიარულებელი“...

მა̄ხ̄ა̄დშუ̄ დეც ლაფარდ **ხალონ ი გიმ ლაზელა̄ლდ** „სიხარულით ცას ეწია (ცა დასახურად ეცოტავებოდა და დედამიწა სასიარულოდ„). საინტერესოდა ასახული სიხარული კონცეპტი სვანური ენის ქრესტომათიაში:

1. **ლახე ჭყინტ ხეთვრლდა, ეჩქას შიშტ ქორთე ღგრდახ ეშხვი მგხენად ი ქა ხახენახ ქორშა̄რს ჭყინტი ლითვეს** (სვან. ენ. ქრესტ. 1978:37) „როცა ვაჟი (ბიჭი) დაიბადებოდა, მაშინ ხელად ერთი **მახარობლად** გაიქცეოდა შინ და **ახრებდა** ოჯახის წევრებს ძეობას (ბიჭის დაბადებას).

2. **ჭყინტჟინა̄ ლა̄ხიადა̄ლა̄შ სგვებნა ჩუ ლგჰრაყე ხა̄დ მეზგა...** (სვან. ენ. ქრესტ. 1978:37) „ძეობის ლხინის სუფრისთვის (**„სიხარულობისთვის„**) მოსახლეს, ოჯახს წინასწარ ჰქონდა არაყი გამოხდილი“.

3. **ფედიჲ მეზგა̄ლ ი მეხვბარა̄რ შიშდ ჴედენდახ მა̄ხ̄ადლა̄ქვ̄ისგთე** (სვან. ენ. ქრესტ. 1978:37) „ახლო მოსახლეები, მეზობლები და მოძმეები ხელად მოდიოდნენ მოსალოცად (**„სიხარულის სათქმელად„**).

4. **მა̄დილუ ესერ ხა̄რ ღერბათ, იმვა̄ჲ ლეხ̄ადილ ლოხოდა** (სვან. ენ. ქრესტ. 1978:38) „მადლიმც ჰქონია ღმერთს, რაკიღა **სიხარული, („სასიხარულო„)** მოგვცა“.

სიხარულის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე მეგრულში ასეთი სახისაა:

ხარ – ხარენს „ხარობს”, **გეეხარუ** „გაიხარა”, **მახარენც** „მახარებს”, **ხარება** „ხარება”, **გახარებულ** „გახარებული”; **ხიარ – ხიარულენს** „მხიარულობს”, **ხარულენს** „ხარობს”, **ხიარული** „მხიარული”, **ხიარულო** „მხიარულად, გახარებულად, სიხარულით”;

ხიოლ – სახიოლო „სამხიარულო,გასახარი", **ახიოლე** „გაუხარდება";

დიარ – დიარა, სუფრა/ლხინი; **გურცუ გახარენც** – გულს გაახარებს; **დრო უტარებუნა** -დრო უტარებიათ; **რხინი უღუდუ** -ლხინი ჰქონდა;

ცა ქუდი აფუ ნდო დიხა ჩაფულა – ცა ქუდად აქვს და დედამიწა ქალამნად;

ადრეული პერიოდის მეგრული ტექსტების გამოცემებში გვხვდება სიხარულის კონცეპტის ამსახველი შემდეგი ლექსემები:

1. იტოუ **ხარებაქ,** დიარა დო **რხინქ:** ი. ყიფშ., გვ. *107* – იქნა ხარება, ქორწილი და ლხინი.

2. **თიშე ელუ ხარებასუ:** ქხს, *1,* გვ. *216* – იმისგან ელის გახარებას.

3. **გეეხარუ, მარა მუს აკეთენს:** მ. ხუბ., გვ. *5* – გაიხარა, მაგრამ რას აკეთებს.

4. **მა თინა მახარენც, მოჭყუდუ მეტუნც მაყარეფც:** კ. სამუშ., ქხპს, გვ. *133* – მე ისაა რომ მახარებს, პატარძალი მიჰყავს მაყრებს.

5. **კოჩი კოჩით ხარენსია:** თ.სახოკ., გვ. *250* – კაცი კაცით ხარობსო.

6. **ხენწგფე ხიარულენს, ზარბაზანებით ხარულენს:** ქხს, *2,* გვ. *142* – ხელმწიფე მხიარულობს, ზარბაზნების სროლით მხიარულობს (ახარებს).

7. **მუჭოდგა ქიმკარგუუ მანდარინი დო ქიიხარუ** -როგორღაც მირგო მანდარინი და იხარა.

8. **თქვან მოულა, მუჭოთ ჩქგნი, ხარხიში გურცუ გახარენც:**

კ. სამუშ., ქართ. ზეპ., გვ. *97* – თქვენი მოსვლა, როგორც ჩანს, ხალხის გულს გაახარებს.

9. **ე ბოშიში დიდასგ შურებითგ ვახიოლებუ:** ი. ყიფშ., გვ. *60* – ამ ბიჭის დედას სრულებით არ გახარებია.

10. **ექ იცუუ ირ კოჩიშო სახიოლოქ.** ხუბუა. გვ.66 – ეს შეიქნა ყველასთვის (ყველა კაცისთვის) სასიხარულო.

11. **ირო სახიოლო მერჩუ, ნანა, ღორონთქ!** – სულ სასიხარულო მოგცა, შვილო, ღმერთმა!

12. **იცუუ დიარაქგ ძალამქგ..**ი. ყიფშ., გვ. 233 – შეიქნა დიდი ლხინი.

13. **აი თენერი ხერხით დუულორებუნა მოშარეეფი, ხოჯი ცუდეშა ქემულალუნა დო დრო უტარებუნა.** ი. ყიფშ., გვ. 216 – აი ასეთი ხერხით მოუტყუებიათ მგზავრები, ხარი სახლში მიუტანიათ და დრო გაუტარებიათ.

14. **იში რაშის ცირა ქუგიოხუნუ დო მოლართესგ ხიარულო.** ი. ყიფშ., გვ. 235 – იმის რაშზე ქალი შესვა და წამოვიდნენ მხიარულად.

15. **შქა დიხას ცუდე გეიოგესგ დო თექი ხენწიფეში ოსურისქუა, ზესნახე, ქგმგლაანჯირეეს თიმუ სერს, მუჟანსგთი ირი კოც რხინი ულუდუგნი.** ყიფშ., გვ. 258 – შუა ადგილას სახლი ააგეს და იქ ხელმწიფის ქალიშვილი, მზეთუნახავი, დააწვინეს იმ ღამეს,როდესაც ყველა მხიარულობდა (ყველა კაცს ლხინი ჰქონდა)

16. **ე ცირასგ ხიოლითგ ცა ქუდი აფუ ნდო დიხა ჩაფულაი.** ყიფშ., გვ. 260 – ამ ქალიშვილს სიხარულით ცა ქუდად აქვს და დედამიწა ქალამნად.

17. **ბოშიქგ გეეჭოფუ და, დიდა დო მოლართგ გახარებულქუ**

მუში მუმაში დოხორეშა. ი. ყიფშ., გვ. 264 – ბიჭმა და და დედა წამოიყვანა (აიღო) გახარებულმა თავისი მამის მამულში.

18. **კატუს რხინი უღუდუ დო ჭუკენს ჭყვადუა.** ყიფშ., გვ. 382 – კატას ლხინი ჰქონდა და თაგვებს სიკვდილი.

19. **ჯურუს ძღვენი ოხიოლუდუ, ჭკვერს ოწყინუდუ.**ყიფშ., გვ. 383 -უჭკუოს ძღვენი უხაროდა, ჭკვიანს სწყინდაო.

სიხარულის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე ლაზურში აერთიანებს შემდეგ ლექსემებს:

ხელ – ახელენ „უხარია“, **ოხელუ** „გახარება“, **ოხელინამს** „ახარებს“, **ოხელონი** „სასიხარულო“, **ხელა / ხელინა / ხელება** „სიხარული“, **ოხელუ** “ გახარება“, **ხელაფა** „სიხარული, მხიარულება“, ხელინაფა „სიხარული“, **ხელერი / ხელაფერი/ხელებერი** „გახარებული“, **ხელინერ- ხელინერი** – „გახარებული(გახარებულმა, სიხარულ-სიხარულით)“;

შენ – შენი „გახარებული; აშენებული“, **შენი-შენი** „გახარებული, ბედნიერი“, **შენობა** „სიხარული, მხიარულება“, **ოშენამს** „ამხიარულებს, აცოცხლებს“, **იშენუ** „იმხიარულა“, **შენლული** „სიხარული მხიარულება, ხალხმრავლობა“;

ხავეს – (თურქ.) **ხავესი** „სიხარული“, **ხავესობა** „მხიარულება“, **ხავესლული** „მხიარულება“, **ხავესლი** „მხიარული, ხალისიანი“;

ქეიჭი „ქეიფი, ლხინი“

ისთერს „დროს ატარებს“

ხარაფანიში „ერთად მოლხენა, პურობა“;

გურიშხელათე „გულგახარებული (გულის სიხარულით)“

ხელინაფათენ ვარ ინტრენ „სიხარულით ვერ ეტევა“.

1. **ხელინაფათენ** ვარ ინტრენ თანდ„სიხარულით ვერ ეტე-

ვა“ – ბაბამუშიში **ხელინაფათენ** ვარ ინტრეტუ (დიუმეზ. 184) „მათი მამების სიხარულით ვერ ეტეოდა“.

2. კულანი დიბადუ-ნი, ვა-თი დუგუნი, ვარ-თი **შენობა**, ოხოიში თელი ოხორჯა-ბიჭეფე დერდონი იყვენან (ჩიკქობ., 162) „გოგო რომ დაიბადება, არც ქეიფი (ქორწილი), არც მხიარულება, ოჯახის ყველა ქალი-კაცი დარდიანი არიან“.

3. შენი იყვა! – იხელა... **ხელება**! (ასათ.) „ბედნიერი იყავი! – იხარე... გახარება!“.

4. ნდღა **ხელერი** მანძგარეფექ მემიშვილეს (ჩიქობ., 146) „დღე გახარებული მეზობლები დამეხმარნენ„

5. სი მა ქომემაონი, პანდა ძირარე **ხელა**! (ყიფშ., 68) „შენ მე გამომყევი, სიხარულს ყოველთვის ნახავ (ყოველტვის იხარებ)“.

6. ოხორიში მუხთა **ხელაფა**... რენ (ასათ., 456) „ოჯახის რაღაც მხიარულება... არის“.

7. **ხელინერ-ხელინერი** კალათი ქომოიკიდუ (ასათ., 456) “ გახარებუ-გახარებულმა გოდორი წამოიკიდა“.

8. სქანი **ხავესლული** დიდო მიღუტუ (ჩიქობ., 377) „შენი სიხარული დიდად მქონდა“.

9. დემექ ეშო **ხავესლი** ტუ (თანდ., 868) „ალბათ ასე მხიარული იყო“.

10. გური **ხელაფერი** დობღურა (ასათ. 456) „გულგახარებული მოვკვდე“.

11. კადი-თი **ხელებერი** ოზხორჯას ნეკნე ქონუკანკუ (ყიფშ., 14) „კადიმაც (მოსამართლემ) გახარებულმა ცოლს კარი ჩაუკეტა“.

12. ბაბაქი ფარაში სერსი გაგონუ... **ახელინუ** (ასათ., 456)

„მამამ ფულის ხმა გაიგონა... გაუხარდა“.

13. მუშა მუში **ქეიჩის რენ** (თანდ, 794) „მისი მუშა ილხენს (ქეიფშია)“.

14. ვიბირთ, **ვისტერეფთ** (ასათ., 200) „ვმღერით, დროს ვატარებთ“.

ემოციების მეცნიერული ანალიზი შეუძლებელია ეთნოფსიქოლოგიის, ეროვნული ხასიათის თავისებურებების, ეროვნული კულტურის გათვალისწინების გარეშე. ემოციის გამოხატვის საშუალებები, ემოციური მდგომარეობის აღწერითი და გამომხატველობითი ლექსიკის გვერდით, წარმოადგენენ ემოციური საშუალებების ლექსიკურ სისტემას. ნებისმიერი ენის ემოციური ტერმინები გამოავლენს ნათესაობის კომპლექსურ კავშირს და მათი კლასიფიცირება შესაძლებელია. ემოციების კონცეპტი გვთავაზობს გასაღებს სხვადასხვა კულტურისა და საზოგადოების შესაცნობად :2015 (იაკობიძე). „ენების კვლევა მსოფლიო ისტორიის გათვალისწინებით აჩვენებს, რომ ენა, თავისი ბუნებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, სამყაროში ყველაზე უმაღლესისა და უმშვენიერესის წარმომშობია. მათი ბედის მრავალფეროვნების მიხედვით შეგვიძლია ისინი განვასხვავოთ, განვსაზღვროთ მათი ხასიათი, მიზეზები მათ აგებულებაში ვეძიოთ და მათი ისტორიული ღირებულება განვსაზღვროთ“ (Humboldt 1996: 75-76). კონცეპტუალური სფერო ამა თუ იმ ერისა და ენისა შეესაბამება მენტალობას, როგორც სამყაროს ხედვის საშუალებას. რაც შეეხება მენტალიტეტს, რომელიც ერის კოგნიტიურ, ემოციურ და ქცევით სტერეოტიპთა სიმრავლედ განიხილება, მის სფეროში შედის ეთნიკური სპეციფიკით ნიშანდებული კონცეპტები (მასლოვა 2001:49). მენტალობასა და მენტალიტეტს შორის საზღვარი ანუ განსხვავება კონცეპტ-

თა ფართო და ვიწრო მნიშვნელობებს შორის არ არის მკაფიო. დღეს არც არსებობს ამა თუ იმ ლინგვოკულტურული ერთობის თანამედროვე მენტალიტეტის აღწერის ფორმალური საშუალებები. ერთადერთ კრიტერიუმად მიიჩნევენ ენის ლექსიკურ სემანტიკაში ასახული კოგნიტიური და ფსიქოლოგიური სტერეოტიპების მასობრიობასა და ინვარიანტულობას (თელია 1996:235). „კულტურულ კონცეპტს" ლინგვისტიკური სტატუსი ენიჭება და ამდენად იქმნება შესაძლებლობა ისინი აღიწეროს სამყაროს ენობრივი სურათის ტერმინებით. ენობრივი კონცეპტუალიზაცია, როგორც ლექსიკურ ერთეულთა შინაარსობრივი პლანის სემანტიკური წარმოდგენის საშუალებათა ერთობლიობა, როგორც ჩანს, სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულია (ვეჟბიცკა 1997:238), მაგრამ სემანტიკური წარმოდგენის მხოლოდ სპეციფიკა არ უნდა იყოს საკმარისი კონცეპტის, როგორც ლინგვოკულტუროლოგიური ცნების, გამოყოფისათვის.

ლექსიკა-სემანტიკის აღწერისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ სიტყვათა მნიშვნელობების მთლიანი კომპლექსის აღწერა. ერთი ენის შიგნით არ ჩანს ენათა სემანტიკური დანაწევრება. ყოველი ენა თავისი სემანტიკური სტრუქტურით გამოირჩევა. „რამდენადაც ენა გვეძლევა არა ზოგადი ფორმით, არამედ როგორც მხოლოდ დედაენა, ე.ი. გარკვეული ენის ქართულის, ფრანგულის, ჩინურის... სახით, **„მსოფლხედვა" დედაენისეულია** და ყოველ ენას (დედაენას) სამყაროს ენობრივი მოდელირების საკუთარი წესი, სამყაროს ენობრივი გადამუშავების საკუთარი „მსოფლხედვა" აქვს (რამიშვილი 2002: 23).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რჩება შთაბეჭდილება, რომ სიხარულთან დაკავშირებით სვანურში თითქოს იშლება საზ-

ღვრები სახელსა და ზმნას შორის; როგორც დაკვირვების შედეგად შევნიშნეთ, სხვა კონცეპტთაგან განსხვავებით **მა̈ხ-ჲა̈დ/ მა̈ხჲად** არის ერთადერთი სიტყვა, რომელიც კონტექსტის მიხედვით ხან არსებითი სახელია და სიხარულს ნიშნავს, ხან მიხარია ზმნის პირველი პირის ფორმაა: მაგ. **მა̈ხჲა̈დ მი ისგუ ლიწედ „მიხარია** მე შენი ნახვა". მიშგუ დი აჩა̈დ **მა̈ხჲად ლა̈ქვა̄ს-გთე** „დედაჩემი წავიდა მისალოცად (**„სიხარულის სათქმელად"**). შედარების საფუძველზე ასევე გამოიკვეთა, რომ სავანური, მეგრული და ლაზური სიხარულის კონცეპტში აერთიანებს ძირითადად საერთოქართველური წარმოშობის ძირებისგან ნაწარმოებ ლექსემებს: ქართ.: ხარ<ხარებ, სვან. **ხარა̈ბ** , მეგრ.-ლაზ. **ხარ;** ქართ. **ლხინ/ლხენ,** სვან.**ლიხე̄ნე** , მეგრ.-ლაზ. **ხიოლ/ხელ**...

ამრიგად, ყოველ ერს თავისი ენობრივი მსოფლხედვა გააჩნია. ენა განსაზღვრავს არა მხოლოდ მსოფლხედვას, არამედ ეთნოსის, ერის ეროვნულ ცნობიერებას. **კონცეპტი მიეკუთვნება ნაციონალურ ენობრივ ცნობიერებას, იგი ენისა და აზრის ერთიანობაა. სიხარულის, ოცნების, შიშის, მწუხარების... კონცეპტი სალიტერატურო ქართულში, ბუნებრივია, სიღრმისეულად არის შესწავლილი და გაანალიზებული (იაკობიძე, 2015: 44-46).**

სიხარულის კონცეპტის ასპექტით უაღრესად საინტერესოა ქართველური ენების – სვანურის, მეგრულსა და ლაზურის ენობრივი მონაცემები; როგორც საუკუნის წინ გამოცემული სვანური, მეგრული, ლაზური ტექსტების შესწავლისა და თანამედროვე ცოცხალ მეტყველების მონაცემების შედარების საფუძველზე გამოიკვეთა ქართველური ენები სიხარულის კონცეპტის ლექსიკის თვალსაზრისით საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი მასალის შემცველია. სვანურის, მეგრულისა და ლაზურის ეს მონაცემები საინტერესოა როგორც სტრუქ-

ტურა–აღნაგობის, ასევე სიტყვათწარმოებითი მოდელების, ეტიმოლოგიების, სემანტიკური ნიუანსების თვალსაზრისით. წინასწარი კვლევის საფუძველზე, სალიტერატურო ქართულთან მიმართებით საერთო ტიპოლოგიასთან ერთად აშკარად იკვეთება საინტერესო სემანტიკური ნიუანსები.

2. სიცილის კონცეპტი ქართველურში

„სიცილის“ კონცეპტი ქართველურში საინტერესო მასალას იძლევა შედარებით ფორმატში კვლევის თვალსაზრისით. როგორც ცნობილია სიცილი შეიძლება იყოს: უხმო, ხმიანი, მაღალი... რასაც მოწმობს სულხან-საბას მიერ სიცილის განმარტება: „განყოფანი სიცილისანი ესე არს: ღიმილი არს სიცილი სიმშვიდით, უხმო, ბაგეთა ოდენ შეეტყობოდეს; სიცილი არს მცირედ ხმიანი და მდაბალი; კაშკაში არს სიცილი მაღალი და მოხდენილი; კასკასი არს სიცილი მაღალი და წვრილი; რახრახი არს სიცილი მაღალი და უხეში; თქართქარი არს სიცილი მრავალთაგან შეხმობილი; ღინცილი არს სიცილი მიწყივ უწესო, ხოლო ფრუსტუნი ვის არა ენებოს სიცილის გამოჩენა და ერთს საცინელს საქმეზედ წარსცინოს და მალად დაიდუმოს.“

„სიცილის“ კონცეპტის გამაერთიანებელი ლექსიკური ერთეულები, როგორც ეს ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონშია წარმოდგენილი, განეკუთვნება საერთო ქართველურიდან მომდინარე ძირითად ლექსიკურ ბირთვს და იძლევა ფონეტიკურ-ეტიმოლოგიურ შესატყვისობებს სამივე ქართველურ ენაში:

ქართ. ცინ- გან-ცინ-ებ-ა; ი-ცინ-ის...

სვან. ცნ-/ც- ლი-ცნ-ალ „სიცილი“... (ფენრ. სარჯვ. 582)

ქართ. სიც- სიც-ილ-ი

მეგრ. ძიც-/ძგიც- ძგიც-ა/გო-ძიც-ინ-ი „სიცილი“...

ლაზ. ძიც-/დიც- ო-ძიც-ინ-უ/ო-დიც-ინ-უ/ძიც-ინ-ი „სიცილი“ (ფენრ. სარჯვ. 616)

სიცილის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე სვანურში აერთიანებს შემდეგ ლექსემებს:

ლიცუნ̆ლ „სიცილი“; **მეცუნ̆ლ** „მოცინარი, გაცინებული“; **იცუნ̆ლ** „იცინის“ – **ხეცუნ̆ლ** „დასცინის“; **ლიცუ** „დაცინცა“; **ლიქ̄ზანა̆ლ** „გაცინება, მრავალჯერადად სიცილი“; **იქზი** „იცინის“; **იქ̄ზანა̆ლ** „დიდხანს იცინის“; **მექ̄ზანა̆ლ** „გაცინებული“; **ლექ̄ზანა̆ლ** „სასაცილო, გასაცინებელი“; **ლიმ̄ლქუჲელ** „გაღიმება“; **იმ̄ლქუჲელ** „იღიმება“, **მემ̄ლქუჲელ** „ის, ვინც იღიმება, გამღიმებელი“;

ლემ̄ლქუჲელ „გასაღიმებელი“; **ლიკგრკგნი** „კისკისი“; **კგრკგნი** „კისკისებს“; **მგკგრკგნი** „მოკისკისე“; **ლეკგრკგნი** „საკისკისო“; **ლიყგრთგნი** „ხარხარებს“; **ხაჩა** „იცინის“, **მა̆მ ლახჩ̄ნ** „არ ესიამოვნა; **მუქუ ესა̆სდ** „გაეღიმა“...

მა̆დილუ ესერ ხა̆რ ღე̄რბათუ, იმვა̆ჲ ლექ̄ზანა̆ლ ლოხოდა „მადლიმც ჰქონია ღმერთს, რაკიღა სამხიარულო, სასაცილო („გასაცინებელი„) მოგვცა“.

სიცილის კონცეპტთან სემანტიკურად აახლოა ასევე სიხარულის კონცეპტის გამაერტიანებელი შემდეგი ლექსიკური ჯგუფი: **ხიად/ ხიადუ̆ლ** „სიხარული, სიხარულო“, **მა̆ხჲა̆დ** „სიხარული, მიხარია, მილოცვა“, **ლ̄ხიადა̆ლ** „გახარება“, **ლა̆ხიადა̆ლ,** სასიხარულო“, **ლიხ̄დე** „გახარება“, **ლიხირუ̆ლ** „მხიარულება“, **ხირუ̆ლ** „მხიარული“, **ლგხ̄დე** „გახარებული“, **ლეხ̄დე** „მისახარებელი“, **მგხ̄დე** „გამხარებელი“, **ლეხჲა̆დ** „სასიხარულო“, **ქამგხენე** „მიმხარებელი“, **ქა ლეხენე** „მისახარებელი“, **ჲი ლუხ̄რულე** „გამხიარულებული“, **უხ̄და,** „გაუხარელი, გაუხარებელი“, **უხჲადა̆ლა** „უსიხარულო“, **უხ̄რულა** „გაუმხიარულებელი“...

ლა̆ქ̄ზანა̆ლჲი მირანგულს დეც ლაფარდ ხალონ ი გიმ ლაზელა̆ლდ „გაცინებისას მირანგულა ცას ეწეოდა ხოლმე (ცა დასახურად ეცოტავებოდა და დედამიწა სასიარულოდ„).

საინტერესოდაა ასახული სიცილისა და მასთან უახლოესი – სიხარულის კონცეპტი სვანური ენის ქრესტომათიაში, თუმცა, აღსანიშნავია, რომ სალექსიკონო გამოცემებში (ა. ლიპარტელიანი სვანური ლექსიკონი, ვ.თოფურია, მ. ქალდანი სვანური ლექსიკონი) სიცილის ამსახველი ლექსიკურ–სემანტიკური ბუდე ძალზე მწირი სახითაა წარმოდგენილი.

ჭყინტჟ̄ნ̈ ლ̈ახიᲳდᲐლ̈აშ სგვებნავ ჩუ ლგჰრაყე ხᲐდ მეზგა... (სვან. ენ. ქრესტ. 1978:37) „ძეობის ლხინის სუფრისთვის („სიხარულობისთვის„) მოსახლეს, ოჯახს წინასწარ ჰქონდა არაყი გამოხდილი".

ფედიჴ̈ მეზგ̈ლ ი მეხვბარ̈არ შიშდ ედენდახ მ̈ახ̣ად ლ̈ჴ̈ქვ̄სგთე (სვან. ენ. ქრესტ. 1978:37) „ახლო მოსახლეები, მეზობლები და მოძმეები ხელად მოდიოდნენ მოსალოცად („სიხარულის სათქმელად„).

ლახე ჭყინტ ხეთვრლდა, ეჩქას შიშტ ქორთე ღგრდახ ეშხვი მგხ̄ენად ი ქა ხახ̄ენახ ქორშ̈არს ჭყინტი ლითვეს (სვან. ენ. ქრესტ. 1978:37) „როცა ვაჟი (ბიჭი) დაიბადებოდა, მაშინ ხელად ერთი მახარობლად გაიქცეოდა შინ და ახრებდა ოჯახის წევრებს ძეობას (ბიჭის დაბადებას).

სიცილის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე მეგრულ-ლაზურში აერთიანებს შემდეგ ლექსემებს:

მეგრულში:

ძიცა , ძიცუა, ძიცინი – სიცილი, გაცინება.

ძიცა გურიში წამალი რენია (ხალხ. სიბრ., *1*,გვ. *171*) – „სიცილი გულის წამალი არისო.'' დიაკონს ძიცაქ ვა მაკინენგ.(ი. ყიფშ., გვ. *9*) – „დიაკონმა სიცილი ვერ შეიკავა"

ბრელი ძიცას ბრელი ნგარა მოჟუნცია. (ხალხ. სიბრ., *1*, გვ.

20) – „ბევრ სიცილს ბევრი ტირილი მოჰყვებაო.”

თისხი გიძიცინუდას. (ენგური, გვ. *247*) – „იმდენი გეცინოს”

ართი იძიცანცგ-და, დუც გაძიცანცია. (ხალხ. სიბრ., *1*, გვ. *10*) – „ერთი თუ იცინის, თავს დასცინისო”.

გეძიცა, გეძიცინი, გიოძიცანს – დაცინვა.

თინეფი ითამუ გეძიცას მიპირენა. (ყაზაყ., 11.03.1930, გვ. *1*) – „ისინი ვითომ დაცინვას გვიპირებენ“.

გიდელს ონტუდუ დო ღვარღვალი გეთმიაძიცენდუ. (ი. ყიფშ., გვ. 180) – „გიდელს ცეცხლი ეკიდა და სახელური დასცინოდა“.

ლაგუჯის ხე ვედინაჩანუენი, თეში ვეგიაძიცავა. (თ. სახოკ., გვ. 251) – “ ხალთა-გუდაში სანამ ხელი არ ჩაყო, ისე არ დასცინიო“.

დინდარიშა ვეშინარტებენია დო ღარიბიშა ვეგიძიცინენია. (ხალხ. სიბრ., *1*, გვ. *18*) – „მდიდარზე არ შეიძლება შენატრება და ღარიბზე არ შეიძლება დაცინვა“.

გინაძიცებუ – დანაცინი.

კოც გინაძიცებუ – თოლიშ სიჯღარუეში მეტი – ირფელი ართუნია. (ხალხ. სიბრ., *1*, გვ. *28*) – „კაცს დანაცინი – თვალის სიჭრელის მეტი – ყველაფერი მოუბრუნდებაო“.

გოძიცა, გოძიცინი, გოძიცინაფა, გოძიცინელი – **გაცინება, გაცინებული.**

გოძიცინი ინეფიში ძვირასგ იჯიირდგ. (ი. ყიფშ., გვ. 72) – „იმათი გაცინება იშვიათად (ძვირად) იქნებოდა“.

საგაძიცო, საგიოძიცო, საძიცო – დასაცინი, სასაცილო.

სქანიცალი ბრელი მიძირგ საგაძიცოთ ხანტგდგნი. (მასალ., გვ. *45*) – „შენისთანა ბევრი მინახავს, სასაცილოდ რომ ეხატა“.

საგიოძიცოთ რე ჩქინი საქმე – „დასაცინადაა ჩვენი საქმე".

თენა ვარენიაო საძიცო? (მ. ხუბ., გვ. *177*) – „ეს არ არისო სასაცილო?"

ძიცებული – გაცინებული. ძიცებულო – გაცინებულად

ბონდო ბოში ძიცებულო ახუტოლუუ ლურცია. (კ. სამუშ., ქხპს, გვ. *112*) – „ბონდო ბიჭი (პირ)მცინარი ჩაეხუტება ძილსაო".

ძიცა-ძიცათ – სიცილ-სიცილით.

აშო ძიცა-ძიცათ მოკუნდესია, ვიშო ნგარათ ვერაკუა. (ხალხ. სიბრ., *I*, გვ. 67) – „აქეთ სიცილ-სიცილით მოჰყავდათო, იქით ტირილით ვერ გარეკესო".

ხიჩინი, იხიჩინანს -სიცილი კბილების ჩენით.

ირო იხიჩინანს – „მუდამ იცინის კბილების ჩენით".

გოძგიძგინაფა, გიიძგიძგინანს – ძალად გაცინება, უგულოდ გაცინება კბილების გამოჩენით.

კიბირი გააძგიძგინუუ, ათე ამბე ქუწიინი. (კ. სამუშ., ქხპს, გვ. *109*) – „ძალით გაიცინა (კბილების გამოჩენით), ეს ამბავი რომ ვუთხარი.

ტკვარჩალი/ტკარჩალი – ქალების გულიანი სიცილი, ტკარცალი, ტკრციალი, კისკისი.

ოსურეფიში ტკარჩალი ისიმე – „ქალების კისკისი ისმის".

ეშაფრთინი, ვრაკვალე, გომაფრთინი – ვტკარჩალე. (ქხს, *1*, გვ. *13*) – „რომ ავედი, ვიტატანე, რომ ჩამოვედი – ვიტკრციალე".

ძღაბეფი აშატკარჩალანა. (ქხს, *2*, გვ. *587*) – „გოგოები ტკარცალებენ".

ხვიჩინი, ხვიჩინაფილი /გოხვიჩინაფილი , ხვიჩინუა იხვიჩინანს – გაბადრული. გაბადვრა, მხიარული გამოხედვა, ციმციმი, კიაფი.

ბუაქ ქგდუუჭყგ ქეცანას გეხვიჩინი. (ყაზაყ., *01.05.1931*, გვ. *3*) – „მზემ დაუწყო ქვეყანას (ზევიდან) დაციმციმება“.

გოხვიჩინაფილი სახეთი ქომორთუ – „გაბადრული სახით მოვიდა“.

სახეთ გილეხვიჩინა, ვარდიში გური ფულირი გაფუ. (ქხს, *1*, გვ. *75*) – „სახით გაბადრული დადიხარ, ვარდის გული დამალული გაქვს“.

შორც მურიცხო ოხვიჩინა. (კ. სამუშ., ქართ. ზეპ., გვ. *21*) – „შორს ვარსკვლავად ციმციმებ“.

ხარხაში , ხარხაჩი, ხორხოში , ხარხაცი – ხორხოცი, ხარხარი, ხმამაღალი, გულიანი სიცილი,

ქიგებგონი ძიცა-ხარხაში. (ყაზაყ., *6.06.1930*, გვ. *3*) – „გავიგონე სიცილ-ხარხარი“.

ორე ბირა დო ხარხაში. (ყაზაყ., *11.04.31*, გვ. *3*) – „არის სიმღერა და ხარხარი“.

გოხარხაჩუუ გემუანას. – „გადაიხარხარა გემრიელად“.

ხარხალი – ხმამაღლა სიცილი, ხარხარი.

კარკაცი, კარკაცუა, კარკაცანს – კისკისი, ხმამაღალი, გადაჭარბებული სიცილი.

დუცუ გიმოკარკაცანც ფორონჯი ცა. (კ.სამუშ., ქხპს, გვ. *117*) – „თავზე დამკისკისებს ფოროჯი ცა“.

ფრაზეოლოგიზმები:

მუჭო თოლი უძიცანს: ი. ყიფშ., გვ. *136* – „თვალი როგორ უცინის”

თოლეფი გაფუ გოძიცელი: მასალ.,გვ. 93 – „თვალები გაქვს მოცინარი“.

ლაზურში:

ლაზურშიც, ისევე როგორც მეგრულში, ქართველური ძირი **ძიც/დიც/ძიწ** გამოიყენება. **ძიცა/დიცინი/ძიცინი** – „სიცილი“; ნასესხებია **გიულმა** – (თურქ. gülmek) „სიცილი“;

სიცილის სხვადასხვა ნიუანსების გამოსახატავად გვხვდება შემდეგი ლექსემები:

გოტაკუ – სიცილი სხვის გასაღიზიანებლად, დაცინვა;

გოჯიჯილუ – კბილების გამოჩენით, ღრძილებამდე სიცილი, გალმეჭა;

ოხარხალუ – ხარხარი (თანდ.);

ოხენჩქელუ, ხრენჭკუა – სიცილისას კბილების გამოჩენა; მოხენჭკუ კბილების გადმოყრა სიცილისას;

დიცა – ღიმილი; **ოძიცუ** – გაღიმება, გაცინება; ელაძიცინუ – გაღიმება, ღიმილი;

მოხეჩელუ, მოხენჭკუ – კბილების გამოჩენა, გაღიმება;

გამანგალუ – ზურგზე დაცემა სიცილისაგან;

ოხირხინუ, ოქირქინუ, ჭიხინაფა – კისკისი;

ფრაზები:

ძიცათენ დოლურუ – სიცილით მოკვდა;

ჯიჯილეფე გუსთვუნ/გოუსთვუნ/გუსტვუნ/გოუსტვუნ – ღრძილები გამოუჩინა = დაეღრიჭა;

ჯიჯილეფე გოტაკუ – ღრძილები დაუკრიჭა=დაკრიჭა

მაგ.: **პანდა ძიცინეი ტათ!** (ჩიქობ.,63),, მუდამ გაცინებული იყავით!“

ოხოშე იდუ-ში, ბოზოქ ძიცინეი ნეკნა ქოგუნწკუ.(დიუმეზ.,52) „სახლში რომ მივიდა,ქალიშვილმა სიცილით კარი

გაულო“.

მემეტიქ იძიცუ დო: “ე, ულნოსე! ჲა, მა არ ხე ნცას გემიკლიმუნ, ჲოქსე ოხობუშქუა-ნა წკარის

გეჲლამტი”. (დიუმეზ.,24) „მემეტმა გაიცინა და: “ჰე, უჭკუოო! ერთი ხელი ცაზე მიკიდია, თორემ მე რომ გავუშვა, წყალში ჩაეფლობი”.“

დივიქ არ ქელიძიცუ დო ნეკნას ხე მონთხუ. (დიუმეზ., 65) „დევმა ერთი ჩაიცინა და კარსხელი მოკიდა.“

ხუალა ჭუტა ელუძიცინუ. (დიუმეზ., 64) „ მხოლოდ ცოტა გაულიმა“.

ბიჭიქ ელიძინუ დო: „სი მუ გაშქურინეტას-ჲა“ (დიუმეზ., 84) „ბიჭმა გაილიმა და: „შენ ნუ გეშინიაო“ “.

ბადიქ იზმოჯე ნა ძირომტეს-თერი ელაძიცინერი ქოჯანტუ (ასათ. 391) „მოხუცი, თითქოს

სიზმარს ხედავსო, გაღიმებული იწვა“.

ჯიჯილეფე გუსთუ... „იძიცამს”-ჲა... (ასათ., 203) „გაელრიჭა (ღრძილები გამოაჩინა)... „იცინისო“.

დივიქ ჯიჯილეფ გოტაკუდორტუნ დო იძიცამტუ (დიუმეზ. 32) „დევმა ღრძილები დაკრიჭა და იცინოდა“.

ტუა ძიცათენ დოღურუ (კარტოზია, 181). „კინაღამ სიცილით მოკვდა“.

სიცილის კონცეპტის შედარებით ფორმატში შესწავლის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა ქართველურ ენათა მონაცემები; როგორც ვ. ჰუმბოლტი აღნიშნავდა: ენების კვლევა მსოფლიო ისტორიის გათვალისწინებით აჩვენებს, რომ ენა, თავისი ბუნებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, სამყაროში ყველაზე უმაღლესისა და უმშვენიერესის წარმომშობია. მათი ბედის მრავალფეროვნების მიხედვით

შეგვიძლია ისინი განვასხვავოთ, განვსაზღვროთ მათი ხასიათი, მიზეზები მათ აგებულებაში ვეძიოთ და მათი ისტორიული ღირებულება განვსაზღვროთ.

3. შიშის კონცეპტი და შიშთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები ქართველურში

სიტყვა აზრის ვერბალური გამოვლინებაა. აზრი იქმნება ნიშნებით, ჩვენ შეგვიძლია აზრს ჩავწვდეთ მხოლოდ სიტყვების მეშვეობით. **კონცეპტი მიეკუთვნება ნაციონალურ ენობრივ ცნობიერებას, იგი ენისა და აზრის ერთიანობაა,** რომელიც ასახავს იდეალური ან რეალური სამყაროს საგანს (მოვლენას) და ინახავს ენის ნაციონალურ მეხსიერებაში ვერბალური აღმნიშვნელის სახით. კონცეპტი – აბსტრაქტულობის მაღალი ხარისხის სემანტიკური წარმონაქმნია (ინტერნეტრესურსი, ვიკიპედია)

„უცხო ენა შესავალია უცხო კულტურაში და ახალი ენის ცოდნა ამ ენის მატარებელი ხალხის სულიერი მემკვიდრეობის გაცნობაც არის“ (რამიშვილი 2002: 21).

ლექსიკა ენის ყველაზე მგრძნობიარე ნაწილს წარმოადგენს. იგი პირდაპირ ასახავს სოციალურ ყოფას. ენაში ახალი სიტყვების წარმოქმნა, გაქრობა ან ლექსიკური ერთეულების პასიურ მარაგში გადასვლა ხშირად სოციალურ – კულტურულ ფაქტორებს უკავშირდება. **ენებს შორის დიდი განსხვავებაა მათი ლექსიკის ბუნების თვალსაზრისით“ (სეპირი 2005: 42).**

შიში უხსოვარი დროიდან არაერთი დისციპლინის კვლევის ობიექტს წარმოდგენს. მას იკვლევს ფილოსოფია, ფიზიოლოგია, ფსიქიატრია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია და ა.შ. ლინგვისტიკაში განიხილავენ, ერთი მხრივ, შიშის აღმნიშვნელ ლექსიკას, მეორე მხრივ შიშის, როგორც ემოციის გამოხატვის საშუალებებს. ანტიკურ საბერძნეთში შიში ყოველთვის კონკრეტულ ობიექტთან იყო დაკავშირებული. პლატონი და არისტოტელე

შიშს განმარტავენ, როგორც ფიზიკურ რეაქციას. **შიშს ადამიანის ემოციებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. შიში არის არასასიამოვნო, შემაწუხებელი გრძნობა.**

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: „ხოლო შიშიცა განიყოფების ექვსად: მცონარებად, კდემულებად, სირცხვილად, განკვირვებად, განცვიფრებად და უღონოებად.

მცონარება ვიდრემდე არს შიში მყოფადისა მოქმედებისა; ხოლო კდემულება – შიში მოლოდებითა ძაგებისათა და კეთილ არს ესე ვნებაჲ; ხოლო სირცხვილი – შიში ბილწებისა რისამე საქმესა ზედა და არცა ესე უსასო არს ცხოვრებისაგან; და განკვირვება – შიში დიდისა ოცნებისაგან; ეგრეთვე განცვიფრება – შიში უჩვეველისა საოცრისაგან; ხოლო უღონოება – შიში განვრდომილებისა“ (ორბელიანი 1993:303).

შიშის განხილვის დროს ქართულში უნდა გამოვყოთ საკუთრივ **შიში, შიშები და ღვთის შიში.**

იოანე საბანისძესთან ვკითხულობთ, რომ **შიში არის სულის სამოსელი:** „ჯერს არს ჩემდაცა დღესა ამას, რაჲთა განვიძარცვო შიში ხორცთა ამათ ჩემთაჲ, რომელნი სამოსელ არიან სულისა ჩემისა, და შთავხდე, ვითარცა სიღრმესა ზღვისასა, შორის ქალაქსა ამას და ნათელვიღო სისხლითა ჩემითა და ცეცხლითა და სულითა, ვითარცა ქადაგა წინამორბედმან იოვანე“ (საბანისძე 1963: 68).

ზოგადად შიში ქართულში უარყოფითადაა შეფასებული და სირცხვილად ითვლება: მშიშარა ადამიანს ქართულში მხდალს, ლაჩარს უწოდებენ, ხოლო უშიშარს – გულადს, ვაჟკაცს: „ცამდინ აჰყავდათ გულადნი, თავგადადებულნი ვაჟკაცნი, მაშინ,

როდესაც მასხარად იგდებდნენ მშიშარებს და ლაჩრებს“ (ყაზბეგი 1984: 164). უშიშრობა ვაჟკაცობის ნიშანი იყო. მშიშარა ქართულში დიაცთან ასოცირდება.

შიშის გამოხატვა ქართულში დაკავშირებულია:

სიმკრთალესთან, ფერის დაკარგვასთან; გაშეშებასთან; დამუნჯებასთან; სუნთქვის შეკვრასთან; კანკალთან, ცახცახთან; გონების დაკარგვასთან; დაპატარავებასთან; გულთან (ქართულში შიშთან დაკავშირებულ ლექსიკურ ერთეულებში ვხვდებით სიტყვა გულს). **სულთან; თვალებთან, ყურებთან, თვალწარბთან; ზართან; ქართან; ჩრდილთან; თმასთან: თმის ყალყზე დადგომა...**

შიში გვხვდება ანდაზებში:

შიში მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო; შიშს დიდი თავლები აქვსო;

საშიშის, ძლიერის აღსანიშნავად ამბობენ: **იმის შიშით ზევით ჩიტი ვერ გაფრენილა, ქვევით ჭიანჭველას ვერ გაუვლია.**

საინტერესოა დიალექტური ფორმები: მაგ. **შიშნაკრავი, შიშჩამდგარი, შიშზარიანი, ძარღვშეშინებული, შიშხათი** (გურ.), **შიშამქრალა** (კახ.), **შიშიბელა** (ფშ.), **შიშლოურთი** (გურ.), **შიშროული...**

შიშის ემოციის გარეგანი გამოხატულება შემდეგნაირად აისახება ქართველურ ლექსიკაში:

შიშის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე სვანურში:

მაყალ „შიში“, ლემყაწ „საშიში, საშიშარი, საშიშროება“, ლიყაწლუე „შინება, შეშინება, დაშინება“, ლიმყაწლუაწ „მშიშრობა, შიშიანობა“, მგყაწლუე „შემშინებელი, შემაშინებელი“, ნაყაწლუ „დაშინებული, შიშნეული“, ლგყაწლუე „შეშინებული,

მოშიში, მოშიშე, მოშიშარი“, **მაყლუჴრ** „მშიშარა“, **ლეყჴლუე** „შესაშინებელი, დასაშინებელი“, **მაყლუჴრილ** „მშიშარუნა“ (კნინ. ფ.)...

შიშთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები სვანურში ასეთი სახისაა: ჩუჴდფლიწჯჴნ „გაშეშდა“, **მაყალშუ მაჯჯგგნა ოხშყჴდ** „შიშისგან კანკალი აუვარდა“, **ჰჴბ ქრთჩჴდ** „ფერი წაუვიდა“, **ტჴნ ი ტუფ მჴგ ლარკუნად ოხშყჴდ** „კანკალმა/ცახცახმა აიტანა, (ტანი და კანი ერთიანად აუკანკალდა“.) **მაყალშუ მარკუნა ოხშყჴდ** „შიშისგან კანკალი აუვარდა“, **ჲერხი მეხუნჴლ მაყაშუ ესერ იხუნჴლ (ანდ.)** – ზოგი დამმუქრებელი შიშით იმუქრებაო“ (სვან. ლექსიკ. 2000: 552)

ფუსგულ კაჩ ახჴგჴნ „შიშმა აიტანა, შეჰზარა, („ბუსუსები ზე წამოუდგა„) შდრ. ქართ. **თმის ყალყზე დადგომა,** რომელიც გამოხატავს შეშინებას, თავზარის დაცემას. **მიჩა მჴფრფრლდ ი ხაყულუნი** „თავის აჩრდილისაც ეშინიაო (იტყვიან ძალიან მხდალ ადამიანზე).

შიშის ეთნო-ისტორიულ და ლინგვოკულტუროლოგიურ კონტექსტში განხილვის თვალსაზრისით საინტერესოდ მივიჩნიეთ მეგრული **ვაშინერს და** სვანური **შიდ ლექსემები:** მეგრულში **ვაშინერს** იტყვიან მასზე, ვისი ან რისი ხსენებაც შიშისმომგვრელია, ცოდვაა, ტაბუა, როცა რაიმე საგანი, სიტყვა ან საქმე აკრძალულია. ვაშინერება კი ნიშნავს რწმენაზე დამყარებული შიშის გამო რაიმე საქმის არქმნას ან სიტყვის ართქმას (ქობალია 2010:306).

სვანურში იგივე დატვირთვა აქვს ლექსემას **შიდ:**

ლჴდი ლიშდჴბ მჴმ შიდ *„დღეს მუშაობა არ შეიძლება“.*

ამჟი ტულიხ, ერე დუეშდიშ ცჴშ ი საფტინ ლადეღ სჴციქუ

მამ ხოშიდხ ეჯ მეზგაწლს, ე ერუწაძს ლაშგ–ლაყელ ხარხ ი ერუწაძს ღობარ ხრგხ *„ასე ამბობენ, რომ ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს საციქველის გაცემა არ შეუძლიათ იმ ოჯახებს, რომელთაც აქვთ კარგი წველა და ჰყავთ ფუტკარი“.*

შიშის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდიდან ქართულში ცალკეა განხილული ლექსემები – **შიშიანობა, უშიშროება, ზარი.** სიტყვის მნიშვნელობა დროთა განმავლობაში იცვლება და ცვლილების გამომწვევი მიზეზები მხოლოდ ლინგვისტური ფაქტორებით არ აიხსნება. იგი უნდა განიხილებოდეს ეთნო-ისტორიულ-ლინგვოკულტუროლოგიურ კონტექსტში. **შიშის ლექსიკურ–სემანტიკური ბუდე მეგრულ-ლაზურში:**

მეგრულში:

შქურ – ოშქურუ (ეშინია), აშქურინე (შეეშინდება), შქურინი (შიში), შქურინაფილი (შეშინებული), ნაშკურინეფ (შეშინებული ,შენაშინები), უშქურნაფუ (შეუშინებელი, უშიშარი), უშქურანდო (უშიშრად), უშქურანჯი (უშიში, უშიშარი);

შიშ – ოშიშგ (ეშინია), დეეშიშგ (შეეშინდა), შიში (შიში),

1. **მა თეშა რე მოშკურუნი:** ქხს, *1*, გვ.*105* – მე ამისაა, რომ მეშინია.

2. **სქანდა ირფელც ოშკურუ** – შენი ყველას ეშინია.

3. **შიში მუ რენი, ვოუჩქუ** – შიში რა არის, არ იცის.

4. **უშქურანდო მინიილგ ზალაშა:** მ.ხუბ., გვ. *215* – უშიშრად შევიდა ზალაში.

5. **ბულათია ფიფია რდ ქომოლი, უშქურანჯი, თინ:** აია, *2*, გვ.*69* – ბულათია ფიფია იყო ვაჟკაცი, უშიშარი, პირდაპირი.

6. **კგრდეთ ოკო ქგდოხვადე, უშქურანჯო ორჯგინენი:** კ.სამუშ., ქართ.ზეპ., გვ. *88* – კლდესავით უნდა დაუხვდე, უშიშრად რომ აჯობო.

7. **სახელი ხოლო უშქურნაფუ ბჯოხო** --სახელიც უშიშარა მქვია.

8. **დეეშიშგ დემქ დო გეგნოლგ:** მ. ხუბ., გვ. *81* --შეშინდა დევი და გადავარდა.

9. **ანწი სქანი შქურინით თაკურე ულას მივოტალე** – აწი შენი შიშით აქეთ სიარულს მივატოვებ.

10. **ნუ გოშქურუნია ჩქიმდა:** ი.ყიფშ., გვ. *174* – ნუ გეშინიაო ჩემი.

11. **დემს ოშქურგ:** ი. ყიფშ., გვ. *41* – დევს ეშინია.

12. **ვა გაშქურინასგ:** ი. ყიფშ., გვ. *18* – არ შეგეშინდეს.

13. **ე ბოშის აშქურინე:** ი. ყიფშ., გვ. *54* – ამ ბიჭს შეეშინდება.

14. **არძაქგ დოშქურონდუა:** ქხს, *2*, გვ. *22* – ყველა შეშინდაო.

15. **სი უბადო, მუქგ დოგოშქურინუა?** ი. ყიფშ., გვ. 42 – შე საცოდავო, რამ შეგაშინაო?

16. ვარიაქგ **აკა ნდემცგთი ვა გააბედინგ, ფერი შიში ოძირგი.** ყიფშ., გვ. 65 – უარი ვერც ერთმა დევმა ვერ გაბედა ისეთი შიში აჩვენა.

17. გერიში **შქურინაფილი** ჯოლორქ წანამოწანას ჯიკის ულალუა. ყიფშ., გვ. 176 – მგლის შეშინებული ძაღლი მთელ წელიწადს ჯირკს უყეფდაო.

18. ლანდიშ **ნაშკურინეფ** ჯოლორ ჯიკის ულალუნდუა ყიფშ., გვ. 176 – ლანდის შეშინებული ძაღლი ჯირკს უყეფდაო.

19. **ნტერეფი ჯარც მიოლურუ დო შიშით ცანცალანც:** მასალ., გვ. *90* – მტრები ჯავრით კვდებიან და შიშით ცახცახებენ.

20. **ჭე იშათი ქგმოშქურუ, შურით ხოლო მებდინე:** ი. ყიფშ., გვ. *163* – ცოტა იმისაც მეშინია, სულითაც დავიკარგო.

შიშიში ღურელი// შიშითი ღურელი შიშის//შიშით მკვდარი.

გადატ. ძალიან შეშინება.

შიშიში ძირაფა შიშის დანახვება. გადატ. შეშინება.

შიშიშე გოლაფა – ელდა, ელდის ცემა (შიშისგან)

თოლიშ დოფახურაფა – თვალის დახამხამება; შეშინება

ფაფაფი თოლიში – ხამხამი თვალისა. გადატ. შეშინება. **ჯოლორ ულალუნდუნი, თოლიშა ვადუფაფუაფუ** – ძაღლი რომ უყეფდა, (იმას) არ შეშინებია (თვალი არ დაუხამხამებია).

შიშიში ღურელი ათაქ მითოცანცალანს. ი. ყიფშ., გვ. *6* – შიშით მკვდარი (ძალიან შეშინებული) აქ კანკალებს.

შიში ქუმოძირი დო რტინას გოძირანქია:ა. ცან., გვ. *125* – შიში მაჩვენე (შემაშინე) და გაქცევას გიჩვენებო.

მოურქუუ ლეკურინი, თოლიშა ვადუფახურუაფუ, ვადოშქურონდუ – რომ მოუქნია ლეკური, თვალი არ დაუხამხამებია, არ შეშინდა.

ჯოლორ ულალუნდუნი, თოლიშა ვადუფაფუაფუ – ძაღლი რომ უყეფდა, (იმას) არ შეშინებია (თვალი არ დაუხამხამებია).

ლაზურში:

ლაზურში **შქურ/შკურ** ძირისაგან ნაწარმოები ლექსემებია: **შკურ-ინ-ა** „შიში“, **შქურ-ინ-ერ-ი** „დაფეთებული, შეშინებული“, **ო-შკურ-ინ-უ/ო-შკურ-ინ-უ** „შეშინება“, **ო-შკურ-ინ-ონ-ი** „საშიში“, „შესაშინებელი“, **ო-შქურ-ინ-აჯე** „საშიში“; **დო-შქურ-დ-ინ-აფ-ა** „დაშინება, შეშინება“, **დო-შქურ-დ-ინ-ერ-ი** „შეშინებული, დაშინებული“, **დო-შქურ-ინ-აფ-ა** „დაშინება“, **დო-შქურ-ინ-ერ-ი** „დაშინებული“, **დო-შქურ-ინ-უ** „შეშინება, დაშინება“, **დო-შქურ-დ-ინ-აფ-ა** „დაშინება, შეშინება“, **დო-შქურ-დ-ინ-ერ-ი** „შეშინებული, დაშინებული“; **ჲე-შქურ-დ-ი-ნერი / ე-შქუნ-დ-ინ-ერ-ი** „დაფეთებული, შეშინებული“, ჲე-შქურ-დ-ინ-უ „დაფეთება,

შეშინება, დაფრთხობა“, **ჲე-შქურ-ინ-ერი** „დაფეთებული“, **ჲე-შქურ-ინ-უ** „დაფეთება, დაფრთხობა, შეშინება“, **დო-ნო-შქურ-ინ-ე** „დანაფრთხობი“, **მ-შქურ-ინ-უ** „შემშინებელი, დამშინებელი, დამფრთხობი“, **მ-შქურ-ნ-აჯ-ე** „მშიშარა“, **ნო-შქურ-ინ-ე** „ნაფრთხი, დანაშინები“;

შიშის კონცეპტში შედის სხვა ძირებისგან ნაწარმოები სიტყვები, რომელთა შორის გვხვდება თურქიზმებიც: კვანტ-ერ-ი „შემცბარი, დარცხვენილი, შემკრთალი, შეძრწუნ-ებული“, ჲე-ბუწ-ინ-ერ-ი „დამფრთხალი“, **ო-მკუთ-უ** შეკრთომა, **ე-მკუთ-ი-ნუ** „შეშინება“, **ე-მკუთ-ინ-აფ-ა** „დაფრთხობა, შეშინება“, **ე-მკუთ-ინ-ერ-ი** „დამფრთხალი“, **ე-მკუთ-ინ-უ** „დაფრთხობა, შეშინება“, **ჲე-მკუთ-ინ-უ** „შიშისგან ახტომა“, **მ-კანკალ-უ** „მკრთომი, მკრთომარე“, **კანკალ-ერ-ი** „აკანკალებული“, გო-**აფ-უ/გო-ჲ-აფ-უ** „შეშინება“, **გო-ზურ-ინ-ელ-ი** „შეშინებული“, **გო-ზურ-ინ-უ** „შეშინება (შეშინდა)“, **დოლო-ზურ-ინ-უ** „ბოლომდე შეშინება“, რუფი || რუჭი (თურქ.) „უცაბედი, დიდი შიში“.

ფრაზეოლოგიზმები და იდიომები შეიცავს როგორც მხოლოდ საკუთრივ ზანური, ასევე ნასესხები და ლაზური ლექსემების შენაერთს:

შქურინა ქოდოლვატუ – შიში ჩაუვარდა (დაშინდა).

შკურინა დოლოქაჩუ – შიშით შეპყრობა.

თუ შკურნა გალე! – ღმერთმა აგაცილოს, დაგიფაროს; ღმერთმა არ გიჩვენოს! (ზედმიწ. ღმერთის შიშის გარეთ =ღმერთმა აგაცილოს).

გური უტკვაცუ – გული გაუსკდა (შეშინდა).

გურიშ ოკოლაფუა – გულის ჩავარდნა (შიშით).

რუჭი მიკაფუ-ქოდოლომანთხუ – დიდი შიში ჩამივარდა უცებ.

რუტი ქოდობუჯოხი – ძალიან შევშინდი (დიდ შიშს დავუძახე).

რუტი ქოდოლომიხთუ – დიდი შიში ჩამივარდა

1. დივეფექ ბერეშე **აშქურინესდორენ** დო ჯუმა დოწოფხესდორენ (დიუმეზილი IV, 26) „დევები ბავშვისაგან შეშინებულან და ძმად გაუხდიათ“.

2. ექ სოთი ვარ ამახთათ, **ქოდოშქურდუთ- ა!** (კარტოზია, ლაზ. ტექსტ., 154) „იქ არ შეხვიდეთ, შეშინდებითო (კარტოზია – ლაზური ტექსტები, გვ. 15426).

3. მა გამბთანა კილიჯი ელიწკასერჲა დო **აშქურინუდორენ** (დიუმეზილი IV, გვ. 26) „მე თუ გავალ, ხმალს ბუდიდან ამოიღებსო, და შეშინებულია“.

4. ათმაჯა ონწკიალონიში სერსიშე **ემკუთუნ** (ჟღენტი, ჭანური ტექსტები, გვ. 153) „მიმინო ეჟვნის ხმისგან დაფრთხება“.

5. ბერე **დოშქურინეი** რენ, ბექიმდა, იხი ქჲაყონუ (თანდილავა, 309) „ბავშვი შეშინებულია, შეიძლება, ავი სული აჰყვა“.

6. მევუნთხატიკონი, **ჲეშქურდუტუ** (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 56) „რომ მეკრა, შეშინდებოდა (დაფრთხებოდა)“.

7. კოჩიქ „ოჲა“ დო **ჲეშქურდუ** (კარტოზია, ლაზური ტექსტები,14) „კაცმა „ო-ო“ და შეშინდა (დაფრთხა)“.

8. მასუმანი ოდაშა **შქუინეი** დო კანკალეი ვა მეხთუ (კარტოზია, ლაზური ტექსტები, 55) „მესამე ოთახში შეშინებული და აკანკალებული არ მივიდა“.

9. **დიდი ჯუმას აშქუინუ დო ყუუ** (კარტოზია, ლაზური ტექსტები, 8) „უფროს ძმას შეეშინდა და იყვირა“.

10. **შქუინელი** მთუთი უსესელი მეხთუ მამუდიშა (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 43). „შეშინებული დათვი უხმოდ მივიდა

მამუდთან“.

11. მემეტი დიდო **ჲებუწინერი კოჩი რენ** (თანდილავა, 314) „მემეტი ძალიან დამფრთხალი კაცი არის“.

12. სი ჰაკონაი **მშქურნაჳე** ნა ტი, ვამიჩქიტუ (კარტოზია, ლაზური ტექსტები, 181) „შენ ამდენი მშიშარა რომ იყავი, არ ვიცოდი“.

13. ხუსენი **შქურნათე** გოჲქთუ (ჟღენტი, ჭანური ტექსტები, 8) „ხუსენი შიშით დაბრუნდა“.

14. ჰამუს ტუა **გური უტკვაცუ** (კატოზია, ლაზური ტექსტები, 176) „ამას კინალამ გული გაუსკდა“

15. ბერეს **ეჲამკუთინასერე**-დეი კაპულათე მომიბეს (ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, 89) „ბავშვი შიშისგან წამომხტარი ზურგით ამკიდეს“.

16. არაბაფე ბძირატიში კატუსთეჲ **ემკუთუტი** (დიუმეზილი IV, 161) „ურმებს რომ ვნახავდი, კატასავით წამოვხტებოდი შიშით“.

17. ტაუშანი **ჲოვომკუთინ**“ (თანდილავა, 318) „კურდღელი წამოვახტუნე (შევაშინე)“.

18. **რუჩი დოლომინთხუნ,** პია მუნდეს ბღურა რე (დიდი ლაზური ნენაფუნა, 861) „დიდი შიში მაქვს ჩავარდნილი (ძალიან მეშინია), ნეტა როდის მოვკვდები“.

19. დიდო მო **ოშქურინაფ ქი გური ქაკულაფს** (დიდი ლაზური ნენაფუნა, 354) „ძალიან რომ შეაშინებ, გული ჩაუვარდება“.

20. ხონცას მჟორაშენ **აშქუჲნეტუკონ,** ცა ვა ონტრეცინამტუ (კარტოზია, ლაზური ტექსტები, 228) „გრგვინვას მზისგან რომ შეშინებოდა, ცას არ დაანგრევდა“.

21. კოჩი **შქურინა დოლოქაჩერი** ღურერის ქომენდაწკედუ (დიდი ლაზური ნენაფუნა, 885) „კაცი შიშით შეპყრობილი მკვ-

დარს უყურებდა“.

22. სერის გალე ქოგამაფთი-ი **გომაჲენ** (დიდი ლაზური ნენა-ფუნა, 341) „ღამით გარეთ რომ გამოვედი, შემეშინდა

შიშთან დაკავშირებული ლექსიკისა და ფრაზეოლოგიზმე-ბის თვალსაზრისით ქართველური ენების მონაცემები ტი-პოლოგიურად რამდენადმე განსხვავებულია სალიტერატურო ქართულისაგან, თუმცა კონცეპტუალური თვალსაზრისით ერთ საერთო სურათს წარმოგვიდგენს.

4. სირცხვილის გამომხატველი ლექსემები და ფრაზეოლოგიზმები ქართველურში

სირცხვილის გაგება განსხვავეულია ეთნოსებსა და ხალხებში, ის სხვადასხვაგვარად აღიქმება არა მხოლოდ სხვადასხვა კულტურაში, არამედ ერთსა და იმავე კულტურულ სივრცეში სხვადასხვა პერიოდში. სირცხვილის მნიშვნელობა ქართულში დაკავშირებულია სინდისსა და ნამუსთან. სინდისი საკუთარი საქციელის ავკარგიანობის შინაგან შეფასებას, საკუთარი ყოფაქცევისათვის ზნეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობას, პატიოსნებას აღნიშნავს (ქეგლი, 1986:408). საბას განმარტებით კი სირცხვილი „შიში ბილწებისა რისამე საქმესა ზედა და არცა ესე უსასო არს ცხოვრებისაგან" (ორბელიანი 1993: 303). სირცხვილის სახელდება დაკავშირებულია ადამიანის სხეულის ნაწილთან – ცხვირთან. სირცხვილს არნ. ჩიქობავა ცხვირთან აკავშირებს, სადაც ცხვრ // ცხუ-ირ ცხუ ძირია, ხოლო ირ – საწარმოებელი სუფიქსი: „ცხუ-ირ-: შდრ. ჰ-რ-ცხუ-ენ-ა... ა-რ-ცხუ-ენ-ს... სირ-ცხჯლ-... უ-რ-ცხჯნ-ო..." (ჩიქობავა 1942:82). ქართულში ადამიანის სასქესო ორგანოების აღსანიშნავად გამოიყენებენ ლექსიკურ ერთეულს სასირცხვო ან სასირცხვო ადგილები. მეგრულში ონჯღორე, სირცხვილის გარდა, ნიშნავს ასევე სასირცხვოზე ასაფარებელს (ქობალია 2010: 540). აღსანიშნავია, რომ უცხვირპიროს ქართულში უწოდებენ ადამიანს, ვისაც სინდისი არ აქვს, არაფრის რცხვენია. სირცხვილის ცხვირთან კავშირი შესაძლოა დაკავშირებული იყოს ძველ ქართულ სასჯელის ფორმასთან, რომელსაც ქმარი მოღალატე ცოლის დასასჯელად იყენებდა. ეს წესი გავრცელებული იყო ფშავ-ხევსურეთში, სამეგრელოში, ვისაც სასახლის ქალთან

სქესობრივი კავშირი ექნებოდა, ცხვირს აჭრიდნენ. ცხვირის მოჭრა ზნეობრივი შერცხვენა უფრო იყო, ვიდრე ფიზიკური ტანჯვა, რადგან ცხვირი სახის თვალსაჩინო ნაწილია და მისი არქონა სახეს ამახინჯებს (სახოკია 1979: 821-822). მეგრულში „ჩხვინდიშ მოკვათუა“ ნიშნავს ცხვირის მოკვეთას, სასჯელის ფორმას მოღალატე ცოლების დასასჯელად (ქობალია 2010: 679). სასირცხვილო საქციელის ჩამდენს ხშირად ასე მიმართავენ; შეგირცხვეს ცხვირიო. უნამუსო, უსინდისო ადამიანს ხშირად უცხვირპიროს უწოდებენ. ქართულში სირცხვილის ფუძისგან ნაწარმოები შერცხვენა შეურაცხყოფას, გაუპატიურებას, სახელის გატეხას ნიშნავს. შეურაცხყოფილ ადამიანს შერცხვენილს უწოდებენ. „წარმოების მიხედვით სირცხვილის ლექსიკურ ბუდეში გაერთიანებული ლექსიკური ერთეულები შემდეგნაირად შეიძლება დაიყოს: 1) რცხვ- ფუძით ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები: სირცხვილი, რცხუენა, დარცხვენა, დარცხუენა, დარცხვენილი, სამარცხვინო, მარცხუენელი, მორცხვობა, მორცხუე, მორცხუედი, შერცხვენა, შერცხუენა, შერცხვენილი, შესარცხვენი, შეურცხვენელი, სარცხვინელი, სასირცხვილო, სასირცხვო, სირცხვილეული, ურცხვი, ურცხვობა, უსირცხვილო, უსირცხვილობა, უსირცხვო, უსირცხვობა, სასირცხვნე, სასირცხვნო, სასირცხვნელი; 2. როდესაც ლექსიკური ერთეულის პირველ კომპონენტს წარმოადგენს სიტყვა სირცხვილი: სირცხვილ-ნამუსი, სირცხვილნაჭამი, სირცხვილდაკარგული“ (იაკობიძე: 2015: 61).

სალიტერატურო ქართულთან მიმართებით უაღრესად საინტერესოა როგორც სირცხვილის კონცეპტი ზოგადად, ასევე სირცხვილის გამომხატველი ლექსემები და ფრაზეოლოგიზმები ქართველურ ენებში;

მეგრულსა და ლაზურში სირცხვილის აღმნიშვნელია ლექსემა **ონჯღორე**, რომელიც ცალკე ერთეულადაც გვხვდება წინადადებებში და შესიტყვების ნაწილადაც. მაგ. მეგრულში: **ონჯღორე** – სირცხილი; **ონჯღორე უჩქუ** – რცხვენია (სირცხვილი იცის), იმავე მნიშვნელობისაა **ონჯღორე აფუ** – სირცხვილი აქვს, **ონჯღორეთ ღურუ** – სირცხვილით კვდება; **ონჯღორეშ ნავილა** -სირცხვილით მკვდარი (სირცხვილის მოკლული); **ონჯღორე ვა ჭკუმას** – არ შერცხვეს (სირცხვილი არ ჭამოს) და ა.შ. მეგრულში სირცხვილის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმებიც გვხვდება. მაგ., **დუს ლაფი გეწუმილი** – თავს ლაფდასხმული (შერცხვენილი); **ღვაეკორჩხილი/ ღვაგორჩხილი,** – უსირცხვილო; **ღვაელასირქილი** – შუბლატლეკილი; გადატ. უსირცხვილო; **ღვამიკორჩხილი /ღვაგორჩხილი,** – ურცხვი, უტიფარი, უსირცხვილო; **შერცხუნილი** – შერცხვენილი; **შერცხუნილიში გორჩქინელი (სქუა)** შერცხვენილის გაჩენილი (შვილი); // გადატ. სამარცხვინო;

1. **ჩქიმო ონჯღორე ლე** (ყიფშ., 7) „ჩემთვის სირცხვილი არის“.

2. **უონჯღორეს უონჯღორე მოღუნსია** (ხალხ.სიბრ., 134) „უსირცხვილოს უსირცხვილო მოჰყავსო“.

3. **გათხუალა გოკო, მარა ონჯღორე გიჩქ რაგადიშა** (სამუშ., 30) „გათხოვება გინდა, მაგრამ თქმის გრცხვენია (სირცხვილი იცი)“.

4. ***თე ბოშიქ ღუდესგ ვა გააცხადგ* ონჯღორეშენი** (ყიფშ., 27) „ამ ბიჭმა სახლში არ თქვა (გააცხადა) სირცხვილის გამო (სირცხვილისათვის)“.

5. **ონჯღორეშ ნაღვილა კოჩი მის უძირუნია** (ცან., 116) “ სირცხვილის მოკლული კაცი ვის უნახავსო“.

6. **ვებდე, ონჯღორე მაფუ** (ხუბ., 33) „რომ არ წავიდე, მრცხვენია (სირცხვილი მაქვს)".

7. **ონჯღორეთ მიმორჩქდ დო ნგარას მითას ვოძირანდი** (მასალ., 108) „სირცხვილად მიმაჩნდა და ტირილს არავის (არ) ვაჩვენებდი".

8. **დოლურუ ონჯღორეს უნჩაში სინჯაქ** (ყიფშ., 100) „ძალიან შერცხვა (სირცხვილით მოკვდა) უფროსი სიძე".

9. **ენა ვარე საონჯღორო** (ეკური, 382) „ეს არ არის სა-სირცხვილო".

10. **ადამურს ონჯღორექ დააგური** (ხუბ., 275) „ადამურს შერცხვა (სირცხვილი მოენიჭა)".

11. **ონჯღორე ვამოძირავა** (ყიფშ., 44) " არ შემარცხვინოო".

12. **მა ქორთხიინთ, ონჯღორე ვაჭკომათინი** (აჭარ. დიალექტ ლექსკ., 67) „მე გთხოვთ, რომ არ ჭამოთ სირცხვილი".

13. **ათეცალი ტვაგორჩხილი კოჩი ვამიძირუ** – „ასეთი შუბლ-გარეცხილი კაცი არ მინახავს.

14. **დუდჭკირილი მაფუ თიწკმა დო იში ძირაფა ღურაცალო ვამოკო** – „შერცხვენილი ვარ (თავი მოჭრილი მაქვს) მასთან და იმისი ნახვა სიკვდილის მსგავსად არ მინდა".

15. **თექი გერდი, ურჩქილედი, სი დუსლაფი გეწუმილი!** – „იქ იდექი,უყურებდი, შე თავსლაფდასხმულო!"

16. **დუს ლაფიქ გინგოწუ** (*ქხს, 1,* 311) –" თავს ლაფი დაგ-ესხა".

ლაზურში: ონჯღორე – „სირცხვილი", **ონჯღორე ავენ** – რცხვენია (სირცხვილი ექმნება"; **ონჯღორეს გეტალა** – „სირცხვილში ჩავარდნა," **ონჯღორე გეიტალამს** – „შეგრცხვება (სირცხვილში ჩავარდება, სირცხვილი დაეცემა)"; **ონჯღორეთე**

ღუალეფე გამჭითასენ – „სირცხვილისგან ლოყები გაუწითლდება“ და სხვ.

მეგრულ-ლაზურში **ონჯღორ** ძირისგან იწარმოება სახელური და ზმნური ფორმები: მეგრ.- **უონჯღორო** (უსირცხვილო) და **საონჯღორო** (სამარცხვინო), **ოონჯღორუ** (რცხვენია)... ლაზ. – **ონჯღორიანი** (დარცხვენილი, სირცხვილიანი), **უონჯღორიარ** (უსირცხვილო)...

ლაზურში სირცხვილის აღმნიშვნელი სხვა ლექსემებიც მოგვეპოვება, მათ შორის ხშირად ბევრი ნასესხები სიტყვა გვხვდება: **კვანტერი** შემცბარი, დარცხვენილი, შემკრთალი, შეძრწუნ-ებული, **კვანტერ-კვანტერი** დარცხვენილი (დარცხვენით), **მოჭიბრერი** „დარცხვენილი, ჩუმად მყოფი“, **მოჭიბრუ** „დარცხვენა, ჩუმად ყოფნა, მორიდება“, **ნოხაბი** „მორცხვი, ნაზი“, **ჩანჩობა** „ურცხვი, უტიფარი საუბარი“; **აიბი** (თურქ. ayip) სირცხვილი, **ალლი** (თურქ. arli) მორცხვი, **არი** (თურქ. ar) სირცხვილი, **არლი** (თურქ. arli) სირცხვილიანი, მორცხვი, **არსუზი** (თურქ. arsiz) უზრდელი, უსირცხვილო, **თუხმი** მორცხვი, **ჲაზუღოლსუნ** (თურქ. yazukolsun) საცოდაობისათვის, შეგირცხვეს თავი, **რეზილი** (თურქ. rezil) სამარცხვინო, შერცხვენა, **რუსვაი** (სპარს.-თურქ. rüsvay) შერცხვენა, გაწბილება, სახელის გატეხვა, თავის მოჭრა, **ქეფაზე** (თურქ. kefaze) შერცხვენილი...

1. აქ დოხუნუ **ონჯღორე** ვა რენი სქანდა, ოშ კოჩის (კოჩიშ) ბედელი-ნა რე? (ყიფშიძე,11) – „აქ დაჯდომა სირცხვილი არ არის შენთვის, ასი კაცის ბადალი რომ ხარ?“.

2. ჲაღ ოლსუნ ბოლაქი სიჯას **ონჯღორე ავუ**! (ჩიქობავა, 6) – „საბრალო სიძეს, ნეტავი, შერცხვა!„

3. „**ონჯღორეს** მოთ **გემიტალით**“-ჲა (ჟღენტი, 121) –

„სირცხვილში რატომ ჩაგვაგდეო“.

4. მუშე კალსა **ონჯღორე ვარ გეჲტალაფს** (ყიფშიძე, 48) – „მას რაც შეეხება, სირცხვილში არ მოიტოვებს (არ ჩააგდებს)“.

5. ჰენთეფეს **ონჯღორე ავეს**, ლაქინ კაპულა ქონირეს (ჟღენტი, 125) – „მათ შერცხვათ, იმიტომ რომ ზურგი უჩვენეს“.

6. მუთიშე **ონჯღორე ვარ მაჲენან** (ყიფშიძე, 75) – „რაიმესი სირცხვილი არ გვექნება (არაფრის არ შეგვრცხვება)“.

7. ბოზო დიდო **ონჯღოჲანი** რენ (თანდ., 612).– „გოგო ძალიან მორცხვია“.

8. ბაზი **ონჯღორჲარი** ივენ ნეზული (ყიფშიძე,47)– „ზოგი მორცხვი იქნება, (ზრდილობიანი, მორიდებული) ნაზი“.

9. ა ბერეს ჰიჩ **აიბი** ვარ უჩქინ (თანდ., 6)– „ამ ბავშვმა სრულებით სირცხვილი არ იცის“.

10. კოჩი მციქა **ალლი** ტასინონ (თანდ., 10) – „კაცი ცოტა მორცხვი უნდა იყოს“.

11. ბერე ეკო **არსუზი**, ეკო ელამცქვეი იყვერეტუ-ქი... (ჩიქობავა, 77)– „ბავშვი ისეთი უზრდელი (უსირცხვილო), იმდენად განებივრებული გამხდარიყო, რომ...“.

12. **ჲაზულოლსუნ**, ბოლაქი სიჯას ონჯღორე ავუ! (ჩიქობავა, 67) – „საცოდავია (თავშერცხვენილი), სიძეს რცხვენია“.

13. ბაბა მუშის-თი პატი ქოდაწონუ: „ბოზო ჩქიმიქ **რეზილი** დომწოფხუ“-ჲა (ჟღენტი, 123)– მამამისსაც ეწყინა: „ჩემმა ქალიშვილმა უნამუსო გამხადაო (შემარცხვინაო)“.

14. „ჩქუ ჰაწი **ქეფაზე** სო ბიდათენ?“ (ყიფშიძე, 36) – „ჩვენ ახლა შერცხვენილი სად უნდა წავიდეთ?“

მ. ჩუხუამ მეგრულ-ლაზურ **ჯღორ** ძირს მოუძებნა ქართული შესატყვისი **ძრახ**: „ქართ. **ძრახ**-, **ძრახ**-ვ-ა, **ძრახ**-ავ-ს, ნა-**ძრახ**-ი, სა-**ძრახ**-ავ-ი, სა-**ძრახ**-ი, სა-**ძრახ**-ისი-ი. ზან. (მეგრ.)

ჯლორ-, მ-ო-ო-**ნჯლორ-**უ(ნ) „მესირცხვილება“, ო-**ნჯლორ-**ე „სირცხვილი“, სა-ო-**ნჯლორ-**ო „საძრახისი“, ჭან. **ო-ნჯლო'რ'-**ე „id“. რუსთველისეულ ნა-**ძრახ-**ში აშკარაა სასირცხვილოს შინაარსი (სჯობს სიცოცხლესა **ნაძრახსა**...). მეგრულში შესატყვისი ზმნური **ჯლორ** დაკარგულია; მისი არსებობის კვალი ჩანს ო-(ნ)**ჯლორ-**ე ნაზმნარ სახელში, რომელიც ქართული სა-**ძრახ-**ავ-ი-ს იდენტურია სტრუქტურულ-სემანტიკურად (შდრ.ნასახელარი ზმნა მ-ო-ო-**ნჯლორ-**უ(ნ))“ (ჩუხუა, 2000–2003:348). სვანურში ქართულისა და ზანურის შესატყვისი ძირი ვერ იძებნება.

სირცხვილის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე სვანურში აერთიანებს შემდეგ ლექსემებს: **შგუ̈ირ** „სირცხვილი“, **შგურა̈ლ** „სირცხვილიანი, **ლუშგუ̈ირ** „მორცხვი“, **ლიშგურა̈ლ** „სიმორცხვე, მორცხვობა“, **ლეშგუ̈ირ** „სამარცხვინო, სასირცხვილო, შემარცხვენელი, შესარცხვენი; ვინც, რაც სირცხვილს იწვევს“... სვანურში გვხვდება სირცხვილთან დაკავშირებეული შემდეგი ფრაზეოლოგია: **ლეშგუ̈ირდმესდე** „შერცხვენილი“, **კინჩხი ქუ̈ა̈ცა** „თავის (კისრის) მოჭრა“, **კინჩხილექვცე** „თავმოსაჭრელი“, **საყობელდ მესდე** „სამარცხვინოდ ქმნილი, შერცხვენილი“, **ღირსებამეკდე** „პატივაყრილი“, **შგუ̈ირიჟახე** „სირცხვილ–ნამუსი“, **უხი̈შკა** „უხიაგი, მდგომარეობა, როდესაც ადამიანს არაფრის რცხვენია“, **გიმს ლიყფგნე** „მიწასთან გასწორება“, **გიმს ლგყფგნე** „მიწასთან გასწორებული, შერცხვენილი“, **მიშგუ ფაყუ̈ გიმს უუ̈ ხა̈იხა, ჰე̈სა შგურა̈ლ ოსე** „შევრცხვენილიყავი, ჩემი ქუდი მიწასამც დანარცხებია, თუკი სირცხვილნაჭამი დავრჩე“, **ყორქა ლაჴ̈ა̈დ ჟიმეშდხე ხა̈რ** „თავლაფდასხმული,ლაფდასხმული, რაც საჯაროდ შერცხვენილს, შეურაცხყოფილს ნიშ-

ნავს“, **უშგურჳლა** „სირცხვილის არმცოდნე“, **კინჩხიმუქრუჴცე** „მარცხუენელი“...

შგუირიჟახალა თხუიმ ხჳრ ქა ლგდე (ექსპედიც. მასალები); „სირცხვილ–ნამუსისთვის (სირცხვილ–სახელზე) თავი გადადებული აქვს“.

ლიბოფშია ლიშგურჳლ ლიხოშთეი ქა ჳხჭჳმ (ექსპედიც. მასალები); „ბავშვობის სიმორცხვე დიდობაშიც გადმოჰყვა“.

სირცხვილის კონცეპტის ამსახველი ლექსიკა საინტერესოდ არის წარმოდგენილი ქართველურ ენათა ლექსიკონებსა და ტექსტურ გამოცემებში:

1. **ქორჳ ღვაჟჳრ ფაყვჳრს დემის იკედხ ლაგვჳნაჟინ ი ლაშდიღვჟინ, ალ'ეჩი ლჳნშჳნ ლ'ერე. ღვაჟჳრ შგურჳლ ლიხ ი ოდე დო ჩვჳდწორეხ მინე ლგდგჳრს, ეჩქად ფაყვჳრს დემის იკედხ**... (სვან. ენ. ქრესტ. 1978:46) „ოჯახის მამაკაცები ქუდმოუხდელები არიან („ქუდს არ იხდიან„) დატირებისას და დაკრძალვისას, ეს კი იმის ნიშანია, რომ მამაკაცები შერცხვენილები („სირხცვილიანები„) არიან ვიდრე არ იძიებენ შურს („არ ისისხლებენ მკვდარს„), მანამ ქუდებს არ მოიხდიან...„

2. „ალ ბეგჳრ ჩი ზურჳლს ხაგჳდ ი ალა მჳმ **ხოშგურხ**, ჰჳლ ჭაშვხჳნქა ლიღნავ (სვან. ენ. ქრესტ. 1978:41) „ეს ბეგარა ყველა ქალს ჰმართებს და ეს სულაც არ რცხვენიათ, ისევე როგორც ფეხმძიმობა მეუღლისაგან“.

შგურირიჟახე ზს. **შკურირ ი ჟახე** ლნტ. – სირცხვილ–ნამუსი, (სირცხვილი და სახელი). **შგურირიჟახე** ჩუოლუ ჳდთიშურა (ბქ. 210) სირცხვილ და ნამუსი ერთმანეთისგან გაგერჩიოს (თოფურია, ქალდანი, სვან. ლექსიკონი 2000:813). **შგვირ უშგვრი** „სირცხვილ–ნამუსი“, **შგვირ ულშგუურა** „უსირცხვილო ადამი-

ანი“ (ლიპარტელიანი, 2014:267);

მიუხედავად იმისა, რომ სირცხვილის აღმნიშვნელი ლექსემები ქართულში, სვანურსა და მეგრულ-ლაზურში სხვადასხვა ძირისაგანაა წარმოქმნილი, კონცეპტის თვალსაზრისით ისინი ერთიან სახეს იძლევიან.

5. მწუხარების კონცეპტი ქართველურ ენებში

ემოციების მეცნიერული ანალიზი შეუძლებელია ეთნოფსიქოლოგიის, ეროვნული ხასიათის თავისებურებების, ეროვნული კულტურის გათვალისწინების გარეშე. ემოციის გამოხატვის საშუალებები, ემოციური მდგომარეობის აღწერითი და გამომხატველობითი ლექსიკის გვერდით, წარმოადგენენ ემოციური საშუალებების ლექსიკურ სისტემას. ნებისმიერი ენის ემოციური ტერმინები გამოავლენს ნათესაობის კომპლექსურ კავშირს და მათი კლასიფიცირება შესაძლებელია. ემოციების კონცეპტი გვთავაზობს გასაღებს სხვადასხვა კულტურისა და საზოგადოების შესაცნობად. კონცეპტი მიეკუთვნება ნაციონალურ ენობრივ ცნობიერებას, იგი ენისა და აზრის ერთიანობაა. კონცეპტი სალიტერატურო ქართულში, ბუნებრივია, სიღრმისეულად არის შესწავლილი და გაანალიზებული (ნ. იაკობიძე).

ამ კუთხით უაღრესად საინტერესოა ქართველური ენების – სვანურის, მეგრულ – ლაზურის ენობრივი მონაცემები. ამჯერად, მწუხარების კონცეპტის აღწერა-ანალიზით დავინტერესდით; წინამდებარე პუბლიკაციის მიზანს სწორედ ქართველურ ენებში შედარებით ფორმატში ზემოაღნიშნული მწუხარების კონცეპტის კვლევა წარმოადგენს.

მწუხარების ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე სვანურში ასეთი სახით წარმოგვიდგება: ლუ-წხუავ-ე „შეწუხებული", **ლი-წხა̈უ-ი** „შეწუხება", **ლი-წხუაუ-ა̈ლ** „მრავალგზის შეწუხება", **მე-წხუაუ-ა̈ლ** „ის, ვინც მრავალგზის შეიწუხებს თავს სხვისთვის", **ნა-წხუაუ-ა̈ლ** „შენანუხები", **მუ-წხა̈უ-ი** „შემწუხებელი, **ნა-წხა̈უ-ი** „შეწუხება, წუხილი", **ლე-წხუაუ-ა̈ლ** „საწუხარი, შესაწუხებელი", **მა-ჭკგრ-ა** „დარდი, წუხილი", **გლი-ჭკგრ-ე** „დარდი, ზრუნვა,

წუხება", **ნა-ჭკჳრ-უნ** „საწუხარი", **გლგ-ჭკჳრ-ე** „დადარდიანებული", **გუ̄ნმი მამფუა** „გულისწუხილი, სატკივარი", **გუ̄ნმი ლიფუე** „სიმწუხარე, ტკივილი, დარდი", **გუ̄ნმიზიგ** „გულისტკივილი", **გუ̄ნმილიზგუნე** „წყენა, გულისტკენა, სატკივარი", **გუ̄ნმიმუზგუნე** „მაწყენინებელი, გულისმტკენი", **გუ̄ნმილეზგუნე** „ის, ვისაც ატკინეს გული, აწყენინეს", **ლუმუსხუე** „წარბშეკრული", **ლგჭკპგნე** „სახეშეჭმუხნული", **ლგტგნტყე** „დაღვრემილი" **ლუპურტუხე** „სახენაღვლიანი, კაეშნიანი", **ხოლა გუჟი ლირდე** „უგუნებობა".....

1. იშგნა გუეშსი **ლიგჭკჳრე** ხაკუ „სხვის საქმეზეც საჭიროა ფიქრი, (ზრუნვა), სხვაზეც უნდა **შეიწუხო** თავი" (თოფურია, ქალდანი, სვან. გლექსიკ. 2000: 482).

2. გერგი ლაჲდი სურუ **ლუ-ნხუაავე** ლაჲმწუენაჲნ „დღეს გეგი რატომღაც მეტისმეტად **შეწუხებული** მომეჩვენა".

3. ეჯ მეთხუაჲრი ქორშაჲლს **ლეწხუაუაჲლ** ლაჲხრდაჲნხ „იმ მონადირის ოჯახის წევრებს **საწუხარი, შესაწუხებელი** მიეცათ".

4. ამზუმდ **გუ̄ნმილიზგუნე** მამა ხეკუჲად, მარე დეშ ღალ მგრეს ჲნზიმ ლჲქვისგჟი „ამ დონეზე **გულისტკენა, წყენინება** არ უნდოდა ნამდვილად, მაგრამ სათქმელი ვერ მოზომა".

5. ნაჷ ლიმბუჲლდად ბიძია პიმენიშჟი. ხოხრობს მაშყიდ, ბიცოლა ნინა სიტყუას ეჯჟი მაჲმ ტუ̄ილდ' საბრალაჲ ქუინს მაჲმ ადღუენნა. ალა მიჩჲშდ, მინე ოჯახიშდ ლაჲსუ რაღაც გუნ ლენგუჲმ გუეშ, გუნ საშინელ ტრაგედია. მი პიმენ იმხაჲნ მეთურჲნრლ, მარე მაშყიდ მთელ ლიბოფშჟი ეჩი ლიტკლებჲლ ი, სი წარმოიდგინე, მატკლაბგნდა ეჯღ'ე, ბიცოლა ნინა ნაჷ ჩის ნალაჲტდა გუნ ი ალ მალატღა მიჩა ჯგმლაჲ მატკლაბ მი, გუნ ხოხრა გარ ბეფშუს, გუის ეშ მახუტა. ი საბრალჲ ქუინი ლაღუნაჟი მი მეჰად მასაჲრდ მიჟინდა

ბიცოლა ნინა, მიჟინდა მიჩა ქალგნკანე, ერთადერთ ჯგმლჯ ქუინი მუღუნად. (კოდ. ქრონიკ. 2010: 151). „ჩვენ ვსაუბრობდით ბიძია პიმენზე. პატარაობისას (უმცროსობას), მახსოვს, ბიცოლა ნინა სიტყვას ისე არ ამბობდა, ე, საბრალოს სულს (თუ) არ დაიფიცებდა. ეს მისთვის (მისად), მათი ოჯახისთვის (ოჯახისად) იყო რაღაც **საწუხარი, ძალიან სამძიმო საქმე**, ძალიან საშინელი ტრაგედია. მე პიმენი საიდან მეცნობებოდა, მაგრამ მახსოვს მთელ ბავშვობაში იმაზე **სინანული** (**"იმისი დანანება"**) და, შენ წარმოიდგინე, **მენანებოდა** იმიტომ, რომ ბიცოლა ნინა ჩვენ ყველას გვიყვარდა ძალიან და, მახსოვს, ამ სიყვარულის გამო მისი ძმის სინანული მე, ძალიან პატარა (უმცროს) ბავშვს **გულს როგორ მტკენდა** (**"მჭრიდა"**)... საბრალოს სულის დაფიცებაზე მე ყოველთვის ძალიან მეცოდებოდა ბიცოლა ნინა, მეცოდებოდა მისი გამორჩეული, ერთადერთი ძმის სულის დამფიცებლად".

6. ჩუუთირა ბიძჯგ მიმართ ხოშილ ი ხოშილ მალატ, მგრდჯბ, მატკლაბ გარ ნექმენიდა (კოდ. ქრონიკ. 2010: 153) „უცნობი, გაცნობავერმოსწრებული ბიძის მიმართ უფრო და უფრო მეტი სიყვარული, მორიდება და **ტკივილი** („განცდა-დანანება") გვემატებოდა".

7. მიგ სი როქ აჯარას ამჟი ხოჩა გუჟი ჩუჯლყულურჯნდ, ეჩქანღო ხგნსგა სათისგა გუიდ ი ტჯნდ როქ ლჯმბჯჟ ლეჭკგრე, ერე მიშგუ ლაშხუნიჯრისგა ერუჯლე იფურთიწალდა. ლაშჯდ როქ ემეგ ხერიუ, ეჯღად როქ ოღუერ ლაჯმოშ, მარე დემეგ... მიშგუ ლირდე როქ ლჯდინღუე ლაშდჯხთე ხჯგ (კოდ. ქრონიკ. 2010: 153)

„მე და შენ აჯარაში ასე კარგ გუნებაზე (გულზე) რომ

დავშორდითო, შემდეგ ნახევარ საათში **გულმა და ტანმა მიგრძნო საწუხარი,** რომ ჩემს სამალავში ვიღაც ფათურობდა. საშველი თუ ექნებოდა, იმიტომ წამოვედი სირბილით, მაგრამ არა, ჩემი ცხოვრება დღეის შემდეგ აღსასრულისკენაა".

მწუხარების ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე მეგრულში ასეთი სახისაა:

მწუხარება/წუხარება, წუხება; ჯარი დო გონება (ჯავრი დო გონება) ჯავრი და ფიქრი (გონება); **ჯარი /ნჯარი (ჯავრი); ჯანგოჭე** -ჯავრი ნუ გჭირს, ნუ გენაღვლება; **ნარღი (ნარღის)** – ნაღვლი, დარდი; მწუხარება; **ნარღება (ნარღებას)** – ნაღვლობა, ნაღვლიანობა, დარდი; **დარდება/დარდი...** წუხილი მეგრულში დაკავშირებულია სიმჭიდროვესთან, ადგილის სივიწროვესთან. ა. ქობალიას ლექსიკონში წუხილი შემდეგნაირადაა განმარტებული: „მჭიდრო, ვიწრო, შეკუმშული, შეჭმუხვნილი, შემჭიდროებული" (ქობალია 2010: 703).

1. ჩქიმი გურიში მწუხარება ნოტე ვა გგმაშინედას: ი. ყიფშ.,გვ. *129* – ჩემი გულის მწუხარება ნეტავი არ გამახსენდებოდეს.

2 დიდი წუხარეთგ იწაჯღონგ თენენსგ: ა. ცაგ., გვ. *24;* ი. ყიფშ., გვ. *35* – დიდი მწუხარებით გაუძღვა (წინ) ამათ.

3. თიჯგუა წუხარებაშ გიტარა მიოგგ თე ბოშიქ: მ. ხუბ., გვ. *200* – ისეთი მწუხარების გიტარა დაუკრა ამ ბიჭმა.

4. მიჩქ, წუხარებას რექინ: მ. ხუბ., გვ. *28* – ვიცი, მწუხარებაში რომ ხარ.

5. ირიათო იწუხებუ ჩქიმი გური: ი. ყიფშ., გვ. *130* – სულ წუხდება ჩემი გული.

6. მუშენ იწუხებუქია?: ი. ყიფშ., გვ. *32* – რატომ წუხდებიო?

7. ხორა წუხენდუ: ორცხონჩქ გეეძვირუა – ქაჩალი წუხდა:

სავარცხელი გაძვირდაო.

8. **მიშელგ ჯარი დო გონებაშა:** ი. ყიფშ., გვ. *23* – შევიდა ჯავრსა და ფიქრში.

9. **სქან ჯარი დო გონებაქ ირფელ გგმოჭყოლიდუუ:** მასალ., გვ. *29* – შენზე ჯავრმა და ფიქრმა ყველაფერი დამავიწყა.

10. **ჯარ ვამოჭე თქვანი შურო!:** ქხს, *1*, გვ. *21* – ჯავრი არ მჭირს სულაც თქვენი*!*

11. **მიდმაკუნუუ სქანი ჯარი:** ქხს, *1*, გვ. *144* – წამყვება შენი დარდი (ჯავრი).

12. **ასე გვალო დოლურუ ე ბოშიქ ჯარისგ:** ი. ყიფშ., გვ.*39* – ახლა მთლად მოკვდა ეს ბიჭი ჯავრით.

13. **მოსამსახურეფს ჯარქ ქენუოლეს თე ბოშიშ:** მ. ხუბ., გვ. *244* – მოსამსახურეებს ჯავრი ჩაუვარდათ ამ ბიჭისა.

14. **ჯანგოჭე, ნუ გოშქურუ!:** მ.ხუბ., გვ. *166* – ჯავრი ნუ გჭირს, ნუგეშინია*!*

15. **ჯანგოჭე, მა სქან დუს შხვას ვადვანებენქია:** მ.ხუბ., გვ. *6* -ნუ გეშინია(ჯავრი ნუ გაქვს), მე შენს თავს სხვას არ დავანებებო.

16. **შიაწუხგ ეზმა ნარღიქ** – შეაწუხა ამდენმა დარდმა.

17. **ნარღისგ ქინაალგ:** ქხს,*2*, გვ. *34* – დარდში ჩავარდა (დანაღვლიანდა).

18. **ართშა მარცხი ქომოხვადუნ, უკულ ნარღება მუს ოხვარუნია:** ხალხ. სიბრ., *1*, გვ. *6* – ერთხელ მარცხი რომ მოხდება, შემდეგ ნაღვლობა რას უშველისო.

19. **ღურა უჯგუ გარზებას, მუჟამს რექ ნარღებას:** ხალხ. სიბრ., *1*, გვ. *151* – სიკვდილი სჯობს გაძლებას, როცა ხარ დარდში.

20. **ღარიბი რექინი, ვეენარღა, დიმდარი რექინი – ვეეფ-**

ახა: ხალხ. სიბრ., *1*, გვ. *147* – ღარიბი (თუ) ხარ, არ ინაღვლო, მდიდარი (თუ)ხარ – არ იზვავო.

21. **ინარღგ თე მეშარე კოჩქით:** მ. ხუბ., გვ. *23* – იდარდა ამ მგზავრმა (მეგზურმა კაცმა).

22. **სიხალისექ დამეთხოუ, დარდიქ გურს დემეხოლუ:** ი. ყიფშ., გვ. *129* – სიხალისე მომშორდა, დარდი გულთან დამიახლოვდა.

23. **დარდით გური ფულირ(ი) გაფუ:** ენგური., გვ. *246* – დარდით გული დაფარული გაქვს.

24. **უნარღებუ ღუმუს ბჭკუმუ:** ქხს, *1*, გვ. *326* – უნაღვლო ღომს ვჭამ.

25. გულმწუხარედ **ვორდი, გურმწუხარეთ:** მასალ., გვ. 97 -ვიყავი გულმწუხარედ.

მწუხარების ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე ლაზურში: გოშაშუ „გაოცება, მწუხარება" აწმყ. **გობიშაშერ** „შევწუხდი" (დიუმ. ხოფა); **დიფიშმანუ-დორტუნ** დერდი „დარდი, მწუხარება", დარდის ნოტკოჩუნ „დარდში ვარდება, უბედურებას ეწევა" **დერდი იქიპს** დარდიანობს, დარდობს". **გო(<გო-ო)-გზ-უ-ნ** შემონთებული აქვს. || გადატ. დარდი აქვს, აწუხებს. ასათ 36. **ნ-დარ-უ** შევიწროვდა, შეუწუხდა. კოჩის-ნა ნდარაში გური ოროსარი კონარი დავენ (ჟღ. 37.31). **შური ნაკაჩენ/ნაქაჩენ** „უწუხს (სული)", **შური ნაკაჩუ (შური)** " შეუწუხდა (სული); წასძლია (სულმა)"; **ზახმეტი** „წუხილი", **ზახმეტი იქიფს** „წუხს"; **ოკონალურუ** „შეუწუხდა (გული), მიკვდარუნდა"; **გური ოკოჭკონდერი** „გულშეწუხებული, გულწასული".

1. არსლანიშ სქირიქ „ჯუმა-ჩქიმი **მერალის ვარ დობუტალემ,** ჰეჲა მობუსალეთინარე, **მერალი მო იქომ,** ორდო

მოფთარეჲა” (დიუმეზ., 5) „ლომის შვილმა: ჩემს ძმას მწუხარებაში ვერ დავტოვებ, მას ვიხსნი, ფიქრს ნუ მიეცემი (იზამ), მალე მოვალო”. 160

2. დიდი ოხრასუ **დიფიშმანუ-დორტუნ**, ამა მუთუ ჩარეარ ტუ (დიუმეზ., 59) „უფროსი მული შეწუხებულა, მაგრამ სხვა გზა არ იყო”. 79

1. ბიჭიქ ბაბა-მუშიშ ტახთის ვეზირ-მუშ ქოგელოხუნუ დო უწუ ქი: “მა ჰაწ დიდო **დერდი** მილუნ (დიუმეზ. 32) „ვაჟმა მამამისის ტახტზე ვეზირი დასვა და უთხრა, რომ: “მე ახლა დიდი მწუხარება მაქვს„

2. „ჰეჲა ობიფხორტი”... „სქან მშქორინიში **გომოგზუტუ-ჲი**?” (დიუმეზ.II.22.44) „იმას შევჭამდი... „შენი შიმშილი მაწუხებდა?„

3. **დარდითა ბლურუ{რ}**-ეით ვარ მათქვინენ მითოშა (ყიფშ. 41) „დარდით რომ ვკვდებოდე, ვერ ვეტყვი ვერავის“.

4. ნანა ჩქიმი **დერდის ქოდოლობტკოჩი** (ყიფშ. დამატ. 18) „დედაჩემი სადარდებელში ჩავაგდე“.

5. დიდი **დერდი იქიპტუ** (კარტოზ. ,125) „ძალიან დარდობდა“.

6. მუშენი **ზახმეტი იქიფ**! (ჩიქობ. I., 85) „რატომ წუხხარ!„

7. ჯოლორი მემიტადეს... ტორა **ოკონაბლური** (მარ., 105) „ძაღლი მომიქსიეს... კინაღამ გული შემიწუხდა“.

8. ფადიშაიშ ბიჭის აზირუ-შკულე **ოკონალურუ** (ჩიქობ. II. 34) „ფადიშაჰის ბიჭს რომ მოეჩვენა, გული შეუწუხდა“.

9. ზენგინი კოჩის ოხორჯა დაძაბუნუ... სუმ ვარა ოთხო ჶარა **ოკონალურუტუ** (ყღ. 14) „მდიდარ კაცს ცოლი დაუავადდა... საჯერ ან ოთხჯერ უწუხდა გული (გული მისდიოდა)“.

10. **ოკონამლურარე** (დიუმეზ., 122) “ ვწუხდი“.

11. **ოკოჭკოდუტუ** ოხორჯა (ასათ.) „წუხდებოდა ცოლი“.

საყურადღებოა, რომ სავანური, მეგრული და ლაზური მწუხარების კონცეპტში აერთიანებს ძირითადად საერთოქართველური წარმოშობის ძირებისგან ნაწარმოებ ლექსემებს: ჰ. ფენრიხი აღადგენს საერთოქართველურ ***წუხ** ძირს: ქართ. **–წუხ** სვან. **წხუ, ლი-წხუ-აუ-ი** – შეწუხება, წუხილი(ფეინრიხი,453). მ. ჩუხუა აღადგენს საერთოქართველურ არქეტიპს ***ჭოუ** – ფიქრის, წუხილის მნიშვნელობით > ქართ. **ჭოვ- / ჭუვ-** სვან. **ჭკუ-არ// ჭკ-გრ < *ჭკოუ-არ,** ზან. **ჭკუ-ა** (ჩუხუა,384).

ფიქრის და წუხილის დაკავშირება სემანტიკურად სავსებით მართებულად შეიძლება ჩაითვალოს. ქართულში ფიქრსაც აქვს წუხილის მნიშვნელობა. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ფიქრი განმარტებულია, როგორც: 1. თავისთვის გუნებაში მსჯელობა, რისამე წარმოდგენა, აზრად ქონა; 2. საგონებელი, სადარდებელი, საზრუნავი (ქეგლ 1986: 446). მწუხარება ქართულში შესაძლოა ნაწარმოები იყოს მწუხრისგან. სალიტერატურო ქართულში მწუხარება გადმოიცემა ლექსიკური ერთეულებით: დარდი, ნაღველი, კაეშანი, ვარამი, ჯავრი, ჭმუნვა, ურვა, ღრეჯა. დარდი, ნაღველი, კაეშანი, სევდა, ჯავრი, ვარამი უცხო ენებიდან (არაბული, სპარსული) შემოსული სიტყვებია, რომელიც ქართულ ენაში დამკვიდრდა. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სიტყვაწარმოებაში: დარდი – დადარდიანება, დარდიანი, დადარდიანებული, სადარდებელი, სადარდელი, უდარდელი, უდარდელობა, დარდიმანდი, დარდიმანდობა, დარდიმანდული. ნაღველი – ნაღვლობა, დანაღვლიანება, ნაღვლიანი, დანაღვლიანებული, სანაღვლებელი, ნაღველმორეული, სახენაღვლიანი. კაეშანი – კაეშნიანი. ჯავრი – ჯავრიანობა, ჯავრიანი, დაჯავრიანებული, საჯავრებელი,

ჯავრმორეული, ჯავრშემოწოლილი, გულჯავრიანი, ჯავრმიუკარებელი. ვარამი – ვარამიანი. სევდა – სევდიანი, დასევდიანებული, სევდამორეული. დარდი, ნაღველი, კაეშანი, ჯავრი, ვარამი აქტიურად წარმოადგენენ არაერთი ფრაზეოლოგიური ერთეულის ერთ-ერთ კომპონენტს: გულზე დარდი შემოაწვა, შავი ნაღველი, მწარე ნაღველი და ა.შ (იაკობიძე, 22-24).

კონცეპტუალური სფერო ამა თუ იმ ერისა და ენისა შეესაბამება მენტალობას, როგორც სამყაროს ხედვის საშუალებას. რაც შეეხება მენტალიტეტს, რომელიც ერის კოგნიტიურ, ემოციურ და ქცევით სტერეოტიპთა სიმრავლედ განიხილება, მის სფეროში შედის ეთნიკური სპეციფიკით ნიშანდებული კონცეპტები (მასლოვა 2001: 49).

6. ტირილის კონცეპტი ქართველურში

აღწერა და ინტერპრეტაცია წარმოადგენს თითოეული ენის თავისებურებების დადგენასა და მათ შორის მსგავსებისა და განსხვავების გამოვლენას. ამ კუთხით უაღრესად საინტერესოა სვანურის, მეგრულის, ლაზურის შესწავლა და ენობრივი მონაცემების შედარება-შეპირისპირება; ამჯერად, ტირილის კონცეპტის აღწერა-ანალიზით დავინტერესდით; წინამდებარე პუბლიკაციის მიზანს სწორედ ქართველურ ენებში შედარებით ფორმატში ზემოაღნიშნული ტირილის კონცეპტის კვლევა წარმოადგენს.

„ტირილი მწუხარებას გამოხატავს. იგი ქართულში შემდეგი ლექსიკური ერთეულებით გამოიხატება: ატირება, წამოტირება, დატირება, გამოტირება, გლოვა, ზარი, მოთქმა, გოდება, ღაღადი, ზრუნი, სლუკუნი, სლუკ-სლუკი, ქვითინი, ქვითქვითი, ვალალი, ცრემლვა, აცრემლება, ბზუკუნი, ჩაბჟირება, ვაება, ვაგლახი, აბღავლება, ღრიალი, ღრიალება,მდუღვრა, ბღავილი, ღმუილი, წირპლვა, ფშრუკუნი, ჟივილი, კივილი, კვნესა, კაკანება, ხვიობა, კოკოცება, წუწუნი,წუწკუნი, წკმუილი, ჩუხჩუხი“ (იაკობიძე, 150)

საკმაოდ მრავალფეროვანია ტირილის გამომხატველი ლექსიკა ქართველურში.

მეგრულ-ლაზურში:

მეგრულში:

ნგარა (ნგარას), გარა — ტირილი.

ნანგარა (ნანგარას)ინგარს -- ნატირალი, ტირის

ნგარაფა (ნგარაფას) — ატირება.

ნგარებული (ნგარებულ) ნგარებულო -- ატირებული, ატირე-

ბულად.

ონგარალი (ონგარალ) ოგარალი, -- სატირალი.

ონგარუ (ონგარუს) ოგარუ, -- ტირილი; სატირალი. გადატ. საგლოვი.

მანგარინჯა (მანგარინჯას), მანგარინჯე (მანგარინჯეს) -- მტირალა, ტირია.

ნგარა-მარა (ნგარა-მარას) ტირილ- მირილი.

სხარსხალი (სხარსხალ) რსხიალი, სარსხალი, -- მრავლის, მაგ., ბავშვების, ერთად ხმაურობა-ტირილი, -- სხრიალი.

ღურღულუა (ღურღულუას) ღურღული, -- ჩუმად ტირილი, ქვითინი; ღაპა-ღუპით ცრემლის ღვრა.

ღიაფი (ღიაფის) -- ღნავილი; ძლიერი ტირილი.

ღვარღვალი (ღვარღვალს) - ცრემლის ძლიერი ღვრა, ფრქვევა;

ღვეჟელი (ღვეჟელ) ღვეჟელუა (ღვეჟელუას) , ღვეჟელანს - ხმამაღლა ტირილი; ბღავილი;ყვირილი.

თვალუა (თვალუას) თვალუნს -- მოთქმით ტირილი, გოდება.

ქვარქვალუა (ქვარქვალუას), ქვარქვალანს -- წუწუნი, ბუზღუნი.

კუმინუა (კუმინუას) კუმინუნს -- კმინვა, ნელი კვნესა.

კუსანს -კვნესის.

ფრაზეოლოგიზმებში:

ჩილამურიში ღვარღვალი ცრემლის ღვრა, ფრქვევა; დენა ღაპა-ღუპით.

ჩილამურიში თუდო რაგადი -- ცრემლის ქვეშ ლაპარაკი. გადატ. აღელვებული, შეწუხებული ლაპარაკი.

ჩილამურიში მიშახუნა – ცრემლში ჯდომა. გადატ. ძლიერი მწუხარება.

ჩილამურიში რღვაფა - ცრემლის ღვრა. გადატ. ტირილი.

თოლიშე ჩილამურიში სქუალა - ძალიან შეწუხება

თოლიშ წყარით ეფშაფა - თვალის წყლით ავსება, შეწუხება, ტირილი.

ლაზურში:

ბგარა/ მგარა, ბგარინი, ობგარინუ/ომგარინუ, ომგარინი – ტირილი

ობგარინუ/ომგარინუ [შდრ. ომგარუ], ომგარინი – ტირილი/ სამგლოვიარო რიტუალი.

გემგარინუ -დატირება; იმავე მნიშვნელობით გამოიყენება კორეცხალა მოთქმა, მოთქმით ტირილი, ჩამოთვლით ტირილი(თანდ.). მეგრულში მოთქმას გამოხატავს ქართულიდან შემოსული ძირის მქონე ზმნა თვალუა/თოლუა. (აღსანიშნავია, რომკოროცხუა/კოროცხალა ზანურში თვლას, დათვლას ნიშნავს).

ბევჯღაფა - ხმამაღლა ყვირილი, ტირილი

ამაკირუ – კივილი, შეკივლება; ოკიუ კივილი, ყვირილი; ოწირუ წივილი, კივილი; წიოლი წივილი, კივილი; წიომა წივილი;

დოკუსინუ - დაკვნესა, დოკუსინაფა დაკვნესება;

ეშაკუსინუ -ამოკვნესა; კუნკულა, **ოკუნკულუ** - ნელი კვნესა და წუხილი ძილში (გურული); **კუსუნი, ოკუსინუ, ომკუსუ** -კრუსუნი, კვნესა;

ოქანცარუ - კვნესა,

დოკიუ /დოყიუ -ყივილი;

ზარი-ზარი – ქვითინ-ქვითინით. (ცალკე ზარი მწარეს ნიშნავს);

ტირილის მნიშვნელობით გამოიყენება სხვა ლექსემები, ძირითადად ცხოველთა ხმოვანების აღმნიშვნელი: ოღრიალუ ღრიალი;მღორინი, ომღორუ ბღავილი, ობულინუ ხარივით ბღავილი; ოჭირჭილუ წუწუნი; ორანცინუ დამაყრუებელი ყვირილი; ორუინუ/ოყურინუ ყვირილი; ოღუმინაფუ ყვირილი; ოყურინუ/ოყურუ ყვირილი; ოჩხირუ მთელი ხმით ყვირილი; პეჯღელი ბღავილ-ყვირილი მთელი ხმით (შდრ. მეგრ. ბერჯღელი); ყურაფა/ყუაფა/ურაფა ყმუილი, ყვირილი; ჭყვიოლა ჭყივილი, წივილი,ყვირილი; ოწუმინუ (ათინ.) კვნესა (ძაღლისგან), /ოწკუმინუ წკმუტუნი, გადატანითი მნიშვნელობით წვრილი ხმით ტირილი;

ლაზურსა და მეგრულში ერთი ძირისგან იწარმოება ჩილამური (მეგრ.) და ჩალამურე/ჩელამურე/ჩელამრე/ჩილამბერე/ჩილამბი/ჩილამბრე (ლაზ.) ცრემლი.

თურქულიდან ნასესხებია ɜაში - ცრემლი;

ტირილის კონცეპტში შეიძლება გაერთიანდეს ზოგიერთი ლექსიკური ერთეული, როგორებიცაა: ɜეკიდუ დაწყება, კერძოდ, ტირილის დაწყება; ოშლიპუ ფშვნეტა, აცრემლიანება თვალისა; წაპწაპი მუდამ ცრემლიანი თვალი;

ტირილთან, ცრემლთან დაკავშირებით ლაზურში გვხვდება ფრაზეოლოგიური ერთეულები და ანდაზები. მაგ.:

მანჯურა იბგარა-სი, ჩელამრეფე ინჯილი ქვაციასენა – მეორე იტირებს, ცრემლით ქვა გახდებაო;

ჩელამურე გელომოუფს – ცრემლები ჩამოსდის (ჩამოჰყვება);

ჩელამურე ქოგɜოწაპუ – ცრემლი დააწვეთა, დაიტირა.

თოლი ოფშალუ - თვალის ავსება ცრემლებით

თოლი ოწკარუ - თვალის აცრემლება, აწყლიანება

ტირილის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე სვანურში ასეთი

სახით წარმოგვიდგება:

ლიგუნი -ტირილი

ლეგუნი -სატირილი

ლაგუჴნა – გასვენება, სატირალი;

ლიგუჴნე- ატირება; დატირება;

ლილჭჴლ – მოთქმა, ხმამაღლა დატირება;

ქვმრალე ლიგურჴნი – ცრემლების ღვრა;

ლიტფურჴლ – კაეშანი, ვარამი, ტირილით სახის ხოკვა;

ლისენტყუჴლ – შეცხადება; გოდება;

ლუ-წხუავ-ე „შეწუხებული", **ლი-წხჴუ-ი** „შეწუხება", **ლი-წხუაუ-ჴლ** „მრავალგზის შეწუხება", **მა-ჭკგრ-ა** „დარდი, წუხილი", **ლი-ჭკგრ-ე** „დარდი, ზრუნვა, წუხება", **ნა-ჭკგრ-უნ** „საწუხარი", **ლგ-ჭკგრ-ე** „დადარდიანებული", **გუ̃მი მამფუა** „გულისწუხილი, სატკივარი", **გუ̃მი ლიფუე** „სიმწუხარე, ტკივილი, დარდი", **გუ̃მიზიგ** „გულისტკივილი",**გუ̃მილიზგუნე** „წყენა, გულისტკენა, სატკივარი"...

ქართველურ ენებში ტირილის კონცეპტის კვლევამ გამოავლიანა საყურადღებო სემანტიკური ნიუანსები მეგრულ-ლაზურსა და სვანურში. ტირილი, დაატირების რიტუალი უძველესია და მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის სიცოცხლესთან. ამიტომაც იგი ცნობიერებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს როგორც კონცეპტი.

7. კონცეპტი ზარი ქართველურში

კონცეპტი წარმოადგენს ძირითად ცნებას კონცეპტუალური ლინგვისტიკის თეორიაში. თანამედროვე ენათმეცნიერებაში მრავალი განსხვავებული მიდგომა არსებობს კონცეპტთა კლასიფიკაციისა. განსხვავებული მიმართულებებია მისი სტრუქტურის შესწავლის თვალსაზრისითაც. ერთ-ერთი მათგანია ლინგვოკულტუროლოგიური მიმართულება, რომელშიც ენობრივი ექსპლიკაციის ფორმებად ძირითადად გვევლინება ლექსემები, ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, ტექსტები. ზოგიერთი ეთნოკულტურული და სოციოკულტურული კონცეპტები თავისთავად გამოხატავენ ენის, კულტურის, ისტორიის თავისებურებებს. ასეთი კონცეპტების სემანტიკური მნიშვნელობა უტოლდება მათ იმ მნიშვნელობას, რომელიც ლექსიკონებშია განმარტებული. ამ თვალსაზრისით საინტერესოა კონცეპტი **ზარი** ქართველურში.

სიტყვა **ზარი** ქართულ ლექსიკონებში ასეა განმარტებული: 1. სპილენძის შენადნობისგან ჩამოსხმული ღრუ ნაკეთობა კონუსის ფორმის, რომელსაც შიგნიდან თავმსხვილი რერო (ენა) ჰკიდია ხმის გამოსაცემად; 2. მოწყობილობა ბგერითი სიგნალისათვის – ელექტრონული ზარი; 3. (საუბრ.) ზარის რეკვის ხმა (ქეგლ 1986: 230).

გადატანითი მნიშვნელობები: 1. უზომო შიშით ან რაიმე საშინელი სანახაობით, ამბით გამოწვეული შეშფოთება; 2. სამგლოვიარო, უსიტყვო გალობა მიცვალებულის გასვენებისას; 3. მოთქმით ტირილი, ვინმეს დატირება, გლოვა – ზარი დაეცემა, თავზარი დაეცემა (ქეგლ 1986: 230).

მ. ანდრონიკაშვილი სიტყვა **ზარს** შიშის, საშიშის მნიშვნე-

ლობით უკავშირებს საშუალო სპარსულ სიტყვას zahr: პართ. Zahr-შხამი ახ. სპარსული. Zahr – შხამი, საწამლავი, დარდი, ნაღველი, რისხვა, აღშფოთება. ძველ ირანულ ფორმას აღადგენენ, როგორც jazara, მიღებული ძირიდან jan, რაც ცემას, კვლას ნიშნავს. **ზარ** სიტყვასთანაა კავშირში **ზრუნ-ვა** (ზრუნი): ზრუნ – > ზარ – უნ. **ზრუნვის** ამოსავალი მნიშვნელობაა **მოთქმა, წუხილი,** შემდგომში მან შეიძინა ზრუნვის მნიშვნელობა (ანდრონიკაშვილი1966: 323-324).

ზარი – ლითონის სარეკი. ძირითადად ცილინდრული ფორმისა, რომელსაც აქვს ენა. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით გამოკვეთა ქრისტიანობამ, როგორც ცნობილია, მკვდრეთით აღდგომის იდეა ქრისტინაული მორალის ქვაკუთხედს წარმოადგენს. იგია რწმენის ძირითადი საყრდენი, რომელსაც მოელის მორწმუნე თავის დროზე. ამ აუცილებელი აქტის მაუწყებელი გახდება ზარი, მან უნდა მისცეს ნიშანი სიკვდილისგან დახსნისა და მარადიული არსებობისა. ზარი წარმოადგენს ყველა საეკლესიო დღეების, დღესასწაულებისა და სალიტურგიო წესთმსახურების შესრულების აუცილებელ ატრიბუტს. შუასაუკუნეებში ზარისთვის გაჩნდა საგანგებო შენობა – სამრეკლო. (ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი 2011. – 610გვ.)

ქართულში ზარი ნასესხები სიტყვაა საშუალო სპარსულიდან. სპარსულში მისი მნიშვნელობა დაკავშირებული იყო სიკვდილთან. სპარსულში შიში დაკავშირებული უნდა ყოფილიყო სიკვდილთან. თუ ქართულში ზარის მრავალმნიშვნელიანობას დავაკვირდებით, ჩნდება მოსაზრება, რომ ზარი ქართულში სპარსულიდან შიშის მნიშვნელობით შემოვიდა. მისგან ნაწარმოები ჩანს ზმნა **ზარავს** – განაცდევინებს, შიშსა და ძრწოლას

ჰგვრის, – აძრწუნებს. თავზარსა სცემს.

ზართანაა დაკავშირებული ზარზმის სახელი: „და თუ ვითარ შემსგავსებული სახელი ეწოდა ზარზმა ერთა მიერ, სასწაულთა საკჳრველთა ზარგანჴდილთა“ (იაკობიძე. 2015.90).

ქართულში **ზარი** რეკა (სარეკელსთან) ასოცირდება. რეკა/სარეკელი ასეა განმარტებული:

რეკა – რისამე ცემით ზარის და მისთ. ხმის გამოცემა. სიჩუმე იყო და მხოლოდ სალიტანიო ზარების რეკა ისმოდა (აკაკი).

სარეკელი – ძვ. დასარეკი მოწყობილობა; ხის ფიცარი, რომელზედაც სცემდნენ ხისავე ძელს ხმის გამოსაცემად; იყენებდნენ ლოცვაზე მოსახმობად. ამავე დღეს, წირვის დრო რომ დადგებოდა, «სამ ჟამ ჰრეკონ ძელსა»-ო, ე. ი. «სარეკელა» ხის ფიცარს ჰრეკონო. გარდა ამ მნიშვნელობებისა ზარი სხვა მნიშვნელობითაც გვხვდება: ზარი – ქართული გლოვის სიმღერა, დატირება. ქართლ-კახეთში წარმოადგენს ქალთა რეპერტუარის ორხმიან სიმღერას (ორი მოტირალის მონაცვლეობა გაჭიმული ბანის ფონზე), სვანეთში – სამხმიან სამგლოვიარო ჰიმნს (ასრულებენ მამაკაცები)(მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. 2004. – 80გვ.).

ნათელია, რომ ხის ფიცარი, ძელი – სარეკელა, რომელსაც იყენებდნენ საშიშროების ან რაიმე სხვა აუცილებელი ამბის შესატყობინებლად და რომლის ხმაც უფრო ხშირად არასასიამოვნი ამბის მაუწყებელი იყო, ქრისტიანობის შემოღების შემდეგ შეცვალა ლითონის ზარმა. სიტყვამ ზარი შემდგომ სხვა მნიშვნელობებიც შეიძინა.

ზარი – სამგლოვიარო გუნდური სიმღერა-ტირილი. დაკრძალვის დღეს ჯერ ოჯახში და შემდეგ სასაფლაოზე ცალ-ცალკე ასრულებდნენ ქალები და მამაკაცები. გუნ-

დის ერთ-ერთი წევრი იწყებდა უსიტყვო მოთქმას, ხოლო სხვები ბანს აყოლებდნენ. შორეული სოფლებიდან მოსულ ნათესავებს მოზარეთა საკუთარი გუნდი მოჰყავდათ, თან მოჰქონდათ დიდი კელაპტარი ან სიცოცხლის ხის სიმბოლო. ზარი ყველაზე სრულად სვანეთის ეთნოგრაფიის ყოფამ შემოინახა. სვანური ზარი სამხმიანი სიმღერაა და ორ გუნდად სრულდება. ძველი ქართული წერილობითი წყაროებით დასტურდება ზარით გლოვა. საქართველოს ზოგ კუთხეში მას ბანს ან ზრუნს უწოდებენ (მასალა ვიკიპედიიდან – თავისუფალი ენციკლოპედია).

ოთარ ქაჯაია თავის ლექსიკონში გვაწვდის ცნობას: ჯვეშო უჩქუდეს ზარი: ღურელიშ ონგარუშა მანგარალს (დას, ვარა ცირასკუას) მოცუნდუ ეჩი-ეჩიდოვითი კოჩი. ათენენს იწოცუნდუ ოთხი კოჩი (მეტით შიილებედუ) ზარით (ობირუუ). თავარი მაგარუუ სოიშახ ვემილეშუ ცუდეშანი, ენეფი იბირდეს; ასეიანი მუზიკაში მანგიორი დუ. თქუანდეს „ზარით მორთუ ონგარუშავანი“, თენა დიდი პატიიცემას ნიშნენდუ. – „ძველად იცოდნენ ზარი: მკვდარს რომ ტიროდნენ, მომტირალს (დას ან ქალიშვილს) მოჰყავდა ოცი-ოცდაათი კაცი. ამათ წინ მიუძღოდა ოთხი კაცი (მეტიც შეიძლებოდა) ზარით (სიმღერაა). მთავარი მომტირალი სანამ არ შევიდოდა სახლში, ესენი მღეროდნენ; ახლანდელი მუსიკის მაგიერი იყო. რომ იტყოდნენ: „ზარით მოვიდა სატირლადო“- ეს დიდ პატივისცემას ნიშნავდა (ქაჯაია.2001-2006.).

მეგრულ-ლაზურში გვაქვს **ზარი/ზარა/ზორი** შემდეგი მნიშვნელობებით:

1 – ზარი, სარეკელი.

2 – სასიმინდეს წნელით მოწნული კედელი.

3 – ტირილის წესი; სიმღერა ტირილში.

4. ზორი – საყვირის მიერ გამოცემული ძლიერი ხმა,ზარი.

ხმოვანი სიგნალისათვის, შეტყობინებისათვის გამოიყენება **ორეკეში/ორაცეში** – სარეკავი, სარეკისი, გასადენი; დასაფერთხი.

კისერს ზარეს გითაბუნუანა -„კისერზე ზარს ჩამოჰკიდებენ". ჟეშტიშ ხგმათ მემორჩქენა, ზარეს უხაკუანანი – „ჟესტის (თუნუქის) ხმად მიგვაჩნია, ზარს რომ უკაკუნებენ." დოურეკათ თინენს ზარა: (ხუბუა,1937, 308) – „დავურეკოთ იმათ ზარი". ზარა თაქი მიკომიბუ: (სამუშია, 1979, 83) – „ზარი აქ მიკიდია". ცოროფილეფიში გამათ ჭანდი მიწოლენსგ ზარს (ყიფშიძე,1994, 140)- „შეყვარებულების მაგიერ ბუზი მეტყვის ზარს". სქანდა ვემმოგამაფუა ტრუბა მუზიკანტიში ზორით! (სამუშია,1979, *91*) "შენზე ნუ დამაკვრევინებ საყვირს მუსიკოსის ხმით!". მა მუთუნერო ზორიში უმუშო ჭკუმუავეშემილებუ (ყაზაყ., 6.08.1930, 3) „მე არანაირად საყვირის(ზარის) გარეშე ჭამა არ შემიძლია".

ლაზურში **ზარი** ბედის მნიშვნელობით ითქმის: „ანდღა ზარი ვარ მიღუნ" – დღეს ბედი არ მაქვს; „დულ̌ა ჩქიმი ვარ ივენ, ჰაწი ვარ მიღუნ ზარი" – ჩემი საქმე არ კეთდება, ახლა არა მაქვს ბედი (ყიფშიძე – ჭანური ტექსტები, გვ. 69). (თანდ., 271)

ზარი = კამათელი: „ზაჲ ისთომელან" – კამათელს აგორებენ (ჩიქობავა – ჭანური ტექსტები, გვ. 123_{10}).

ზარი = ხის ძარღვი

ლაზურში **მეზარე** არის საფლავი, **მეზარლული** – სასაფლაო, გლოვის ადგილი: მეზარეშე ჯინაზე-ოხორჯა ჯუმა მუშიქ დოლოჲონამს, ვანა ჯუმადი მუშიში ბიჭიქ. „საფლავში მიცვალებულ ქალს მისი ძმა ჩაიყვანს (ჩადებს) ან მისი ბიძაშვილი" (ჟღენტი – ჭანური ტექსტები, გვ. 11). ზაიმიში მეზარლული-

კალა არ დიდი მუნთხანი ქონაგუ „ზაიმიშის საფლავთან ერთი დიდი რაღაცა შეხვდა“ (ჟღენტი – ჭანური ტექსტები, გვ. 4). **ზარი-ზარი ნიშნავს** მწარეს, ქვითინ-ქვითინს: იბგარტუ ზარი-ზარი! „ტიროდა ქვითინ-ქვითინით (ტიროდა მწარედ)“ (ყიფშიძე – ჭანური ტექსტები, გვ. 69).

სარეკელას მნიშვნელობით ლაზურში გვაქვს **რანწკ** ძირისგან ნაწარმოები ლექსემები (შდრ. ქართ. **წკრ**)

რანწკ-|| რანწ-,ორანწკუ – რეკვა

ორანწკალუ რეკვა: „გერმაქ რანწკალამტუ იამოშ სერსითე“ – ტყე რეკავდა იამოს ხმით (ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, გვ. 154). / **ოლანწკალუ** წკრიალი, რეკვა: „კავალი-მუშის ეკო ჩქვა ოლანწკალუ-ქი” – მისი სალამური კიდევ იმდენი აწკრიალა რომ (კარტოზია – ლაზური ტექსტები, გვ. 126).

ორანწკილონი ეჟვანი: „კუჩხეს ორანწკილონეფე დოლობუნ“ – ფეხზე ეჟვნები ჰკიდია (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, გვ. 23).

სარეკელა (ნადირის შესაშინებელი) ასევე არის **ორაონი**: „ჰემუში ჯოხო რენ ორაონი“ – იმისი სახელია „ორაონი“ (სარეკელა) (ჩიქობავა, ჭანურის გრამატ. ანალიზი, გვ. 73).

ლაზურში, ისევე როგორც მეგრულში, ტირილს , გლოვას მოთქმას **მგარ/ნგარ** ძირისგან წარმოქმნილი სახელები:

გემგარაფა დატირება, **გემგარელი** დატირებული, დატირება

გემგარუ /გემგარინუ / გჲემგარუ დატირება: გემამგარით, ნანა დო ბაბა ჩქიმი! – „დამიტირეთ, დედავ და მამა ჩემო!“ (ჟღენტი – ჭანური ტექსტები, გვ. 158). დალეფე მუშიქ „ჯუმა ჩქიმი“-ა დო გჲამგარეს – მისმა დებმა „ჩემო ძმაო“ და დაიტირეს (ჩიქობავა – ჭანური ტექსტები, გვ. 132**ზარ** ძირი მე-

გრულში გვაქვს სიტყვაში **გაზარება** „გაცილება“. სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვს სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობის (საბოლოო გზაზე გაცილების) შეცვლასთან **გაზარება (გაზარებას)** სახელი **გააზარენს** ზმნისა – გაცილება: ჭუდეშახ გააზარენს, აბა, მუს იქუნს “ სახლამდე გააცილებს, აბა, რას იზამს“. ჩვენსლაზურში გაცილება არის **გამაყონუ,** რომელსაც **ყონ = ყოლ** ძირი აქვს (შდრ. ქართ. გაყოლა). გამიტაში-ა ნეკნაშენ ქაგამაყონი-ა „გასვლისასო კარიდან გააცილეო“ (ჩიქობავა – ჭანური ტექსტები, გვ. 126).

ზარი – ლექსიკურ-სემანტიკურიბუდე სვანურში:

სიტყვის მნიშვნელობა დროთა განმავლობაში იცვლება და ცვლილების გამომწვევი მიზეზები მხოლოდ ლინგვისტური ფაქტორებით არ აიხსნება. იგი უნდა განიხილებოდესეთნო-ისტორიულ-ლინგვოკულტუროლოგიურკონტექსტში.

ქართულში სიტყვა ზარი აქტიურად მონაწილეობს კომპოზიტების შექმნაში: თავზარი, თავზარდაცემული, ზარდაცემული, ასევე მონაწილეობს ფრაზეოლოგიზმებში – თავზარი დაეცა, ზარი დაეცა.**ზართანა ადაკავშირებული**

სვანურში არ გვხვდება ზართან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები და კომპოზიტები იმ ტიპისა, როგორიცაა **თავზარიდაეცა, ზარიდაეცა,თავზარი, თავზარდაცემული, ზარდაცემული...**

სვანურ ზარის შესახებ არაერთგზის უსაუბრიათ ეთნოგრაფებს, ეთნოლოგებს და არა მხოლოდ მათ, ზარი განუყოფელი ნაწილია ქართული (სვანური) ადათ–წესებისა. ზარი აქტიურად მონაწილეობს სვანურ სიტყვათწარმოებაში: **ზა̈რი მშ̌ქშისგ** „მოზარე“, **მოზრა** „მოზარეები“, **ზა̈რი ლ̄ქშ̄ისგ** „ზარის თქმა“,თემებისა და სოფლების მიხედვით განასხვავებენ ზარის

ნაირსახეობებსაც: **ლგმლახუ ზა̈რ** „მულახური ზარი“, **ლგჲცერუ ზა̈რ** „ეცერული ზარი“, **ლუკა̈ლუ ზა̈რ** „კალელთა ზარი“...

ზანგლა̈გ (-იშ, -ლაგა̈რ) ბზ., **ზანდლა̈გ** (-იშ, -ლაგა̈რ) ბქ. – ზანზალაკი, ზარი.

მი **ზანგლა̈გს** ლა̈ხუ̈ყედა̈ნ ისი ეჩი̈რ ჰერს ხეჭმინა̈ლდა̈ს (ბზ. 360) – მე ზარს დავიკავებ და შენ იმის ხმას გამოჰყევი (სდიე).

ზა̈რ (-იშ, -ა̈ლ) ზს., ლნტ., **ზარ** (-ა̈ლ) ლშხ.

1. ზარი. ზაროხყიდდ (ლშხ.) – ზარივიყიდეთ. ლა£უ̈ამსმა̈ხ-ეზა̈რლახუ̈აბედ (ლნტ.) – ეკლესიასახალიზარიშევაბით.

2. ზარი (სამგლოვიარო ჰიმნი). ნიშგუ̈ჲგუ̈არიშზა̈რურდა̈რ-ლუშდღუ̈ელი-ჲზა̈რხე̈ქა! (ბზ. 364) – ჩვენი გვარისა უზაროდ არავინ დამარხულა და ზარი უთხარი! ლასგუ̈ჯინაჟიზარუქუ̈ჩ-ცადხეკუ̈ესლე̈სეს (ლშხ. 37) – გამოსვენებისას ზარი უწყვეტად უნდა იყოს.

მგზრი (-რიშ, -ზრაბზ., -აშ, -ზრაბქ.), **მგზარ** (-იშ, -ალ) ლშხ., **მოზარა**(-რა̈შ, -რალა) ლნტ. – მოზარე, ზარისმთქმელი.

ჩიქემგზრაზა̈რსყგლეხ (ბზ. 7) – ჯერ მოზარეები ამბობენ ზარს. ფარა̈რს გუნ ხოჩა **მგზრა** ხორიხ (ბქ.) – ფარელებს ძალზე კარგი მოზარეები ჰყავთ. მგზარ ღუ̈აჟარ ანჭადხ (ლშხ.) – ზარის მთქმელი კაცები მოვიდნენ.

ნასესხებმა სიტყვამ ზარი სალიტერატურო ქართულს და და ქართველურ ენებში შეინარჩუნა როგორც თავდაპირველი მნიშვნელობა, ასევე შეიძინა სხვადასხვა ნიუანსური სემანტიკა: 1. ზარი – „გლოვა“, სამგლოვიარო მოთქმა, ტირილი“, 2. ზარი – „ხმის გამომცემი საგანი, სარეკელა“ 3. ზარი – სასიგნალო ხმა“ 4. ზარი – კომპოზიტებში – შიში, თავზარი, გაოგნება...“

კონცეპტ ზართან დაკავშირებულ ლექსემებში სემანტიკური გადასვლა ქართული ეთნოგრაფიული ყოფის გათვალის-

წინებით მოხდა შემდეგნაირად: ზარი -გლოვა > სამგლოვიარო გოდება > საშიშროების მაცნე, ხმა, ხმის გამომცემი საგანი...

ამგვარად, ჩაანაცვლა ნასესხებმა ზარმა ქართულში არსებული სარეკელა, გლოვა, ზან. ნგარა, სვან. ლიგვნი...

მეგრულ-ლაზურსა და სვანურში **ზარ** და მისგან წარმოქმნილ ლექსემათა ანალიზმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა თეზას, რომ ქართველური ენების ლინგვოტიპოლოგიური აღწერა და ინტერპრეტაცია წარმოადგენს თითოეული ამ ენის თავისებურებების დადგენასა და მათ შორის მსგავსებისა და განსხვავების გამოვლენას.

ამრიგად, მეგრულ-ლაზურისა და სვანურის ემპირიული მასალის საფუძველზე აღწერითი მეთოდოლოგიის გამოყენებით გაანალიზებულია ქართველურ ენათა საერთო ძირისა და მისგან წარმოქმნილ ლექსემათა გამოყენებითი არეალი, სემანტიკური ასპექტები, ყალიბები... აქცენტირებულია ქართველურ ენათა საერთო ტიპოლოგია კონცეპტ ზარის მაგალითზე.

8. კონცეპტი ბედი ქართველურში

ლინგვოკულტუროლოგიაში კონცეპტი ენის კულტურის სემანტიკური ერთეულია, რომელიც ასახავს ხალხის, ეთნოსის დამოკიდებულებას სამყაროსადმი.

კონცეპტი **ბედი** მჭიდროდაა დამოკიდებული ადამიანის ყოველდღიურ ყოფასთან და მათ საქმიანობასთან. ადამიანები თანაბარნი არ არიან სიმდიდრესა და სილარიბეში, ჯანმრთელობასა და ავადმყოფობაში, სიცოცხლესა და სიკვდილში..., რაც იწვევს ფიქრს ბედსა და უბედობაზე. ფილოსოფოსები, მოაზროვნეები, ლინგვისტები და თეოლოგები იკვლევდნენ და იკვლევენ საკითხებს, რომლებიც ეხებოდა ბედს და რომელიც კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უძველესი კონცეპტია.

ქართველურში კონცეპტი **ბედი** ერთიან ლინგვო-კულტურულ სურათს გვიჩვენებს. აღსანიშნავია ის, რომ გარდა სემანტიკური აბსოლუტური მსგავსებისა, ამ კონცეპტის უძველესობას ადასტურებს ლექსიკური იდენტობაც: **ბედ** ძირი სამსავე ქართველურ ენაში ერთნაირი ლექსიკურ-სემანტიკური ბუდეების ბირთვად გვევლინება.

ბედი – სახელი არს მეფეთა სიმაღლისა და გლახაკთა სიმდაბლისა, კაცი ვინმე ბოროტის ღირსი ღმერთმან შეიწყალოს და შეუცვალოს ბოროტი კეთილად, ესევითართა სახელად ბედი ეწოდების (სულხან-საბა, I. 98)

ბედნიერი – ბედის მქონებელი(სულხან-საბა,I. 98)

ბედნიერობა – ბედის მქონებლობა (სულხან-საბა,I. 99)

ბედობა – ბედის პოვნის ჟამი(სულხან-საბა,I. 99)

ბედი, *ბედისწერა,* რელიგიურ-ფილოსოფიური იდეალ-

მართალი ქომიწიით, შურქუ ვა წაგირთასგნი!: ი. ყიფშ., გვ. 4 -- მართალი მითხარით, სული არ წაგიწყმდეს (წაგიხდეს)!

შური წგრდგ – სული წმინდა:

უბადო შური წგრდგს ოჩხუპუ: ეგრისი, გვ. 132 – ბოროტი სული წმინდას ებრძვის.

შურიშ ხირუა – სულის მოპარვა, – გაკმენდა, გატვრინვა.

შურგოტებული – სულწასული, სულმოკლე.

მუს რე, ჯიმა, შურგოტებულო უჯინექიე?: მ. ხუბ., გვ. 57 --რასაა, ძმაო, სულწასულად რომ უყურებო?

შურ-გურით – სულით-გულით. ათე ამბე შურ-გურითი მოკო დობხანტურუე: ქხს, 1, გვ. 328 – ეს ამბავი სულით-გულით მინდა დავასურათო (დავხატო).

შურდგმილ-ი სულდგმული; ცოცხალი არსება; ცხოველი.

შურდინაფილ-ი სულდაკარგული. გადატ. გველი (ტაბუა).

შურეთ-ი/ ოშურეთი – სულეთი, საიქიო.

შურეთიშე დორთინელი მითა მიძირუ – საიქიოდან დაბრუნებული არავინ მინახავს.

შურიგე/ე/ – საალერსო-საფიცარი მიმართვა: სულს გაფიცებ; სული თუ გწამს; სულისჩინო!

შურმალაფუ /შურიმალაფუ – სულთმობრძავი, – მომაკვდავი.

შურმალაფუ ღურუდასგ, ინავარე საცოდალი: ქხს, 1, გვ. 97 – სულთმობრძავი რომ კვდებოდეს, ის არაა საცოდავი (შესაცოდებელი). შურმალაფუო გინორთა სულამომსვლელად გადაქცევა (გახდომა). გადატ. სიკვდილის პირად მისვლა.

ჳვამურიცხამქგ ქიდეელახგ დო შურმალაფუო გინიირთგ: ა. ცაგ., გვ. 25 – შუბლვარსკვლავიანი ავად გახდა და სულთმობრძავად (მომაკვდავად) იქცა.

ბაბა-შური – შორსდ. ფიცილის ფორმულა: მამა-სულო. გამარჯობა, ბაბა-შური! – გამარჯობა, მამა-სულო!

ბაბაშ-შურუმე, ბაბაი-შურუმე – შორსდ. ფიცილის ფორმულა: მამის სულს ვფიცავ. ბაბაიშურუმე, ვადაინდენქ, ვამორთა ხოლოშა! – მამის სულს ვფიცავ, არ დაგინდობ, არ მოხვიდე

ახლოს.

უშურო -უსულო

შურდგუმილი – სულიერი

უშურე ბძირი უხენო, შურდგმილიში დგმაბადებელი: კ.სამუშ., ქართ.ზეპ., გვ. *119* – უსულო ვნახე ორსული, სულიერისა მშობელი (დამბადებელი).

ფიჩხუა (შურიში) – სიკვდილი, სულის განტევება.

დემქ შური გოფიჩხუუ: მ. ხუბ., გვ. *184* – დევმა სული განუტევა (მოკვდა).

ლაზური:

ლაზურში შური/შუი/შუი რამდენიმე გაგებას მოიცავს: უსხეულო არსება, ცალკეული ადამიანი, ადამიანის სულადობა, ზებუნებრივი ძალა, შინაგანი არსი – საპირისპირო ხორცისა, არაადამიანური არსება-კეთილი ან ბოროტი და სხვ. ლაზურში **შური** გადმოიცემა სხვა ლექსემებითაც, რომლებიც ნასესხებია ძირითადად თურქულიდან ან სპარსულ-არაბულიდან **გორი, დიხნი, ჯანი** =სული; **ჯანლი** (სპარს.), **ნეტერი** (თურქ.), **ნუტუსი** = ცოცხალი, სულდგმული, არსება, ადამიანი.

„თქვან ნაკო **შური** რეთ?“ – თქვენ რამდენი სული ხართ? „არ **შური** ქომოიხინწუ“ – ერთი სული ამოიხვნეშა (კარტოზია, ლაზური ტექსტები, 83_{26}). „**შუი-ნა** ვა გედგინ ორდელი, ჩაქმაქსუზი ტოქელითე დოპილით“ – სული რომ არ უდგია იხვი, უჩახმახო თოფით მოვკალით (ჟღენტი, ჭანური ტექსტები, 96). „სქანი **შუი** ჲემალეშა მოფთია (კატოზია, ლაზური ტექსტები, 25_{20}). „**შური** ნაქაჩუ“ – სული შეეხუთა (ჩიქობავა, ჭანურის გრამატ. ანალიზი, 135). „ოდას-თი **ჯანლი** ხაივანეფე ქამოყონაფეშ-შკულუ, ხოლო ბირათათენ თითო-თითო გერი ქომეჩეს“

– ოთახში ცოცხალი საქონლები რომ შემოაყვანინეს მერე, ისევ სიმღერით თითო-თითო უკან მისცეს (ყიფშიძე – ჭანური ტექსტები, 10). „ოთხო **ჯანი** ტერენან“ – ოთხი სული ყოფილან (ჩიქობავა – ჭანური ტექსტები, 7).

„**დიხნი** ქვაჭოფუ” – სული შეეხუთა (თანდ., 187)

შური/შურ ლაზურში გვხვდება კომპოზიტებშიც და ფრაზეოლოგიზმებშიც:

შუიოჭკვადუ – სულის ღაფვა, სულის წყვეტა;

შურიგედგინერი – სულდგმული;

შურიოკონალუ – სულის ძრომა (სული ძვრება) (გადატ. მოუთმენლობა);

შურიდოლოლაფერი – აქოშინებული, სულჩავარდნილი;

შურიჩხა – შაბათი, სულის დღე;

ჟურშურონი – ორსული;

შური ოქაჩუ , შური მედუ – სულის ხუთვა;

შური ქომეჩუ – სული მისცა, სული მიჰყიდა;

შური ჭკვიდომს -კვდება, სულს წყვეტს;

შუი ქიუხთეფს – სული ამოხდება, სული მიატოვებს... ;

შური მედვალერი – სულდახუთული;

შურშოლფა – უშედეგო მცდელობა.

„დუნჲას-ნა სქიდუნ **შურიგედგინერი** შერეფე მთელი ხოლოს ქოკუჯოხუ დო ჶელუკას ქოტოხუნუ“ – ქვეყანაზე მცხოვრებ სულდგმულს, ყველას დაუძახა და ნავში ჩასხა (ჟღენტი, ჭანური ტექსტები, 28). „**შურიდულოლაფერი** არ მკჲაფუ ქომოხთუ“ – ულჩავარდნილი ერთი ტურა მოვიდა (კატოზია, ლაზური ტექსტები, 182). „მასუმანი ნდღას **შუი ვა მეგადუია?**“ – მესამე დღეს სული არ შეგეხუთაო? (კატოზია, ლაზური ტექსტები, 67). „აქ **შუი ჲეგილა**-ნა ჯენნემიშ ულუჲა“ – აქ თუ

სული ამოგხადე, ჯოჯოხეთში წახვალო (კარტოზია – ლაზური ტექსტები, 28). „ჰაშო ნიჯე გომოშქვარე **შური დოლოლაფერი!**" – ასე რამდენ ხანს უნდა მარონიო სულჩავარდნილი (ყიფშიძე – ჭანური ტექსტები, 43). „ჰებდენ **შუი ქოგამაგალასერე**" – მთლიანად სული გაძვრა (ჩიქობავა – ჭანურის გრამატ. ანალიზი, 87). „ოწედუ, ოწედუ, **შური ქოდოლულუ**" – უყურა, უყურა, სული შეეხუთა (ჩიქობავა – ჭანურის გრამატ. ანალიზი, 135). „ჰამუსნა დოსქიდუ ოხორჯა **ჟურშურონი** ტუდორენ" – ამას რომ დარჩა ქალი, ორსული ყოფილა (დიუმეზილი IV, 1).

ლაზურშიც **შური** შესუნთქულ-ამოსუნთქულ ჰაერსაც ნიშნავს და სუნსაც: **შუი მემიბარი** =სული დამიბერე; **შუი ქოდიშვანუ** = ჩაისუნთქა, **შურიდულოლაფერი** – აქოშინებული, **კოჩიშ შურა** – კაცის სუნი...

კეთილი თუ ბოროტი არაადამიანური არსების სული ლაზურში გადმოიცემა ძირითადად ნასესხები სიტყვებით, რაც თურქული რწმენა-წარმოდგენების ძლიერ გავლენის შედეგია. **ეზრაელი/ეზაელი/ერზაილი** – (არაბ.) სულთამხუთავი ანგელოზი მიქელ გაბრიელი:

ეჯილლი – (თურქ.) ავსული

იხი – ჯადოქარი, ავსული

იარიჯანლი – ნახევარსული

კონჯოლოზი – ავი სული

ფერი – ეშმაკი, ავი სული

ჯინი – ავი სული

ჰიზირი – (არაბ.) გადამრჩენელი, ანგელოზი

მელაელი/მელელი/მელეიელი – ანგელოზი

ფერი/ფეი – ფერია;

„ეზრაელი მოხთუ დო შუქეი ქაჲულუ" – სულთამხუთავი

ანგელოზი მოვიდა და სული აუღო (თანდ., 223). „მუჩითუჩქულე: **ეჯილლი** ენი, ჲოქსე ისა კოჩი ენ" – გადარჩენის შემდეგ ავსულია, თუ ნამდვილი კაცი (მართალი კაცი) არის (კარტოზია – ლაზური ტექსტები, 158). „რამიზიქ ხასანის უწუ-ქი სქანი ოხორჯა იხი'სთერი მუთხანი რენ" – რამიზმა ხასანს უთხრა, რომ შენი ცოლი ჯადოქარივით რაღაცააო (ჟღენტი – ჭანური ტექსტები, 40). „ბერე დოშქურინეი რენ, ბექიმდა, **იხი** ქჲაყონუ" – ბავშვი შეშინებულია, შეიძლება, ავი სული აჰყვა (თანდ. 309). „**ჲარიჯანლი** ხოცქუტუ" – ნახევარსულიანი კვდებოდა (ჩიქობავა – ჭანური ტექსტები, 91). „კულანი ჲეი, ვანა **ჯინი** ჲეია? – შენ გოგო ხარ, თუ ავი სულიო? (კარტოზია – ლაზური ტექსტები, 68,). „მინდიყონეს დიდო **ჯინეფეში** ჲეიშა" – წაიყვანეს ბევრი ავი სულების ადგილს (კარტოზია – ლაზური ტექსტები, 105). „**ჰიზირიქ** უწუმეს" – გადამრჩენელი ეუბნება (კარტოზია – ლაზური ტექსტები, 97). „ქალე-ბოზო, დივიდორენ **მელელი**" – ქალიშვილო, გამხდარხარ ანგელოზი (ჟღენტი, ჭანური ტექსტები, 161). „არ **ფერი** ბოზო ქომოხთუ" – ერთი ფერია გოგო მოვიდა (ჩიქობავა – ჭანურის გრამატ. ანალიზი, 47);

საერთოქართველური სიტყვა **ჭინკა** ლაზურში შენარჩუნებულია. მას კუდიან პატარა არსებად წარმოიდგენენ, ტყეში წყლისპირას მცხოვრებს.

„ლიმჯიკელე **ჭინკა** მომხვადუ" – საღამოხანს ჭინკა შემხვდა (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 128). „ქარმატეს **ჭინკაფე** ნა მოლობლუტეს ქუჩქიტუ" – წისქვილში ჭინკები რომ შეყრილიყვნენ იცოდა (დიუმეზილი IV, 85).

საყვარელი არსების ეპითეტად გამოიყენება ლაზური **შურიმშინე** და სპარსული **ჯანუმ. შურიმშინე** ნიშნავს სულის მხ-

სენებელს, ასევე მიცვალებულის სულის მომხსენიებელს, **ჯანუმ** – სულო ჩემოს, ძვირფასოს.

საინტერესო აღმოჩნდა ქართველურ ენათა მონაცემებზე დაკვირვება სულის ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში, კონცეპტში გაერთიანებული სიკვდილ-სიცოცხლის, არსებულისა და წარმოსახვითის, კეთილისა და ბოროტის ამსახველი ლექსემების, სიტყვათშეხამებებისა და ფრაზეოლოგიზმების აღნუსხვა-შესწავლის თვალსაზრისით.

ლექსიკა ენის ყველაზე მგრძნობიარე ნაწილს წარმოადგენს. იგი პირდაპირ ასახავს სოციალურ ყოფას.

ენაში ახალი სიტყვების წარმოქმნა, გაქრობა ან ლექსიკური ერთეულების პასიურ მარაგში გადასვლა ხშირად სოციალურ-კულტურულ ფაქტორებს უკავშირდება. „ენებს შორის დიდი განსხვავებაა მათი ლექსიკის ბუნების თვალსაზრისით" (სეპირი 2005: 42). სიტყვის მნიშვნელობა დროთა განმავლობაში იცვლება და ცვლილების გამომწვევი მიზეზები მხოლოდ ლინგვისტური ფაქტორებით არ აიხსნება. იგი უნდა განიხილებოდეს ეთნო-ისტორიულ-ლინგვოკულტუროლოგიურ კონტექსტში.

წინამდებარე პუბლიკაციაში, სწორედ, ლექსიკის ერთი კონკრეტული სეგმენტია წარმოდგენილი; რამდენადაც უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა წამლის კონცეპტის ამსახველ ლექსიკასა და, ზოგადად, წამლობასთან დაკავშირებულ ფრაზეოლოგიზმებზე დაკვირვება ქართველურ ენებში. ეს ბუნებრივიცაა, იმიტომ, რომ „სვანური ენა, ისევე, როგორც მეგრულ-ჭანური, მართალია, პერგამენტზე არაა წარმოდგენილი, მაგრამ ეს არც მას და არც მეგრულ-ჭანურს არ უშლის ხელს, შეინარჩუნოს უძველესი თვისებები, რომლებიც, შესაძლოა, ოდესღაც საერთო იყო ქართველურ ენათა ჯგუფის ყველა წარმომადგენლისათვის, მაგრამ სრულიადაც არ ასახულა წერილობითს ძეგლებში" (დონდუა, 1967:7).

წამალი, როგორც სამკურნალო საშუალება, საქართველოში ოდითგანვე არსებობდა. ამას მოწმობს მსოფლიო მითოლოგიაში არსებული ცნობები კოლხეთის, კერძოდ, მედეას

შესახებ. მედეას სახელს ანტიკურ და წინაანტიკურ სამყაროში ბევრი რამ უკავშირდება. ძველ ხალხს ის ქალღმერთად მიაჩნდა, მის სახელზე აგებდნენ ტაძრებს. ანტიკური საზოგადოება და ბევრი თანამედროვე მეცნიერი მის სახელს უკავშირებს მედიცინის თანამედროვე სახით განვითარებას. თვით ტერმინი მედიცინაც მისი სახელიდან მომდინარეობს. ლეგენდებისა და ისტორიული წყაროების თანახმად, მედეას მკურნალობის საოცარი ნიჭი და ცოდნა ჰქონდა, მას ბევრი უკურნებელი სენის წამლობა შეეძლო. რამდენიმე ლეგენდის მიხედვით, ის ახალგარდაცვლილსაც კი აცოცხლებდა, მოხუცთ კი სიჭაბუკეს უბრუნებდა.

მედეა გახლდათ იასონისა და შემდგომ ეგეოსის მეუღლე, „მსოფლიოს უდიდესი ჯადოქარი", ექიმი, ბალახთა და წამალთა მესაიდუმლე, მედიცინის დედამთავარი. მან დაამზადა მალამო, რამაც იასონს ძალა და მხნეობა შეჰმატა, ეს იყო ზეითუნის ზეთში გაზავებული, არა ჯადოსნური, არამედ, რაღაც ნამდვილი წამალი (ძვ.წ. აღ. VI ს-ის ბერძენი ჰიმნოგრაფის პინდარეს ცნობიდან). მედეა შვიდგზის მოუხმობს ჰეკატეს, გამზრდელს და ალბათ დედას, ისე ამზადებს წამალს. ამ წამლებით მუდამ შველოდა უცხოელებს, ძალა შეჰმატა იასონს, დააძინა გველეშაპი (შეულოცა, უმღერა ან რტოთი მიასხურა წამალი)... (https://ka.wikipedia.org/wiki/მედეა_მითოლოგია).

დღეს არაა ცნობილი, რომელი ლექსემით იყო წარმოდგენილი წამალი, მაგრამ, აღსანიშნავია, რომ უძველეს ქართულ ლიტერატურულ ძეგლში, იაკობ ცურტაველის „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისაჲ", ერთხელაა გამოყენებული სიტყვა **წამალი** „მიბრძანე და მოგბანო სისხლი ეგე პირსა შენსა და ნაცარი, რომელი თუალთა შთაცუეულ არს, და სალბუნი და **წამალი**

დაგდვა, რაჲთა, ჰე, ღამე თუ განიკურნო!" (www.nplg.gov.ge/ebooks... „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისაჲ დედოფლისაჲ", თ.VII);

„აბო თბილელის წამებასა" და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" იგი არ გვხვდება.

„ვეფხისტყაოსანში" 21-ჯერ ვხვდებით ამ ლექსემას: 1.საკურნებელი საშუალების მნიშვნელობით; უფრო მეტად კი – 2. გადატანითი მნიშვნელობით (=დახმარება, საშველი....)

„დავუძლურდი, მიჯნურთათვის კვლა **წამალი** არსით არი" (ტპ. 8)

„თქვა: ზედა-ზედა მომხვდების ნახვა მის ბროლ-ფიქალისა, ნუთუ მით ვპოვო **წამალი** მე ჩემი, ფერ-გამქრალისა!" (ტპ. 42)

„მომცა **წამალი** გულისა, აქამდე დადაგულისა" (ტპ. 153)

„აწ წასვლა იყო **წამალი** ჩემთა სახმილთა გზნებისა"... (ტპ. 797)

„შენ გაქვს **წამალი** მისისა მოთმინებისა თმენისა".. (ტპ. 839) (https://www.skribd.com/...ვეფხისტყაოსანი.pdf).

კონცეპტი წამალი ასეა განმარტებული ქართული ენის ლექსიკონებში:

წამალი – ნივთი საკურნებელი, ნივთი სამკურნალო; ეწამლა ვწამლობ, თოფისწამალი, იწამლებს მეწამლების, მოუწამლე მწამლავი, მწამლელი, ნაწამლები ნაწამლი, საწამლავი, სწამლობს, უწამლე, წამლვა,წამლობა (ორბელიანი, 1993: 363).

მეწამლე – „მისანი"; კუდიანი (ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი, 2008: 204)

წამალი – სამკურნალო შეზავებულება, რომელიც იქმნების ანუ შინაგან მისაღები, ანუ გარედამ დასადები სატკივართა ზედა (ვეფხისტ. 272).

– ღონისძიება ანუ საშუალობა (მუნვე, 15, 255).

– საწამლავი საკუდინებელი, ანუ შემშლელი კაცთა (*ნახე* საწამლავი).

– წამალი სამხატურო, საღებავი ანუ ჩასაფერადებელი.

– წამალი თოფისა, დენთი, საფეთქი.

წამალი – 1. გარკვეული წესით, (საგანგებო რეცეპტით) დამზადებული სამკურნალო საშუალება (დასალევი, წასაცხები...) მედიკამენტი. დამწვრის წამალი... უებარი წამალი... წამლის გამოწერა..წამლის შუშა...წამალს ასმევს..წამალს იღებს.

ზოგიერთი აბები, თუ ცოტას ყლაპავთ, წამალია, თუ ბევრს – საწამლავი (ილია).

[აფთიაქის გამგეს] მუდამ წამლის სუნი სდიოდა(ს. კლდ.).

გადატანითი მნიშვნ.: უდრეკლობაა მუდამა მტრის დამარცხების წამალი (ვაჟა).

2. იგივეა, რაც საწამლავი.

დედავ, გამიშვი, ქალაქში წავალ, წამალს ვიყიდი, თავს მოვიწამლავ(ხალხ.).

3. იგივეა, რაც საღებავი.

ჩულურეთს, მაღლობზე, დგას სახლი... ამ რვა წლის წინათ იყო ყვითელი წამლით შეღებილი (ლ. არდაზიანი).

შემოდგომის უჩინარ მხატვარს ნაირნაირი წამლებით მოუჩითავს უკრაინის გულუხვი მიწის მკერდი (კ. გამს.).

4. საუბ. შაბიამნისა და კირის ხსნარი; ასხურებენ ვაზს დაავადებისაგან დასაცავად.. მცენარეთა სადეზინფექციო და პროფილაქტიკური საშუალებების საერთო სახელწოდება (შდრ. შეწამვლა).

5. იგივეა, რაც თოფის-წამალი. ტყვია-წამალი.

ტოროლას მაინც არ მოვკლვ, ბევრიც რომ მქონდეს წამალი (ხალხ.)

ბაანა, ვაი თუ საფალიეზე წამალიც არ მოგიყრია?...(გ. წერეთ.)

6. (რაიმე) წამალს იღონებს.

წამლად, მალამოდ დაედება, წამლად დაადებს.

7. წამლადაც არ ჩანს, ვერ იპოვი, ვერ ნახავ, ვერ მოძებნი... სრულებით არ არის

სადაა, კაცო, ურემი? აქ არსადა ჩანს წამლადა (ვაჟა). (ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი)

ქართული ენის დიალექტებში წამალი შემდეგი მნიშვნელობებით გვხვდება:

ქართლურში: წამალი – თიხის ჭურჭლის მოსაჭიქავი მასალა. ჭურჭლის წამალი ფიცხი არის და ამტვრევს ჭურჭელსა; ის რო უჭერს, სკდება ჭურჭელი (მეჯვრ.). წამლის წისქვილი ჭურჭლის მოსაჭიქავი მასალის დასაფქვავი წისქვილი (მეჯვრ.). (ქართლური დიალექტის ლექსიკონი, 1981:492).

ინგილოურში: – **1. წამალი**; 2. საწამლავი, შხამი; 3. შაბიამანი (მენაჳი წამალ = ვენახის წამალი). (corpora.co/ქდკ-ინგილოური ლექსიკონი; ინგილოური ლექსიკონი, ნათელა როსტიაშვილი; ქართ. ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, როგნეტა ღამბაშიძე).

იმერხეულში (ტაოურში): წამალდიდი (=ძირმწარა, სამკურნალო ბალახი) (corpora.co/ქდკ – ჩვენებურების ქართული ლექსიკონი, ნარგიზა სურმავა). **წამალდიდი** ასუა ბაღვსა „ზირმწარა დაალევინა ბავშვს" (ჩვენებურების ქართული, შუშანა ფუტკარაძე).

ხევსურულში: წამალ/წამლ – აგრეთვე აწამლებს, გველისწამალი, გირწყლის წამალი, დახპირისწამლავს, პირისწამალი, საპირისწამლე, საწამალავე პარკა, საწამლევი, ღუბის წამალი,

წამალა....

წამალა – კვეთი, დვრიტა, მაჭიკი...

წამალ – თოფის წამალი;

საინტერესოა, რომ ძირი **წამ** გამოყენებულია წოვა-თუშურში: წამ-დ-ალარ, რაც ნიშნავს გაწმენდა-გასუფთავებას (წოვა-თუშური ლექსიკონი, 1984:).

ქართველურ ენებში (მეგრულ – ლაზურსა და სვანურში) კონცეპტი წამალი ასეა წარმოდგენილი:

ლექსიკურ—სემანტიკური ბუდე მეგრულ-ლაზურში:

მეგრულში:

წამალ-ი – წამალი.

ღურუუშ წამალი ლაფარას ალაჩანდუა: ი. ყიფშ., გვ. 180 – „სიკვდილის წამალი ლაფაროში ხარობდაო (იყოო)".

დოხთურეფი წამალს მორთუ: ი. ყიფშ., გვ. 124 – „ექიმები წამალს მიშვებიან".

გილულა სოდოსონი კათეფი თიში ცუჩა წამალიშა – „დადიან წამლისათვის მის სახლში სადაური და სადაური ხალხი".

სონი წამალი მუღეს?: მ. ხუბ., გვ. 23 – „სადაური წამალი მიუტანეს?"

უწამალე – უწამლო

უწამალეთ ვადოპილა: ქხს, 1, გვ. 95 „უწამლოდ არ მომკლა".

უღურუშ წამალს გილებგორუდი: მ. ხუბ., გვ. 321 – „უკვდავების წამალს დავეძებდი".

მუ ღორონთიში ჭყორინი რე, მუჭო ვემმაგორუ მა თეში წამალიშავა: მ. ხუბ., გვ. 10 – „რა ღვთისრისხვაა (წყრომაა), როგორ ვერ მივაგენი მე ამის წამალსო".

წამალუა – 1. წამლობა, მკურნალობა.

მუთუნი წამალუაქ ვაგორთუ არავითარი წამლობა (მკურნალობა) არ გავიდა".

2. შეწამვლა:

ბინეხის წამალანს – „ვენახს წამლავს".

მასუმა წამალი ოკო პირუაში უკული: ყაზაყ., 16.03.1930, გვ. 2 – „მესამე წამალი უნდა აყვავილების შემდეგ".

3. მოწამვლა:

მიიწამალუ დო დახე შური გოფარსალუუ – „მოიწამლა და კინალამ სული განუტევა".

4. სულგანაბული წასვლა, შეუმჩნევლად გაპარვა:

უკუხალე ვამკუჯინუუ, დიწამალუ – „უკან არ მოუხედავს, ჩუმად წავიდა (გაიპარა)".

მონამალერი – მოწამლული.

ნინა მოწამალერი გაფუ მაჩამინჯე გვერიცალო: მ. ხუბ., გვ. 315 – „ენა მოწამლული გაქვს მკბენარი გველივით".

ნაწამალუერი – შეწამვლის, მკურნალობის საფასური:

დედიბიქ ნაწამალუერი მიითხუ – „დედაბერმა მკურნალობის საფასური მოითხოვა."

ნოწამალაფუე – აწამვლინებდა;

მეწამალე – მეწამლე;

მიიწამალუ – მოიწამლა;

ლაზურში:

ჭამი//ნჭამი – წამალი – (წ//ჭ-ს მონაცვლეობა და ნ-ს განვითარება ჩვეულებრივია ქართველურში, კერძოდ, ზანურში):

დოხთორიქ **ჭამი** ქომომჩუ (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 92) „ექიმმა წამალი მომცა". უშქირის **ჭამი** გონაპუ დო ქომე-

ჩუ (ა. თ.) „ვაშლს წამალი დააწვეთა და მისცა". **ჭამი-ჭამითენ** მჭაჯი ქეჭკვიდეს (ა. თ.) „წამალ-წამალით ბუზი ამოწყვიტეს (გაანადგურეს)".

ლერი ძაბუნობაშ **ჭამი** რენ (ა. თ.) " ნიორი ავადმყოფობის წამალია".

ჰემუში **ნჭამი** ვაძირეს (ჟღენტი, ჭანური ტექსტები,100). „იმისი წამალი ვერ ნახეს".

უწვეს-ქი: ასლან-კაფლანიში მჟა **ნჭამი** რენჲა (კარტოზია, ჭანური ტექსტები, 157)"უთხრეს, რომ ლომისა და ვეფხვის რძე წამალიაო".

„ნგჲაის **ნჭამი** ბუკათით დო დობოლურინით" – საჭმელში წამალი შევურიეთ და მოვკალით (კარტოზია – ლაზური ტექსტები, გვ. 155).

ჭამ ძირი გვხვდება კომპოზიტებსა და წარმოქმნილ სიტყვებში:

ნენა-ჭამონი – ენამწარე, მოწამლული:

მაჟუანი ენ **ნენა-ჭამონი** (კარტოზია, ლაზური ტექსტები, 93) „მეორე არის ენამწარე".

წიწიშჭამი – ჭიის წამალი;

ნომჭამეფი – ნაწამლევი;

საჭამელი (ქართ.-ლაზ.) ძვირფასი წამალი (ა.თ., 688);

ლაზური ამ შემთხვევაშიც, მეგრულისგან განსხვავებით, ნასესხებ ერთეულებს იყენებს:

დერმანი (არაბ.-თურქ.) – ძალა, წამალი:

არ სინ ორე, სევდა ჩქიმი, დერდი ჩქიმი **დერმანი** (ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, 43) „ერთი შენ ხარ, ჩემო საყვარელო, ჩემი დარდის წამალი". (შდრ. წამალი „ვეფხისტყაოსანში").

ილაჯი //ლაჯი (თურქ. ilac) – წამალი:

უკულე თქვეს-ქი თოლიში **ილაჯი** ბულბულიში მჟა რენ-ჲა (ჟღენტი, ჭანური ტექსტები, 124) „მერე თქვეს, რომ თვალის წამალი ბულბულის რძე არისო".

ილაჯი ვა უხენა-ში, შივიქ თომა ქოდობღამს! (ჩიქობავა, ჭანურის გრამატ. ანალიზი, 75) „წამალი თუ არ გაუკეთე „შივი" თმას დაყრის!".

აღსანიშნავია, რომ თოფისწამლის მნიშვნელობით გვხვდება ნასესხობა: **ბაოთი//ბაროთი** (არაბ.-თურქ. barut) – თოფის წამალი, დენთი:

ბოში **ბაროთითე** დომკასითჲა (ჩიქობავა – ჭანური ტექსტები, 116) „ცარიელი დენთით დამტენეთო".

საინტერესოა სიტყვა **ოჭაბუ,** რომელსაც 2 მნიშვნელობა აქვს: 1. წებო (ასეა მეგრულშიც); 2. წამლობა. შესაძლებელია, მე-2 შემთხვევა ბ – მ-ს მონაცვლეობით იყოს მიღებული, მაგრამ ყურადღებამისაქცევია ის გარემოება, რომ ალიო თანდილავას **ლაზურ ლექსიკონში** ვკითხულობთ: **ჭაბუ**[1] ფითრი (მსხალსა და ვაშლზეა) ბზის მსგავსი ფოთლები აქვს; ზამთარ-ზაფხულ მწვანეა. მისი ნაყოფი მრგვალი და თეთრია – ნაყოფი წებოვანი (ა. თ.); **ჭაბუ**[2] წებო: „კინონი ხეს ბურეღი ქონაჭაბენ" – ინიან ხელზე „ბურეღი" მიეწებება (ყიფშიძე – ჭანური ტექსტები, 46). თანდ.

ლაზურში ფორმა **ოჭაბულე**-ც გახლავთ ფითრი, რომელიც ხეხილზე იზრდება და წამლადაც იხმარება. მისგან მიღებული პრეპარატები გამოიყენება ჰიპერტონული დაავადებების, გულის ასთმის, ათეროსკლეროზის, თავის ტკივილების, ნეფრიტის დროს, როგორც სისხლშემადედებელი საშუალება ცხვირიდან, ფილტვებიდან... (მაყაშვილი, 1991:).

წამალ ელემენტი ძირითადია ანტონიმში **საწამლავი. მე-**

გრულ-ლაზურში ამ მნიშვნელობით ვხვდებით სიტყვებს:

ლაზ. ღურძული//ღურჯული – საწამლავი, შხამი, გესლი, ეპიდემია (შდრ. ქართ. ღვარძლი):

„ნა ჭკომი გიარი ღურძული გავას" – ნაჭამი საჭმელი შხამად გექცეს. იხ. **ღურძული – ოღურძულუ** -ჩაშხამება, ჩახეთქვა, ჩაცეცხლვა;

წუნა – შხამი: „წუნა შკომარე" – შხამი ჭამე (წყევლაა).

ხშამი – საწამლავი;

ხშამონი – მოწამლული;

მეგრ.**შხამი** – შხამი. შდრ. ლაზ. ჩხამი- შხამი (ნ. მარი).

შხამარა – ძლიერ მწარე (შხამი).

შხამარაჯგურაე – „შხამივითაა".

შხამუა – მოშხამვა.

ათე ცხოვრებას ნიიშხამენქ – „ამ ცხოვრებას ნუ იშხამავ".

შხანკოლა/შხანკალა – მეტად მწარე.

ხინას შხანკოლაჯგურა გემო უღუ „ქინაქინს მეტად მწარე გემო აქვს."

ცხამი – ღვარძლი (ს. ჟღ., შდრ. ფონ., გვ. 110). შდრ. ფშ., მოხ. ჩხამი შხამი, ჩხამი (ა. ღლ.).

ღვანძგი/ ღუანძგილა/ ღვანძგირა – ღვარძლი

ქჳმორთჳ მუში ნტერქჳ დო ქჳმჳშაათასჳ ღუანძგილა ქობალსჳ: ა. ცაგ., გვ. 87 -" მოვიდა მისი მტერი და ჩათესა ღვარძლი პურში".

ღურძული – შავი ჭირი; უბედურება (ი. ყიფშ.). შდრ. ლაზ. ღურძული შავი ჭირი, უბედურება (ნ. მარი).

ჟღამი – შხამი, გესლი.

თიში ჟღამი დიდი მიღუ გურსუ – „იმის შხამი დიდი მაქვს გულში".

ჟლამიანი – შხამიანი.

თეცალ ჟლამიან ნანჭყოლა მუთუნიშე ვე შედგრთ!: კ. სამუშ., ქხპს, გვ. 115 „ამგვარი შხამიანი ჭრილობა სხვა რამისაგან არ იქნება(არ შეიქმნება)!...

კვარიაქ მოუთხილუასგ თაქიანი ტყვია ჟლამიანც: მასალ., გვ. 97 – „ყვავი გაუფრთხილდეს აქაურ ტყვიას შხამიანს".

სანწალა, სანწალე – 1. მძაფრი; ძლიერ მწარე; შხამი. 2. ფიცხელი, მოქნილი

თე სანწალე მიშაძგნ, თე კვარეფი ქიმიოხირგ: მ.ხუბ., გვ. 115 „ეს შხამი (მძაფრი) რომ (შიგ) ძევს, ის კვარი მოპარა".

სანწალა ქარი – მძაფრი ქარი.

წამ-ან/წამ-აფ გვხვდება სიტყვებში, რომლებიც მოკვდინებას ნიშნავს ლაზურში.

ოწამანუ – მიჭყლეტა; მოკვლა:

„სი კილანენ-ჲა, სი კწამანენ-ჲა" (ჩიქობავა, ჭანურის გრამატ. ანალიზი, გვ. 99) „შენ უნდა მოგკლანო, შენ უნდა გაგჭყლიტონო".

ოწამაფუ – ჩაძაღლება, მოკვლა; გაჭყლეტა

ოწამუ – დარტყმა; მოკვლა; **(შდრ. წამ-ებ-ა).**

სი კილანენ-ჲა, სი კწამანენ-ჲა (ჩიქობავა, ჭანურის გრამატ. ანალიზი, 99) „შენ უნდამოგკლანო, შენ უნდა გაგჭყლიტონო".

ლაზურ-თურქულ ლექსიკონში **„დიდი ლაზური ნენაფუნა"** სიტყვა **ოწამუ** (ათინ.) **/ონწამუ** (ვიწ.) სამი მნიშვნელობითაა წარმოდგენილი : 1. დაჭერა; 2. გასროლა; 3. კაცის გასროლით მოკვლა; **ოწამაფუ** – გასროლით მოკლა (ნენაფუნა, 814).

კონცეპტი წამალი – ლექსიკურ—სემანტიკური ბუდე სვანურში:

სალიტერატურო ქართულისა და მეგრულისაგან განსხვავებით წამალი სვანურში სრულიად სხვა ძირის ლექსემით გადმოიცემა. ეს არის ჟაგარ/ჟაგრარ:

ჟაგარ (–გრიშ, გრარ ბზ., –გრარ ბქ., –იშ, –ალ ლნტ.) ჟაგარ (–იშ, გრალ) ლშხ. „წამალი".

ჟარ–ნაჟგუნ/ ჟაგ–ნაჟგუნ/ჟარ–ნარჟგუნ – წამლეულობა; ხუად ჟაგ–ნაჟგუნ ხოშუა (ლშხ.) ბევრი წამალი (წამლეულობა) დაულევია. (თოფურია, ქალდანი 2000: 683–684)

ჟაგ / ჟაგარ „წამალი", **ჟაგ–ნაჟგუნვარ** „წამლეულობა". **ლი–ჟგენი** „მოწამვლა" , **ლგ–ჟაგ** „მოწამლული" (დონდუა 2001: 252)

ნასელურუნ ჟაგარუ (ესერ) მა ლახურემ (ბზ. 97) „მოსარჩენი წამალი რამე მომეციო".

ჟაგარს გამლა დარ გთრე (ბქ.) „წამალს გემოსთვის არავინ სვამს".

ამის იმარიხ ლუშხურემი ჟაგარდ. (ლშხ., ხორ. 38) „ამას ხმარობენ დამწვრობის წამლად".

ჟარ / ჟაგ – 1. წამალი; 2. საწამლავი; 3. დენთი, თოფის წამალი;

გადატ. **ნაწრიშ ჟარ (ბქ.)** „ერთი ციცქნა" (ბედისწერის წამალი).

ა) ალე კუჭი მაზიგი **ჟაგ** ლოქ ლი (ლშხ.) „ეს კუჭის ტკივილის წამალიაო".

ბ) დენას **ჟარ** ლახოშუა (ლნტ.) „გოგოს საწამლავი დაულევია".

გ) ეშხუ მარემ **ჟარ** ლახურემ (ბქ.) „ერთმა კაცმა დენთი მისცა".

მგბაჟურე **ჟაგარ** ლოქუ ათანაჩდე (ლნტ. 143) „გამაბრუებელი წამალი გაურიეო".

ლილჟაგრჳლი „მკურნალობა", **ლიწმლაჲუი** „მოწამვლა", **ლგწმლაჲუე** „მოწამლული", **მგლჟაგრჳლი** „მკურნალი", **ლელჟაგრჳლი** „სამკურნალო"...

ჟაგ–ნაჟგუნ მოლრე ჟახაჭლ (სვან. ქრესტ. 1978: 141) „ფიტოთერაპია ანუ წამლად ვარგისი და გამოსაყენებელი ბალახების სახელები".

მრშ–მრშ ჟაგ–ნაჟგუნს იმჟი იჴმარიხ შვანისგა (სვან. ქრესტ. 1978: 142) „სხვადასხვა წამლეულს როგორ იყენებენ სვანეთში".

შვანს ობაშ მოლარ ხაგხ ი ჲერხი ჟაგრარ ლიხ. ალჲარს მრშ–მრშ კალიბდ იჴმარიხ აქმარ ი ობაშინ ძღგდ მაშედ ლიხ. (სვან. ქრესტ. 1978: 142) „სვანეთის მცენარეული საფარი საკმაოდ მრავალფეროვანია და ზოგიერთი მათგანი წამალია; მათ სხვადასხვაგვარად იყენებენ ექიმები და ხშირ შემთხვევაში ძალზედ სასარგებლოცაა".

ერთი კონკრეტული კონცეპტის აღწერასთან ერთად შევეცადეთ სალიტერატურო ქართულის მონაცემები შეგვედარებინა სხვა ქართველურ ენებში გამოყენებული ფორმებისათვის. გამოგვეყო საერთო და განსხვავებული ფუძეები და ფორმები.

სვანურისა და მეგრულ – ლაზურის ენობრივი მონაცემები წამალთან დაკავშირებული ლექსიკისა და ფრაზეოლოგიზმების თვალსაზრისით ტიპოლოგიურად რამდენადმე განსხვავებულია სალიტერატურო ქართულისაგან. გამოიკვეთა: ქართველური ენები ამ კონცეპტის ამსახველი ლექსიკის თვალსაზრისით საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი მასალის შემცველია. ლექსემა წამალი რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენება როგორც ქართულ, ასევე მეგრულ-ლაზურში: 1. **წამალი;** 2.

საწამლავი, შხამი; 3. შაბიამანი; 4. საღებავი; 5.თოფის წამალი (დენთი); 6. გადატანითი მნიშვნელობით: ხერხი, საშუალება (/ საშველი). ლაზურში **წამ** ძირს შეესატყვისება **ჭამ**. სალიტერატურო ქართულისა და მეგრულ- ლაზურისაგან განსხვავებით წამალი სვანურში სრულიად სხვა ძირის ლექსემით გადმოიცემა. ეს არის ჟაგჳრ/ჟაგრჳლ.

ამა თუ იმ ენის მატარებელთა მსოფლაღქმის სპეციფიკას ასახავს კონცეპტთა, როგორც სემანტიკურ ერთეულთა, ერთობლიობა, რომელიც ქმნის კონცეპტუალურ სფეროს. ამის დასტურია კონცეპტი წამალი ქართველურ ენებში.

12. კონცეპტი ხელი ქართველურში

სიტყვა „ხელის" ლექსიკურ-სემანტიკური ველის ყველა ლექსემა სამივე ქართველურ ენაში – სვანურში, მეგრულსა და ლაზურში – ერთ ლექსიკურ ბუდეს მიეკუთვნება. ირკვევა, რომ ლექსემა „ხელი" საერთოა ქართველური ძირითადი ლექსიკური ბირთვისათვის და კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისობებს იძლევა ქართველურ ენებში (ქართ.ხელი, მეგრ.ხე, ლაზ. ხე, სვან. ჴალ). როგორც მოსალოდნელი იყო, საერთო ქართველურ ფორმატში კვლევამ აჩვენა, რომ ლექსემა „ხელი" მსგავსი ტიპოლოგიით მონაწილეობს სიტყვათწარმოებაში, კომპოზიტებში, ფრაზეოლოგიზმებში.

მეგრული:

ხე – ხელი; **ხე დო დუდი** – ხელი და თავი; **ხე დო კუჩხი** – ხელ-ფეხი; **ხეგედვალირი** – ხელდადებული; **ხეგეწკურილი** – ხელდაკრეფილი;. **ხეაკოკირილი** – ხელშეკრული; **ხე დო ხეთ** – ხელით; **ხეგვიანი** – ხელგვიანი; **ხეგიორაცაფალი** – ხელდასაკარები; **ხეგოტებული** – ხელგაშვებული; **ხეგოფაჩილი** – ხელგაშლილი; **ხეგოფაჩილობა** – ხელგაშლილობა; **ხეგუმოღალირი** – მშრომელი; სიტყვ.-სიტყვ. ხელგამოტანილი; **ხედამშვენებული** – ხელდამშვენებული; **ხედასქვამებული** – ხელდამშვენებული; **ხეეფორაფილი** – ხელაფარებულ; **ხეეფშა** – ხელსავსე; **ხეზგსხირამი** – ხელსისხლიანი. **ხეკირილი** – ხელშეკრული; **ხელამი** -ხელიანი; **ხემანჩალარი, ხემანჩალუ** – ხელისშემშლელი; **ხემანწყუ, ხემანწყოუ** – ხელშემწყობი; **ხენწყუალა** – ხელშეწყობა; **ხემანჯღვერი, ხემანჯღვერუ** -ხელმძღვანელი; **ხემაჭკადუ/გ** – ხელმარჯვე, ხელმჭედელი; **ხემოჭარილი** – ხელმოწერილი, ხელწერილი; **ხემოჭკადილი** – ხელმოჭედილი; **ხემეთხიმილი** – ხელმოკიდებული; **ხე-**

მიოჭირინაფალი – ხელმისაწვდომი. გადატ. ახლოს; **ხემონჭირე-ლი** – ხელმოჭერილი, გადატ. ძუნწი; **ხემეჭვილი** – ხელდამწვარი, გადატ. ძუნწი; **ხეკულა, ხეკულე** – ხელგაფუჭებული, უხელო, ხელმოჭრილი. ცალხელ; **ხეკუნტა** – ხელმოკლე; **ხეკობუ** – ხელ-მწარე, მაგრად (მწარედ) დამრტყმელი; **ხეკვარჩხი** – ხელმარცხ-იანი, გადატ. ხელმრუდი, ქურდი; **ხელულა** – ხელმრუდი, გადატ. ქურდი; **ხეკინოკართელი** – ხელწაკაპიწებული; **ხეუგმულუ** – ხე-ლიდან არაფერი რომ არ გამოუვა, ხელგამოუსვლელი; **ხეუხებუ** – ხელშეუხებელი, გადატ. შენდობილი; **ხეფორჩა** – ტანსაცმლის სახელო; **ხეფორჩაგოტებული** – სახელოჩამოშვებული; **ხეშეული-რი** – გაცულლუტებული (ხელიდან წასული), გაქსუებული; **ხეშ-თათმანი** – ხელთათმანი; **ხეში კარაჩხა (კარანჩხა)** – ხელის პა-ტარა კალათა; **ხეში კვერი** – ხელის კვერი, გადატ. მუშტი; **ხეში კეტი** – ხელკეტი (ხელის კეტი); **ხეშნარდი** – ხელზე გაზრდილი; **ხეშნაჭა** – ხელით ნაკერი; **ხეშტოტი** -მკლავდამკლავ; **ხეშქაგური** – ხელის შუა გული, ნები; **ხეს აშაღურა** -ხელში ჩაკვდომა.

ხეშქოსალი (ხეში+ოქოსალი) – ხელსახოცი, ხელის სახვეტი; **ხეშააშადინაფილი** -გაპარული, გაქცეული (ხელში დაკარგული); **ხეეკანკალაფირი** – ხელაკანკალებული; **ხეში მალასარი** – ხელის შემშლელი.

ლაზური:

ხე[1] – ხელი; **ხე**[2] – ტარი; **ხე**[3] – სახელური; **ხე-ბუკი** – ხე-ლმოუქნელი; **ხე-გომპა ☒ ხე-გომფა-** ხელგაშლილი; **ხე-გონძ-იქერი** – ხელებდაკაპიწებული; **ხე-გური, ხაგური** – ხელის გული; **ხე-დიკი, ხე-დიღი** – თოვლში სასიარულო თხილამური; **ხე-დუ-რი, ხეშ-დუყუ (დურყუ, დული)** – იდაყვი; **ხე-ზდიმერი** – ხელ-მომჭირნე, ძუნწი; **ხე-თათი, ხეშ-თათი** – ხელთათმანი; **ხე-კაძი /**

ხე-კოტი – ხელმოუქნელი, რომელსაც საქმე არ გამოსდის ხელიდან; **ხე-კლავი** (ქართ.) – მკლავი; **ხე-კაპულა** – ხელის ზურგი; **ხე-კუჩხე** – ხელ-ფეხი; **ხერცალი** – ხელისგული; **ხეტაწი** – ხელმარჯვე; **ხეფორჩა** – სახელო; **ხელულა** – ხელმრუდი, ქურდი (მეგრ. **ხელულა**); **ხეშა, ხეში** – მუჭა, მუშტი; **ხეშ-არაბა** -ხელის ურემი; **ხეშგჲმდგინუ** – ხელის მოსამსახურე; **ხეშე(რ)ი,ხეში ☒ ინკილი** -კონა, მუჭა; **ხეში-გური, ხეშტაბუ** – ხელის გული; **ხეში-კაპულა** – ხელის ზურგი; **ხეშ-კალათი** – **კალათი; ხეშ-კლავი** – მკლავი; **ხეშქერი**- ხელბადე თევზაობისას; **ხეშ-ხოპე** – ხელის ბარი; **ხეჩატალი , ხეკოტი** –

სვანური:

ჴელშჳნ „ხელოსანი“; **ჴელშანჳრ** „ხელოსნები“; **ლი–ჴგლშჳნ–ი** „ხელოსნობა“; **ჴალჳრ** „მკლავები“, „ხელები“; **ლი–ჴლარ–ჱლ** „ხელების გადახვევა, მოხვევა“;

ში „ხელი“; **შიჳრ** „ხელები“ **ტშეტ** „ხელი“ (შდრ. ქართ. ტოტი); იტყვიან: **ხოშა ტოტჳრ ხჳრ** და არა **ხოშა შიჳრ ხჳრ „დიდი ხელები აქვს“**; მაგრამ ხელის ჩამორთმევის მნიშვნელობით ითქმის **შის ჱხბჱშდ** და არა **ტშეტს ჱხბჱშდ; ლეშიშ** „ხელსაქმე“; **ლამშიჱრ** „ხელსაწყო“; **შიშშშ ნჱარშ** „ხელმაწერი“; **ჴელწიფ** „ხელმწიფე“; **სჱჴელწიფ** „სახელმწიფო“; **ხოჩა შჱრეშ** „ხელმარჯვე“; **შიურ** „უხელო“.

ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ხელთან დაკავშირებით წარმოდგენილია შემდეგი მასალა: ქართ. **ხელ–ი; ხელი; სა– ხელ–ი; ერთ–ხელ–ი; მე–ხელ–ე; ხელ–ოსან–ი; ჴელ–ოვან–ი** და სხვ.

მეგრ. **ხე/ხუ; ხე** „ხელი“, **ხუ** „მუჭი“;

ლაზ. **ხე** „ხელი“;

სვან. ჴ̈ალ– ჴ̈ალ „ორი გაშლილი მკლავის სიგრძე“.

გვხვდება ძველ ქართულში: **ჴელი; ერთჴელი; უჴელოჲ...**

ქართული ხელ– ძირის შესატყვისად მეგრულში გვაქვს **ხუ** „მუჭი“ და **ხე,** ლაზ. **ხე<*ხალ–** ლ–ს დაკარგვითა და უმლაუტით და სვან. ჴ̈ალ (გასარკვევია სვან. ჴ̈–ს წარმომავლობა) (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990: 495);

სვნური საახალწლო სუფრის უმნიშვნელოვანესი რიტუალი არის **ლი–შჲ–ჴ̈ში** < (ლი–ში–ჴ̈შ– ი), რომელსაც მეკვლის მოსვლამდე ასრულებს ოჯახის უფროსი, შემდეგ კი – მეკვლე; ახალწლის ღამეს საგანგებოდ დაცხობილ კვერზე ფუსნმუჟელზე აწყვია კლდის ბალახი– თომის კონა, კანფეტები, ბამბის ფთილა, ფული... **მგშჲჴ̈ში (ე. ი. ხელის ამხსნელი)** ამ კვერით პირველ რიგში მიდის ბავშვებთან, შემდეგ ოჯახის ყველა წევრთან, სახის წინ მარჯვნიდან მარცხნივ უტრიალებს ამ კვერს და თან ლოცავს შემდეგი ფორმულებით: **ზჲჲ** ყერი მგცჲდი ხოჩა **ზჲჲს** უვ ჯიცჲდი „ჟამთმცვალებელი ღვთაება კარგ წელიწადსამც გინაცვლებდეს“. ბოლოს ვინც დალოცეს, იმან უნდა აკოცოს კვერს, **მგშჲჴ̈შიმ/**ხელის ამხსნელმა კი ტკბილი უნდა ჩაუდოს პირში. **შჷმი ლიფშვდე** „ხელის ახსნა“ შჷმი მუფშვდე „ხელის ამხსნელი“; სოფელში, მეზობლებში ადამიანები ფასობენ იმის მიხედვით, ვის აქვს **ხოჩა შჷმი ნჲფიშუდუ** – კარგი ხელი ანუ კარგი ხელის ანახსნევი.

კონცეპტი „ხელი“ ფრაზეოლოგიზმებში:

მეგრული:

ხე ხეს ბონუნს – ხელი ხელს ბანს, – გადატ. ეხმარება, ხელს უწყობს.

ხე გიიბონუ – ხელი დაიბანა, – გადატ. პასუხისმგებლობა მოიხსნა.

პიჯიშა ხე ვაიაფორე – პირზე ხელს არ აიფარებს, – გადატ. ვერ გაჩუმდება.

ხე გაანწყუმუუ – ხელი გაეხსნება, – გადატ. მოქმედების თავისუფალი საშუალება მიეცემა.

ხე დო კუჩხიქ აკააკირუ – ხელ-ფეხი შეეკრა, --გადატ. ხელი შეეშალა.

ი კოს მუ ხე უღუ ე ამბეს – იმ კაცს რა ხელი აქვს ამ საქმეში, – გადატ. იმ კაცს რა ესაქმება (შუაშია) ამ ამბავში.

თიში უჩა ხე ოკათუ – იმისი შავი ხელი ურევია, – გადატ. იმისი მონაწილეობითაა ჩადენილი.

ხე დო ხე შქას ჩუურცხინუუ – ხელსა და ხელს შუა გამოაცალა, – გადატ. წაართვა; მოჰპარა.

გური ხეთ გილულუ – გული ხელით დააქვს, --გადატ. ძალიან ავადაა.

ხეთი რდუნს – ხელით ზრდის, – გადატ. თვითონ აჭმევს (ზრდის).

ჟირიხოლო ხეთ თანახმა რე – ორივე ხელით თანახმაა, – გადატ. უყოყმანოდ თანახმაა.

ხეს აჩამ – ხელზე ექავება, ეფხანება, – გადატ. ფული მოდის; საქმის გაკეთების სურვილი აქვს; ვისმე ცემის სურვილი აქვს.

ხეს გეგმაღალაფუანს – ხელს გამოატანინებს, – გადატ. აამოქმედებს, წინააღმდეგობის გასაწევად განაწყობს.

ხეს გეგნაჭუნუანს – ხელს გადააყოლებს, – გადატ. მოიპარავს.

ხეს გინმააფორუანს – ხელს აფარებს, – გადატ. დანაშაულის დაფარვაში ეხმარება.

ხეს ვა დაარკენს – ხელს არ დააკლებს, – გადატ. ზრუნვას

არ მოაკლებს.

ხეს ვამკურაცუანს – ხელს არ ახლებს, – გადატ. არაფერს ავნებს.

ხეს ვაკნურთინუანს – ხელს არ დაუბრუნებს, – გადატ. სამაგიეროს არ დაარტყამს, არ შეუბრუნებს ხელს.

დუდიშე ხეს ითმიღანს – თავზე (თავიდან) ხელს იღებს, – გადატ. უკიდურესობამდე მიდის.

თოლიშა ხეს იფორუანს – თვალებზე ხელს იფარებს, – გადატ. არ ამჩნევს, არ რეაგირებს.

ხეს კიდირიშა ქიგიიწკურანს – ხელებს მკერდზე დაიკრეფს, – გადატ. უდანაშაულოდ აჩვენებს თავს.

ხეს დო კუჩხის აკმუკირუნს – ხელსა და ფეხს უკრავს, – გადატ. ხელს უშლის, აბრკოლებს, ბოჭავს.

ბედნიერ ხეს მეჩუ – ბედნიერ ხელზე მისცა, – გადატ. საქმე კეთილად წარიმართა.

ხეს მეჩანს – ხელს მისცემს, – გადატ. ხელსაყრელი, სასარგებლო იქნება.

ხეს მიიტიბუანს – ხელს მოითბობს, – გადატ. უპატიოსნო გზით ფულს იშოვის.

ხეს მუუთენს – ხელს მოუთავებს, – გადატ. ბოლოს მოუღებს, მოსპობს.

ხეს მუუნჭირანს – ხელს მოუჭერს, – გადატ. ძუნწად დახარჯავს.

ხეს ოჭარანს – ხელს აწერს, – გადატ. ყველაფერს კადრულობს.

მიში ხეს რე, აშარღუნი – ვის ხელშია, რომ ჩაყარა!, – გადატ. ვისი დამოკიდებული გახადა!

ხეს უკებუ – ხელში უჭირავს, – გადატ. თავის ნებაზე აამო-

ქმედებს (ვისმე).

ხეს ულასუნს – ხელს უშლის, – გადატ. აბრკოლებს. **ხეს ულონტკუნს** ხელს ულოკავს, – გადატ. ელაქუცება, ფეხქვეშ ეგება.

ხეს უნწყუნს – ხელს უწყობს, – გადატ. ეხმარება.

შხვაში ხეს უჯინე – სხვის ხელს უყურებს, – გადატ. სხვისგან რაიმე გამორჩენას ელის.

ხეს ქაშაადინუ – ხელში ჩაადნა, – გადატ. გაქრა, დაიკარგა.

ძღაბიქ ოსურენს ხეს ქაშაადინუ – გოგო ქალებს ხელებში გაუქრა.

ხეს ქააჭიშუანს – ხელს შეაშველებს, – გადატ. დაეხმარება.

ხეს ქაშარჩინუ – ხელში ჩააბერდა, --გადატ. გაუთხოვარი (// ცოლშეურთავი) დარჩა.

ხეს ქეშელიებუ, ქაშადინუ, – ხელში ჩაადნება, გაქრება.

ხეს ჯუნს ჭოფილი – თავის ხელში ჰყავს დაჭერილი, – მასზეა დამოკიდებული, უმისოდ ფეხს ვერ გადადგამს.

ხეშა აშალაფა – ხელში ჩავარდნა, – მისი საკუთრება ხდება.

ხეშა აშაჯვილუა – ხელში ჩაკვლა, – გადატ. ძალიან დატანჯვა, შეწუხება.

ხეშა აშაჯოთამა – ხელში ჩაგდება: **ხეშა ქაშეჯოთანს** – დაეუფლება, დაეპატრონება.

ხეშა გოკარკატაფა – ხელზე შემოხვევა, – გადატ. საბაბად, მიზეზად გახდომა რისამე.

ხეშე ირფელი გიშმალე – ხელიდან ყველაფერი გამოუდის, – გადატ. ყველაფერი შეუძლია გააკეთოს.

ხეშე გიშულა – ხელიდან გამოსვლა, – გადატ. დახსნა.

ხეშე ხეშა გინმურს – ხელიდან ხელზე გადადის, --გადატ. რიგრიგობით მრავლის ხელში მოექცევა.

ხეშე გოტება – ხელიდან გაშვება, – გადატ. თავის მინებება, დაკარგვა.

ხეშე დარსხება – ხელიდან დახსნა, – გადატ. გადარჩენა.

ხეშე ულირი – ხელიდან წასული, – გადატ. ძალიან დასუსტებული;გაფუჭებული.

ხეშე ჩათხინაფა – ხელიდან მოშორება, – გადატ. დაკარგვა.

ხეში ალარჩინუა – ხელის მასთან ერთად დაბერება, – გადატ. ლოცვაა:

ხექ ქალაარჩინუ ეშ მაკეთებელს – ხელი შეაბერდეს ამის გამკეთებელს.

გურიშა ხეში გედვალა – გულზე ხელის დადება, – სიცრუის გარეშე (გაურეველად).

ართი ხეში გედვალა – ერთი ხელის დადება, – ძალიან მცირე.

ხეში გიმოღალა – ხელის გამოღება, – ამოძრავება წინააღმდეგობის გაწევის მიზნით.

დუდშა ხეში გინოსუმალა – თავზე ხელის გადასმა, – გადატ. მოფერება, დაყვავება.

ხეში გოთირუა – ხელის გაცვლა, – გადატ. ხელის ჩამორთმევა,მისალმება.

ხეში გონწყუმა – ხელის გახსნა, – გადატ. თავისუფალი მოქმედების საშუალების მიცემა; რელიგ. გარდაცვალების შემდეგ მიცვალებულის ოჯახში პირველად ხორცეულის ჭამა.

შხვაში ლუბას ხეში დინოჩანაფა – სხვის უბეში ხელის ჩაყოფა, --გადატ. სხვის საქმეში აქტიური ჩარევა.

ხეში ეღალა – ხელის აღება, – გადატ. თავის დანებება; უარის თქმა რაიმეზე:

დუდიშე ხეში ეჭოფუა – თავზე (თავიდან) ხელის აღება, – გადატ. პასუხისმგებლობის მოხსნა და ანგარიშის არგაწევა

არაფრისათვის.

ხეშა ხეში მეჩამა – ხელის ხელზე მიცემა, – გადატ. ერთმანეთის დახმარებით მოქმედება.

ნწარე ხეში მინჯე რე – მწარე ხელის პატრონია, --გადატ. მწარედ იცის დარტყმა.

ართი ხეში მოსუმათი – ხელის ერთი მოსმით, – გადატ. ერთბაშად.

ხეში ართი მორქიათ, ართი ხეში მოსუმათი. – ხელის ერთი მოქნევით.

თოლი დო ხეში შქას მედინუ – თვალსა და ხელს შუა დაიკარგა, – გადატ. მოულოდნელად, თვალწინ დაიკარგა, გაქრა.

ხეში წიკუა – ხელის დასვრა: **ხე აფუ წიკვილი** – ხელი აქვს დასვრილი, – გადატ. ცუდ საქმეშია გარეული.

ხეში წიკუაშა ვაღირუ – ხელის დასვრად არ ღირს, – გადატ. უმნიშვნელო რამ არის.

ხეში წიმოჭირინაფა – ხელის გაწვდენა, – გადატ. დახმარება.

შხვაში ხეში ჯინა – სხვისი ხელის ყურება, – გადატ. სხვის იმედზე ყოფნა.

ხეში კვერი – ხელის კვერი, – გადატ. მუშტი.

შხვაში ხეში მაჯინუ – სხვის იმედზე მყოფი (შემყურე).

„ხე ხეს ბონუნცია დო ჟირხოლო პიც“ – ხალხ. სიბრ., *I*, გვ. *197* – ხელი ხელს ბანსო და ორივე პირს.

„ხე დო დუც გოილუა“- კ. სამუშ., ქართ. ზეპ., გვ. *35* – ხელსა და თავს შემოგავლებ.

„ხეთ ქუკებუ“- ქხს, *I*, გვ. *227* – ხელით უკავია.

„ქირი ქეგუხე ხეშა“- მ. ხუბ., გვ. *7* – ქორი (კი) უზის ხელზე.

„ხე დო კუჩხიში ჭუალა“ – ი. ყიფშ., გვ. *161* – ხელისა და

ფეხის (ხელ-ფეხის) წვა.

„გილამილუნა ხე დო ხეთ“ – დაგვაქვს ხელით (და ხელით).

„უმარდუთ ხემანჯღვერენს“- ქხს, *1*, გვ. *313* – ვუმადლით ხელმძღვანელებს.

„იჯი ხემოჭარილი დოდვალირი“- მ. ხუბ., გვ. *35* – იქნება ხელწერილი (ხელმოწერილი) დადებული.

„ხემოჭკადილი რენია“ – ხალხ. სიბრ., *1*, გვ. *183* – ხელ-მოჭედილი არისო.

„ხემეთხგმილო თის მეუზინდგ თე ჯაჭვი“ – ხელმოკიდებუ-ლად ის მიათრევს ამ ჯაჭვს.

„ხემიოჭირინაფუს ქოილუ-და, ქომუჩი“ – ხელმისაწვდომზე (ახლოს) თუ გაქვს, მომეცი.

„ხეკულე რექიევე, ხელენციავა ქიმკოიდგგნქია“- მ. ხუბ., გვ. *187* – უხელო რომ ხარო, ხელებსო მიგიდგამო.

„ხეკულექ ქიმიახვამუ ოში მანათი“ – უხელომ (ხელმოკლემ) მიულოცა ასი მანეთი.

„ნაბეტანი ხეკობუ ბოში რე “ – ნამეტანი ხელმწარე ბიჭია.

„ხეკვარჩხი ბალანე, ართ წუნს ვადიტენე“ – ხელმრუდი (ქურდი) ბავშვია, ერთ წუთს არ შეიძლება დატოვო.

„ხელულა რენია“- ხალხ. სიბრ., გვ.*183* – ხელმრუდე არისო.

„ღუ ოჭოფუ დო ხეფორჩაშა ქიმთიიხუნუუ“- ა. ცაგ., გვ. *50* – ბუ დაიჭირა და სახელოში შეიჯინა.

„ათე ჩქგჩქგს ხეფორჩაქ დააკორდგ“- მ. ხუბ., გვ. *262* – ამ ჩვილს სახელო დააკლდა

„თაში ხვადგ მოღალატეს, ქიცთთგ ხეში კვერიშა“- ი. ყიფშ., გვ.*158* – ასე ხვდება მოღალატეს, იგდო საცემად (ხელის კვერის – მუშტის დასარტყმელად).

„დუცვილუნა ხოჯი, ხეშკეტეფიშა ქეგეუკირაფუნა“- ი.ყიფშ.,

გვ. *12* – დაუკლავთ ხარი, ხელკეტებზე (ზევიდან) დაუბამთ.

„ათე გინი ხეშნარდი მაფუ“ – ეხ ხბო ხელზე (ხელში) გაზრდილი მყავს.

„აკანთხეს და ხეშტოტიშა ქიმერთეს ართმაჟიაშა“ – ეძგერნენ და მკლავდამკლავ მივიდნენ ერთმანეთთან.

„კვარჩხანი ხეშქაგურს მაჩამ“ – მარცხენა ნებზე მეფხანება.

„ხეშქაგურიცალო მოჩქ“- ქხს, *1*, გვ. *316* – ხელისგულივით მოჩანს.

„ხეშქაგურიცალო მოჩქგ ჯვეში ოხვამე წენდიხური“ – კ.სამუშ., ქართ ზეპ., გვ. *141* – ხელისგულივით მოჩანს ძველი ეკლესია წალენჯიხური.

„ხეშქაგურშა ქეშამიდოხოდუა“- ხალხ.სიბრ., *1*, გვ. *183* – (შუა) ხელის გულში ჩამიჯდაო.

„ართი ჩქიმი ხეშქოსალი ვოსქირეე, ვოსქირეე დო დღასი ვა მასქირუუ“- ა. ცან.,გვ. *135* – ერთი ჩემი ხელსახოცი ვაშრე, ვაშრე და (ვერასოდეს) ვერ გავაშრე (გამოცანა: **ენა**).

„ქიმვაზადი, ხე გუთგრე უჩინებუ მა სუმარც“ – მივეგებე, მივესალმე (ხელი ჩამოვართვი) უცნობ სტუმარს.

„ხე იოლი სქანი სახენწიფოსია“- მ. ხუბ., გვ. *1* – ხელი აიღე (უარი თქვი) შენს სახელმწიფოზეო.

„კიდას მიკოხედეს ხეგეწკურილო“ – კედელთან ისხდნენ ხელდაკრეფილად (ხელგადაჯვარედინებულად).

„თენეფიში ხენწყუალას დიდხანც ქასქგდ მეხუნდექ“- კ. სამუშ., ქართ. ზეპ., გვ. *95* – ამათ ხელშეწყობას დიდხანს შერჩა მეხუნდე.

ლაზური:

„ოკაჩხე ხე დო ჲუზი დევიმბონით“ – მერე ხელ-პირი დავიბანეთ (ჩიქობავა – ჭანურის გრამატ. ანალიზი, გვ. 104).

„არგუნის ხე ვარ მოძინ“ – ნაჯახს ტარი არ აქვს გაყრილი. „კასნაღის ყვილიში ხე უღუტუ“ – კასნაღს ძვლის ტარი ჰქონდა (ა. თ.).

„ქომოჯის ტიკინას ხე ნუჭკოდუ დო ქაფჩა ქოდიბღუ“ – ქმარს კალათის სახელური გაუწყდა და ქაფშია დაიყარა (ჟღენტი – ჭანური ტექსტები, გვ. 7).

„ჰამ ხეგური“ – აგი ხელის გული (ჩიქობავა – ჭანურის გრამატ. ანალიზი, გვ. 112).

„ჰამ ხე-დული“ – ეს იდაყვი (ჩიქობავა – ჭანურის გრამატ. ანალიზი, გვ. 112).

„ჰამ ხე-კაპულა“ – ეს ხელის ზურგი (ჩიქობავა – ჭანურის გრამატ. ანალიზი, გვ. 112).

„აჲა ხეფორჩა რენ“ – ეს სახელოა (ჩიქობავა – ჭანური ტექსტები, გვ. 150_{35}).

„არ ხეშა (აუჯი) მჭითა ალთუნი ქომეჩუ დო იგზალუ“ – ერთი მუჭა წითელი ოქრო მისცა და წავიდა (ყიფშიძე – ჭანური ტექსტები, გვ. 72).

„ქოდუჯოხეს აჲა ხეშგჲემდგინუს“ – დაუძახეს ამ ხელის მოსამსახურეს (კარტოზია – ლაზური ტექსტები, გვ. 63_{16}).

„თასიშენი ხეშე(რ)ი დიქომან დო ქოგჲოკიდამან სერენთის“ – თესლისთვის კონას გააკეთენ

(დაკონავენ) და ჩამოჰკიდებენ (ჩიქობავა – ჭანურის გრამატ. ანალიზი, გვ. 60).

„ხეშ-თათი, ჲახმა, ბერეფეშ დოლოქუნუ დო ირ ხოლო ანდღა მნახუმ (ფალუმ)“ – ხელთათმანი, დოლბანდი, ბავშვების

ტანსაცმელი ყველაფერს დღეს ვრეცხავ (ვწმენდავ).

„ხეში პკიუტი“ – კონას ვკრავდი (ვკონავდი) (ჩიქობავა – ჭანური ტექსტები, გვ. 79_{10}).

სვანური:

შიარჯუენაჟლგდე „ხელცარიელი“ (სიტყვასიტყვით „ხელებსახელოებში ჩადებული“. **ხოლამ შერე პატრუენ „ქურდბაცაცა“**, სიტყვასიტყვით – „ცუდი ხელების პატრონი“. **შიმი ლისყენე „ხელშეწყობა“. შიმი ლიბშე „ხელის ჩამორთმევა“. შუნ ლიღვენე „თან ქონა, ხელთ ქონა“. შუნურიქუნურ „გაურეველად“** სიტყვასიტყვით **„ხელისა და სულის გარეშე“.**

ირკვევა, რომ ლექსემა „ხელი“ საერთოა ქართველური ძირითადი ლექსიკური ბირთვისათვის და კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისობებს იძლევა ქართველურ ენებში:

ქართ. **ხელ–ი; ხელი; სა– ხელ–ი; ერთ–ხელ–ი; მე–ხელ–ე; ხელ–ოსან–ი; ხელ–ოვან–ი...** მეგრ. **ხე/ხუ; ხე „ხელი“, ხუ „მუჭი“;** ლაზ. **ხე „ხელი“;** სვან. **ჴ̈ალ– ჴ̈ალ „ორი გაშლილი მკლავის სიგრძე“;** ძველი ქართული: **ჴელი; ერთჴელი; უჴელოჲ...**

ქართული ხელ– ძირის შესატყვისად მეგრულში გვაქვს **ხუ** „მუჭი“ და **ხე**, ლაზ. **ხე<*ხალ–** ლ–ს დაკარგვითა და უმლაუტით და სვან. **ჴ̈ალ** (გასარკვევია სვან. ჴ̈–ს წარმომავლობა) (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990: 495);

როგორც მოსალოდნელი იყო, საერთო ქართველურ ფორმატში კვლევამ აჩვენა, რომ ლექსემა **„ხელი“** სვანურში, მეგრულსა და ლაზურში სიტყვათწარმოებაში, კომპოზიტებსა და ფრაზეოლოგიზმებში მსგავსი ტიპოლოგიით, ერთგვარი ყალიბითა და მოდელით მონაწილეობს.

13. სუპლეტური ზმნები ქართველურში

ლინგვისტურ ლიტერატურაში სუპლეტივიზმად განიხილება ისეთი გრამატიკული მოვლენა, როცა ერთი პარადიგმის ფარგლებში ხდება ძირისა თუ ფუძის მონაცვლეობა (ჯ. მარუზო, ო. ახმანოვა). სუპლეტური პარადიგმები ქართულში ძირითადად აწმყოს ფორმებში იჩენს თავს. სუპლეტივიზმი მწკრივთა წარმოებაში საგანგებო მოვლენაა. იგი არღვევს მწკრივის პარადიგმის აგების საერთო პრინციპს...სუპლეტივიზმის მოვლენა ახსნას მოითხოვს (თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, 2011:780).

სუპლეტური ფორმების თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ქართველურ ენათა – სვანურის, მეგრულისა და ლაზურის მონაცემები: იოსებ ყიფშიძე თავის „მეგრული ენის გრამატიკაში" ზმნის უღლებასთან დაკავშირებით მიუთითებდა იმ მოვლენაზე, რომლის დროსაც ზოგიერთი ზმნის ფუძე წარმოდგენილია ორი ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებული ფორმით. მაგ.: **ჯირ//ჯან** – „წოლა"; **ხუნ//ხვენ//ხოდ//ხედ** – „ჯდომა"; **ჭყვიდ// – ჭყორდ** „გაწყდომა", „დახოცვა"; **დგინ/დირთ** – „დგომა"; **რკება//კარ** – „შემცირება" და სხვა. ავტორი ამას მარტივიდან შედგენილი ძირისკენ გარდამავალ საფეხურად მიიჩნევდა (ყიფშიძე, 096). ზანურში სუპლეტური ზმნებია **ჯინა//ძირაფა** – ხედვა; **რაგადი// თქუალა** – თქმა; **ულა//ფშა//** -სვლა და სხვ., თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი მათგანი მეგრულსა და ლაზურში მორფოლოგიურ და სემანტიკურ განსხვავებებს იჩენს.

სვანურში ყოფითი ლექსიკის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების შესახებ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ხაზ-

გასმით არის აღნიშნული (ვ. თოფურია). საილუსტრაციოდ და–ძმის აღმნიშვნელი ოთხი ლექსემა და მხოლოდ გადაადგილება–სიარულის გამომხატველი 300 –მდე ლექსიკური ერთეული საკმარისი იქნებოდა. საინტერესოა სვანურის ვითარება სუპლეტური ფორმების თვალსაზრისითაც: **ლიქვ̄ისგ** თქმა: **ტ̄ული** „ამბობს" **ლ̆ქვე** „თქვა". **ლ̄ზ**ისვლა: **ესლრი** „მიდის" **აჩ̆ად** „წავიდა"; **ანლრი** „მოდის", **ანჭ̆ად**„მოვიდა". **ლირდე**–ყოფნა: **ლი** „არის" **სგუ̄ჯი** „ბრძანდება". **ლითრე** – დალევა: **ითრე** „სვამს" **ლა̄შ** „დალია". ქონება:**ხულუა** „აქვს მაგ. ფული", შდრ. **ხ̄არ** „აქვს ხელი".ყოლა: **ხორი** „ჰყავს შვილი", **ხაყა** „ჰყავს მანქანა". **ლიჰ̄ვდი** – მიცემა:**ხაჰ̄ვდი** „აძლევს" **ლახვ̄ემ** „მისცა". **ლიესგი** წაღება: **ესლვა** „მიაქვს", **ადიე** „წაიღო". **ლითრე**– დალევა: **ითრე** „სვამს",**ლა̄შ** „დალია".

სალიტერატურო ქართულში ზმნის სისტემაში სუპლეტურად მიიჩნევა ე.წ. რიცხვისა თუ მწკრივის მიხედვით მონაცვლე ზმნები (არის–იქნება–იყო, შვრება–იზამს––ქნა, დაჯდა – დასხდნენ , აბია –ასხია). სალიტერატურო ქართულისა და ქართველურ ენათა მონაცემების შედარებითმა ანალიზმა სუპლეტივიზმის საკითხებში აჩვენა საინტერესო ნიუანსური სხვაობანი.

ა) პოლისემიური ლექსიკა ქართველურში:

ენის ლექსიკური მარაგი მრავალფეროვანი და ნაირსახოვანია. ერთ-ერთი მხატვრული შედარების თანახმად, ენის ლექსიკური საგანძური მიაგავს წყალუხვ მდინარეს, რომელსაც ათეულობით შენაკადი აქვს და იქიდან ივსებს თავის მარაგს. სამყაროში არსებულ რთულ და მრავალფეროვან მიმართებებს აზროვნებაში ცნებებს შორის ასოციაციური სახე აქვს. მსგავს მიმართებებს ამყარებენ ერთმანეთთან ენობრივ ერთეულთა ლექსიკური მნიშვნელობებიც. ენასა და მეტყველებაში ლექსემათა მუდმივი ურთიერთქმედების შედეგად ხდება ლექსიკური მნიშვნელობების სახეცვლა, რასაც განაპირობებს ამ უკანასკნელთა არამკაფიო საზღვრები და აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის მოძრავი კავშირი... პოლისემიურია (ბერძ.<პოლისემოს „მრავალმნიშვნელობიანი") ნებისმიერი ენობრივი ერთეული, რომელსაც ერთზე მეტი ენობრივი დენოტატი შეესაბამება. მრავალმნიშვნელობიანობას განაპირობებს ენის შინაარსისა და გამოხატულების პლანს შორის არაცალსახა დამოკიდებულება. ვოკაბულათა უდიდესი ნაწილი ერთზე მეტი ლექსემით არის წარმოდგენილი (გამყრელიძე... 2003: 356). ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანს, სწორედ, ქარველურ ენათა – მეგრულ-ლაზურისა და სვანურის ლექსიკოლოგია-სემასიოლოგიის ერთი კონკრეტული ასპექტი პოლისემიური ლექსიკა წარმოადგენს.

თეორიულ ენათმეცნიერებაში არსებულ განმარტებათა თანახმად, ლექსიკური პოლისემია გულისხმობს ერთი ვოკაბულის ფარგლებში სხვადასხვა ლექსემის არსებობას. შეიძლება

ითქვას, რომ პოლისემიურ ლექსიკურ ერთეულს უნარი აქვს აღნიშნოს მონათესავე ცნებები. პოლისემიური ვოკაბულა სემანტიკურად მონათესავე ლექსემების მიკროსისტემაა. ამ ლექსემებს აქვთ საერთო სემანტიკური კომპონენტი, რომელიც მათ საგრძნობ სემანტიკურ ნათესაობას აფიქსირებს – მას არატრივიალური საერთო სემა ეწოდება. ეს კომპონენტი მონათესავე ლექსემებს შეიძლება ჰქონდეთ აღსანიშნში ან კონოტაციაში (გამყრელიძე, კიკნაძე, შადური... 2003: 356).

მონოსემიური, ერთმნიშვნელობიანი ვოკაბულისაგან განსხვავებით პოლისემიურ ლექსიკურ ერთეულს აქვს პირდაპირი (მთავარი, ძირითადი, პირველადი) და გადატანითი (წარმოქმნილი, მეორეული, მოტივირებული, ფიგურალური) მნიშვნელობები. პირდაპირი მნიშვნელობა პარადიგმატული თვალსაზრისით უფრო მყარია და სინტაგმატურად ნაკლებშეზღუდული.

ზოგადად პოლისემიური ლექსიკის გაჩენას განაპირობებდა ენის განვითარების შინაგანი ბუნება, დიალექტური განშტოებანი, სიტყვათა სესხება და ფონეტიკური მოდიფიკაცია. ამ დებულებას საფუძვლიანად ამყარებს და ადასტურებს ჩვენ მიერ ქართველურ ენათა ლექსიკონებიდან (ვ.თოფურია, მ. ქალდანი „სვანური ლექსიკ ონი, ი. ყიფშიძე „რჩეული თხზულებანი," ნ. მარი) ამოკრებილი საანალიზო მასალაც. მე-19 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული დღემდე მკვლევართა მიერ შეკრებილი და გამოცემული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები და სალექსიკონო მასალები საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ქრთველურ ენათა ლექსიკის სიმდიდრესა და სემანტიკურ-ეტიმოლოგიურ ასპექტებს.

მეგრული: (მასალა ამოკრებილია ი. ყიფშიძის მეგრულ-რუსული ლექსიკონიდან, ი. ყიფშიძე, „რჩეული თხზულებანი" თბ.

1987წ.)

ბარგ – 1. ბარგუა, მითობარგუა – „რაღაცის შიგნით დამკვიდრება;" გვალასგ დოგორეს ართი ფოქვი დო თექი ქიმთიბარგესგ— ტყეში იპოვეს ერთი გამოქვაბული და იქ გაჩერდნენ (დამკვიდრდნენ); 2. ბარგუა – ყანის გაწმენდა; გამარგვლა. (გვ. 405)

ბატი – 1. ქართულად ბატი; შეად. ღორღონჯი 2.ბატი – ბატია, ბატიკ – „კამეჩის შვილი," შეად. ღოღო. (გვ. 405) **ბალგ** – 1. ქართ. „ბაღი;" 2. ქართ. „ბელელი". (გვ.405)

ბირაფა – 1. „სიმღერა, მღერა;" 2. გინო-ბირაფა – „გადაბირება" (გვ.405)

ბუკი – 1. კუნძი, ხის დიდი გადანაჭერი, გამოიყენება შეშისთვის საყრდენად (კერიაზე); 2. – ქართ. სკაბურღი – 1. ჭარბფოთლიანი ტყის მცენარე; 2. – ქართ. ბურღვა(გვ. 414)

გონუა – 1. გა-გონება – სმენა, მოსმენა; გეთმ-ევგონენქ —ვუსმენ; 2. გახსენება, მოფიქრება; (გვ. 422)

გორაფა – 1. გორაფა, მეგორუა – ძებნა, პოვნა; ბგორუნქ – „ვეძებ," სი მუს გორგ? – „რა შენი საქმეა?"(შენ რას დაეძებ?) 2. გორაფა, დოგორაფა – ლანძღვა, გინება; ვოგორანქ –„ვაგინებ;" 3. მოგორაფა – მონდომება, სურვილი; მაგორუაფუ – „მე მინდა;" (გვ. 423)

გურაფა – 1. სწავლა, სწავლება; იბგურუანქ —ვსწავლობ;" 2. დამსგავსება; ვგურაფუქ – „მე ვგავარ;" (გვ. 424)

გურგინი – 1. ჭექა-ქუხილი; გურგინუნს – „ქუხს;" 2. გვირგვინი; (გვ. 424)

დემი – 1. ზღაპრული გოლიათი; 2. დიდი; დემი დოხორე – „დიდი სასახლე;" (გვ. 428)

ვირი – 1. ქართ. ვირი; 2. ქართ. ვირთხა; (გვ. 439)

თელი – 1. მრთელი, ჯანმრთელი, ცოცხალი; სი-ნ-თელე — ჯანმრთელობა; 2. თელი – მატლი; (გვ. 445)

თვალუა – 1. თვლა; 2. მოთქმა, დატირება; (გვ.446) **თირ// ნთირუა** – 1. თრევა, ტარება; 2. გაცვლა; ნოთჩრი – შეცვლილი, შემცვლელი; დია-ნ-თირი „დედის შემცვლელი;" 3. ელა-თირუა – „თანამზრახველობა";(447)

თხუაფა – 1. თხოვება, გათხოვება; 2. ნ-თხუაფა (შურიში) – ყნოსვა; (გვ. 450)

კათუა 1. – შეგროვება; იბკათუუთ —ვგროვდებით; კათა – კრება, თავშეყრა, ხალხი; 2. გინო-კათუა – განცდა, გადატანა; თი კოჩქგ ბრელი წუხარება გინიიკათუუ – „იმ კაცმა ბევრი მწუხარება გადაიტანა (განიცადა); 3. გარევა (რამეში); ვოკათგქ – „ვურევივარ;" ჩექ ქომაკათუ – „თეთრი გამერია" (გავჭაღარავდი). (გვ. 453)

კაკუა – 1. კაკუნი, ვუკაკუანქ – „ვაკაკუნებ," კგდგ ჯას მიკიიკაკგ– „კოდალა ხეს უკაკუნებს;" 2. ნაყვა; ვკაკგნქ – „ვნაყავ," კაკილი – დანაყული. (გვ.454)

კაკალუა – 1. დარჩევა (დაწმენდა), თხილის ნაჭუჭისაგან გაწმენდა; ვკაკალანქ – „ვარჩევ," დოვკაკალე – „დავარჩიე;" 2. წახემსება; (გვ. 455)

კაკუტი – 1. ლარძაყინი, გარდიგარდმო გადებული თავხე, რომელსაც ეყრდნობა სახლის სახურავი; 2. ხელკავი, მოხრილი ხისგან გამოთლილი საცეხველი.;(გვ. 455)

კალამი – 1. საწერკალამი; 2. ლერწამი, კალამია – სიმინდის ღეროს ქვედა ნაწილი, რომელიც რჩება მოსავლის აღების შემდეგ. (გვ. 455)

კარკალი – 1. კაკანი; ქოთომი კარკალანს – „ქათამი კაკნებს;" 2. რაკრაკი; (გვ. 456)

კვარი – 1. კვერი; 2. კვარი // კვარი-ბირგული – მუხლის კვერი, კვირისთავი; 3. ნაძვის კვარი (ჭრაქი); (გვ. 459)

ნათუა – 1. ნათება, ვანათენქ – „ვანათებ;" 2. ნათლობა; ვნათHნქ -„ვნათლავ;" ნანათა – ნათლული; (გვ. 489)

სერი – 1. ღამე; სერ-სერს – „ღამღამობით;" შქა-სერი – „შუაღამე:" 2. სეირი, სანახაობა; თოლი-სერი – თვალსასეირო. (გვ. 521)

ტარი – 1.ტარო; ტარი-ლატი —სიმინდის ტარო; 2. ტარი, სახელური. (გვ. 541)

ქარქაში – 1. ქარქაში; 2. ხეტიალი; მი-იფქარქაშგქ – „დავხეტიალობ;" (გვ. 546)

ქიონი – 1. მთქნარება; მოქიონაფუანს -„მამთქნარებს;" 2. ქანაობა, რხევა; ივქიონუნქ – „ვქანაობ;" (გვ. 548)

ჩამა – 1. მიცემა საჭმლის, კვება; 2. მიხვედრა, თიქგ ქუუჩუ გური – ის მიხვდა; 3. გაყიდვა; გიმივჩანქ – ვყიდი; გიმოჩამილი – გაყიდული; 4. გადაცემა, დაწყევლა; გინოჩამილი – დაწყევლილი; (გვ. 565)

წირუა – 1. წირვა; ვოწირაფუანქ – ვაწირვინებ; 2. გაწურვა; გოვწირი – გავწურე; წირილი – გაწურული; (გვ. 583)

წონება-წონუა – 1. დაწუნება; დეებწონი – „დავიწუნე;" 2. მოწონება; თის მეწონგ – მას მოეწონა; 3. აწონვა, შედარება; ვწონგნქ —ვწონი; ალა-წონუა —შედარება; 4. შემჩნევა; მიკიიბწონი (გვ. 585)

ჭარა, ჭარუა 1. წერა; გინო-ჭარუა – გადაწერა; 2. ბედი, იღბალი; 3. ვოჭარუანქ (გვ. 590).

ლაზური:

ბაბა –1. „მამა", –უბაბელი „უმამო" 2. ვიწურში „სკამის

ფეხი"; ნ. მარის კომენტარით, ხოფაში ამტკიცებდნენ, რომ ეს სიტყვა არაა ლაზური (ჭანური), არამედ თურქულია. [პერონი –ხის ხარიხა სკამის ფეხებს შორის] (გვ. 128)

ბადი – 1. აორ. დომბადი „მე დავბადე," მომავ. დომბადამინონ; II სახ. აორ. დოვიბადი V, მომ. დოვიბადამინონ. 2. მოხუცი, დოვიბადი – „მოვხუცდი," დიბადი AV„შენ მოხუცდი", მომ. ვიბადამინონ... ბადობა –მოხუცებულობა; 3. ცუდი, ავი, უვარგისი; ბადობა „სიავე, ცუდი;" აჭარიანთან ბადი ბიათი-ს, პატი-ს ფონეტ. ვარიანტია ბათუმურში; (გვ. 129)

ბაში – 1. თავი, მთავარი (თურქულიდან) ; 2. მშვიდობა, ზავი, დაზავება (<ბარ I ში, თურქ.); (გვ. 129)

ბაშლული – 1.საჩუქარი, საბოძვარი (ვინურში), რომელსაც პატარძალს ან ნეფეს მიართმევენ. ბაშლული თუ დაგიდვეს? „რა დაგიდვეს საჩუქრად?" 2. ყაბალახი; (გვ. 129)

ბურლი – 1. ხოფურში მრავალწლიანი ტყის მცენარე, მას ასევე ეწოდება თუთიშ ლუყუ „დათვის კომბოსტო;" 2. ქართ. ბურლი (გვ. 132)

ესირი – 1. ქვედა, ხაზქვეშა ნიშნები ხმოვნებისათვის არაბულ დამწერლობაში; 2. პატიმარი (`ესირი); (გვ. 142)

თოლი – 1. თვალი, როგორც მხედველობის ორგანო; 2. როგორც ნაქსოვის ნაწილი; ნ. მარს მაგალითად მოჰყავს: არ-თოლი – ათონურ-ვიწურში, არ-თოლონი – ხოფურში – ცალთვალა, ელამი. მჭიფე თოლონი – წვრილი თვლებით (მაგ., ბადე). (გვ. 147)

ოკალუ // ონკალუ – 1. მიყოლებით კეთება, დაწყობა, მორთვა, დალაგება; მაგ., შინა დომკალი – „მიყოლებით მივაბი ძუა," „მოვრთე ძუა" (როცა ბავშვები ამზადებენ კაკანათს ჩიტებისათვის); ოხორი დომკალი „ოთახი (სახლი) დავალაგე;"

2. მოკალვა; (გვ. 151)

კალი – 1. ჯოხი, რომელზეც მაგრდება ბადე (ბოდა) ხილის შესაგროვებლად; კალი (იხ. კევრი) – 2. კანაფი(გვ. 151)

კერი – 1. ტახი; 2. ქერი (ათინურში). (გვ. 154)

კიკილი – 1. ნისკარტი, კინჩიშ კიკილი – ჩიტის ნისკარტი; 2. ტანსაცმელზე შესაკრავი კაუჭი, ყულფი; (გვ. 155)

კორეცხ – 1. კოროცხ (ვიწ. ოკორეცხუ) –" თვლა, დათვლა," ჩამოთვლა; 2. „ტირილი, მოთქმა, დატირება;" (გვ. 157)

კორზა – 1. ტარო(ვიწ.); 2. ხის ნიჩაბი ან კოვზი ბრტყელი თავით (ჩოგანისებრი), კირზა - (ხოფ.) (გვ. 157)

კორკოლა – 1. ცხვრის ცურცლი(ხოფ.); 2. დალალი, კულულები; კორკოლა თომონი „ხუჭუჭთმიანი;" (გვ. 157)

კარი // ყუარი – 1. ყვავი; 2.კევრი (ვიწურში, ხოფურში) (გვ.158)

კუზი – 1. კოვზი (ათინურში, ვიწურში); (კიზი – ხოფურში); 2. ბატკანი, თიკანი (ციკანი) (ხოფურში, ვიწურში) (გვ. 159)

კუკარი – 1. კაუჭი (ვიწურში); 2. სახნისის ნაწილი; (გვ. 159)

მარტინი – 1. მარტინი – თოლია (ვიწ.); 2. თოფი მარტინი; (გვ. 165)

მუ – 1. „რა?" მუ მკითხუფ? „რას მეკითხები?" 2. „თავად, თვითონ, ის" მუ-ქ – „მან" (გვ. 170)

ომური //ყომური – 1. ტყემალი; 2. ცხოვრება (ხოფ.) (გვ. 176)

მტეცი – 1. რძის ფაფა (ვიწ.); 2. ხის ქერქი; (გვ. 189)

მ-ტვერი – 1. გველი (წითელი, არაშხამიანი; ათინ.); 2. ნაცარი; (გვ. 189)

ფერი – 1. „ფერი" (ვიწ.); 2. ანგელოზი; (გვ. 193)

ფატი – 1. ფეტვი (ვიწ.); 2. ნაფოტი (ათინ.) (გვ. 193)

ფინჭო – 1. ფიჭვის სახეობა (ვიწ.); 2. ლერწმის სახეობა; მისგან ცოცხს აკეთებენ.(ხოფ.) (გვ. 194)

ოჩითუ – 1. გათავისუფლება; 2. ჩეხვა შეშის; (გვ. 210)

წამი – 1. სარტყელი უღლის შესაკრავად; 2. წირპლი, ჩირქი თვალებში; (გვ. 214)

ცელა – 1. „ქერცლი," " ნაჭრილობევზე გაკეთებული ქერქი." (ხოფ.); 2. „ცილა"(ვიწ.); 3. ჩელტი, ლაზურ სახლში ჭერის ხარიხებზე გადებული დაწნული; (გვ. 214)

წიწი – 1. ჩრჩილი, (ვიწურ-არქ. „წითელი ჭია"); 2. ნაწლავები; (გვ. 219)

წუ – 1. ‚თივა" (ბზე); 2.„წოვა;" 3. „წყავი;" (გვ. 222)

ქანდარა – 1. ქართ. „ღაჯო" – ჩიტის დასაჭერი კაკანათი; 2. „უჭკუო, სულელი," ქანდარა კოჩი – „სულელი კაცი;" (გვ. 196)

ფრინჯი – 1. ყვითელი, სპილენძი, ბრინჯაო (თურქ.-სპარს.); 2. ბრინჯი; (გვ. 194)

ქორი – 1. „ქორი;" 2. „ქუსლი" (გვ. 198)

ოღარუ – 1. ხაზვა, ზოლის გავლება; 2. გამარგვლა, სარეველასაგან გაწმენდა, ტყის გაკაფვა; (გვ. 200)

ღუა – 1. „ლოყა" (ღუ ა); 2. შუბლი; (გვ. 201)

ფშირაფ – 1. ვადუღებ (ყურძნის წვენს); 2. ვცვეთ, გაცვეთა. (გვ. 206)

შირა – 1. ქვრივი; ქმრისაგან მიტოვებული; ღაჭო – ჩიტია ერთგვარი; (ღაჟო —მამრი). (გვ. 206)

წუკალი – 1. ერთგვარი თამაში ჯოხებით (რიკ-ტაფელა); 2. დიდი ქვაბი (მეგრ. კარდალა) (გვ. 222)

წუნა – 1. შხამი (წუნა შკომარე – შხამნაჭამი); 2. მდედრი, (წუნა მჩხური – ცხვარი მდედრ.) (გვ. 222)

ჭინჭყვალა – 1. ნაწლავები, შიგნეულობა; 2. ბავშვების აურზაური, რიარია; (გვ. 225)

ხარკი – 1. ხარჭა, ხასა; ხარკიშ ბერე -„ხასას შვილ;ი" 2. ღარი წყლისთვის წისქვილში, სადინარი (იხმარება თურქულშიც). (გვ. 229).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმით არის მითითებული სვანური ენის ლექსიკის სიმდიდრისა და არქაულობის შესახებ; განსაკუთრებით მრავალფეროვანია ლექსიკური მარაგი საყოფაცხოვრებო სიტყვებითა და ტერმინებით (სოფლის მეურნეობის მოქმედებისა და იარაღების სახელწოდებებით, სარწმუნოებრივი ტერმინოლოგიით და სხვა). სიმდიდრეს ქმნის ერთი, ერთსა და იმავე საგნის თუ მოქმედების ორი და მეტი სახელი ყველა დიალექტში (მაგ.: და ძმისთვის არის დაჩურირ, დისთვის კი – უდილ, ძმა ძმისთვის მუხუბეა, ხოლო დისთვის კი – ჯგმილ. გლექსიკის სიმდიდრეს ასევე განაპირობებს დიალექტებში სხვადასხვა სახელწოდებით ან ერთი სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარება (*ლიღრჳლ = ლშხ. ლიბრიჳლ „მღერა"*)... ერთი და იმავე ფუნქციის სხვადასხვა აფიქსით სიტყვაწარმოება (*ქა ლგნყე = ქა მგნჳყ „გამომცხვარი"*)... ასევე, სიტყვაწარმოება აფიქსაციისა და კომპოზიციის მეშვეობით (თოფურია, 2002: 214).

სვანური: (მასალა ამოკრებილია ვ. თოფურია, მ. ქალდანი „სვანური ლექსიკონი" -დან, თბ. 2000წ.)

ამტყუშსგ/ანტყუშსგ/ანტყუშასგ/ანტყუშსკ/ამტყუშსკ – 1. ვარსკვლავი 2. ნაპერწკალი.

ანკრ – 1. ეჭვი, გუმანი; 2. მობეზრება; 3. ანკრდ – ყურმოკრულად.

არა – 1.რვა; 2. ენა, მითქმა-მოთქმა.

ქუეყნი არა ბეჩს ლოქ ბუჭკუე (ლშხ.) „ხალხის //ქვეყნის ენა ქვას გახეთქავსო".

აუჟ̄ნდ/აუჟენდ/აუჟანდ –1.ზანგი; 2. შარვლის ან პაიჭის პაჭანიკი.

აღ – 1. მოსავალი; 2. სახურავის ლარტყა; 3. (ლხმ.) პურეული ნათესის ღერო.

ხ-აყა – 1. ჰყავს; 2. აქვს, აბია; 3. ვარგა.

აშგარ–1.ყოველთვის, მუდამ; 2.ძლივსღა; 3.ისე, უბრალოდ.

აშდა̄მბუნე– 1. თვალებს კარკლავს; 2. ლაყბობს, მიედ-მოედება.

ხ-აშდბა – 1. საქმეს აკეთებს; 2. ეპყრობა, ექცევა.

ხ-აშიდ – 1. შველის; 2. ყრია/აყრია.

აშჟ̄ნე/აშჟ̄ნე/აშჟინე – 1.ასუფთავებს; 2. Aასუქებს, ალაღებს. ხ-აჩა – 1. უხარია; 2. იცინის.

ხ-აცხნე – 1. ეჩვევა; 2. იჩემებს, აზვიადებს, აჭარბებს.

აჭშხე–1. ასწორებს, ყალიბში ათავსებს; 2. მკვდრის გაპატიოსნება.

ახანახა – 1. თიბვის დაწყების დღე; 2. ახალმოწეული ჭირნახულის გემოს გასინჯვა.

აჯგრი – 1.აკურთხებს; 2. არიგებს (ჭკუას), რჩევა-დარიგებას აძლევს. ხ-აჯეშ – 1. ჰგავს; 2. ღირს.

ხ-ა̈კჟშუნე – 1. ატეხინებს; 2. ამხელინებს; 3. აჩეკინებს.

ა̈რსგჟე – 1. სცემს, გალახავს; 2. ჩგამოპირავს, გამოკვერავს; 3. კერას წმენდს.

ა̈სკეთე – 1. აკეთებს, აგვარებს; 2. აუმჯობესებს.

ხ-ა̈შგბე/ხ-აშგბე/ხ-ა̈შკბე – 1. აძრობს; 2. საიდანღაც უცებ გააჩენს; სწრაფად მოაქვს.

ბაბა – 1. პაპა, ბაბუა, მოხუცი მამაკაცი; 2. მამა.

ბადღუ/ბადღუს – 1.ფუტურო, დამპალი ხე; 2. ფულურო; 3. უნაყოფო დიდი ტარო.

ბალდუმ – 1.საძუე; 2. მოკლე პალტო, ჯუბის მაგვარი ტანსაცმელი; 3. დაბებკილი (დაკერებული) ტანსაცმელი.

ბაჟ – 1. ჭკუა, გონება, გონიერება, გონი, გრძნობა, ცნობა, ცნობიერება 2. ბაჟი, გადასახადი, ბეგარა.

ბარძიმ/ბაწრძიმ – 1. ბარძიმი; 2. შხამი, საწამლავი.

ბაც/ბაცა – 1.შეძლება; 2. მოსალოდნელობა, რაღაცის მოლოდინი;

ბაჟინ/ბაჟან–1.მაცნე, შიკრიკი, ამბის შემტყობინებელი; 2. ცნობა, შეტყობინება.

ბაწრგ – 1. ბარგი, მოძრავი ქონება (ქვეშაგები, ავეჯი...), წასაღებად მომზადებული ტვირთი; 2. ნადირის (ჯიხვი, არჩვი) ჯგუფი; 3. ბარგ (ლშხ.) მოკეთე, ახლო ნათესავი გვარში.

ბაწცხ/ბეცხ – 1. დიდი ლხინი, რომელსაც იხდიდნენ მტერზე მნიშვნელოვანი გამარჯვების შემთხვევაში ან ვაჟიშვილის (გადაშენების საშიშრიების წინაშე მდგარი გვარის გამგრძელებლის) დაბადებისას; 2. ქელეხი, რიგი.

ბედ – 1. ბედი, იღბალი; 2. პირობები, ყოფა, საკვები, კვება, მოვლა; 3. მიზეზი, ბრალი.

ბეტკ – 1. სალტე; 2. რძის ან მაწვნის ნაღები.

გაბრაწხ/გგბრგხ/გაბრეხ – 1.ჯაგლაგი,ბებერი ცხენი; 2. ხის დიდი ციგა, მარხილი.

გაწმ–1. გემო;2.სოჭის ან ფიჭვის ქერქისაგან გაკეთებული საგმანავი.

გოგუჭერ –1.გრზნეული, კუდიანი;2. ურმის თვალი.

გოლაჭ/გოლაჲ– 1.ციცაბო (ადგილი); 2. ალპური საძოვარი.

გუმ – 1. ხის საცობი; 2. ფიჭვის ქერქი კასრის ძირის ამო-

საგმანად; 3. სუთი.

გურჰშუნ/გგრჰშგნ/გგრმშგნ/გურჰუნ/გგრჰვგნ/გგრხგნ/გგრმგნ – 1. ჩგრიალი, ზათქი, გრგვინვა; 2. ხარხარი, ხორხოცი; 3. ერთად მოთქმით ტირილი.

გუიდჳმ –1. ეკლესიაში ხალხის დასადგომი ადგილი; 2. მიდამო; 3. მთავარი, ძირითადი; 4. ახლო ნათესავი; 5. ძირითადი, მკვიდრი (განსხვავებით ახლად ჩამოსახლებულისა) იგივეა, რაც აბორიგენი:

დამ – 1. იძულება, გაჭირვება, გასაჭირი; 2. ჩარეცხილი ხორბლის საწური;

ეზერმჳრე – 1. მოყვარე, მოკეთე; 2. კარგი კაცი.

ზგნე – 1. ზნე, ჩვეულება; 2. წვენი.

თაუკჳც – თავკაცი, წინამძღოლი; 2. უშვილო.

თუჳლ – 1. ძვირფასი თვალი; 2. ფქვილის კიდობანი.

იტხე – 1. იბრუნებს; 2. ამჟავებს, ამწნილებს.

იშჳნგუნჳლ/იშნგუნჳლ/იშჳნგუნჳლ – 1. დააბოტებს, დაბლაყუნობს; 2. როხროხებს.

კუკუმ – 1. წვეთი; 2. კრინტი.

კუილ – 1. ჯირკი, კუნძი; 2. ხის დაბალი სკამი, ჯორკო.

ლგქჳდ – 1. პრანჭია, ჩაცმა-დახურვის მოყვარული, თავმომწონე, მედიდური, ამპარტავანი, მაცდური; 2. გლგქად(ლშხ.) – გზას აცდენილი, შემცდარი, შეცდენილი, მსუბუქი ყოფაქცევისა.

ლგხ – 1. წყლის მავნე მატლი, ლამბლია; 2. შური, ვისიმე ჯავრი, ბოლმა.

მჳგუშჱზა/მაგუიზა – 1. უპრიანია, ახია; 2. მადლობა ღმერთს.

ნჳთი – 1. ნათესავი; 2. წილი, ხვედრი.

პილ –1. ტუჩი, პირი; 2. კიდე, ნაპირი.

საყ̆ნ – 1. დღეობაზე შესრულებული სიმღერა; 2.(ლშხ.) ქელეხის დროს დიდი რაოდენობით სასმელ-საჭმელის ეზოში დადგმა და არყის სმის წესი მიცვალებულის სახელზე (სიტყვა-სიტყვით „გასატანებელი").

საჯ̆აყ – 1. უცნაური, საოცარი, საკვირველი; 2. ცუდი, უშნო, უხეირო.

სა̆ფ/საფ–1.ოსეთი, (ძველი გაგებით), ახლა: მთის გადაღმა მხარე, ჩრდილოკავკასიელი თურქულენოვანი ხალხების საცხოვრისი; 2. მარხილი.

სა̆ყუდირ–1.საყვედური;2. გლახაკი, უშნო, სამარცხვინო.

სა̆ხკა̆ფ– 1. ყოფაქცევა, ხასიათი; 2. კანონ-სამართალი.

ტყარაბურა/ტყარაბულა – 1. წვრილმანი, ფუჭი, თავის გასართობი საქმე; 2. ყბედობა.

ფიქმ – 1. მარხვა, ქრისტეშობის მარხვა; 2. ქრისტეშობისთვე. ფან-ფან – 1. დღე-დღე; 2. ნაწილ-ნაწილ, ლუკმა-ლუკმა. ქუფ – 1. დაწნული კიდობანი; 2. ბუდე; 3. გაწურული ყველის შესანახი მოგრძო ჭურჭელი, რომელიც სახლის ჭერზეა ჩამოკიდებული.

ქუ̆ინ – 1. სული; 2. სუნი.

ღედ – 1. სამართალი; 2. დარდი, ეჭვი, შიში.

ღულა̆ჲ – 1. მუხლი; 2. კალთა.

ყა̄ყა – 1. ავი თვალი; 2. არაფერი.

ყერ –1. მადლი, ძალა; 2. ნეზვი; 3. ეშურება, გასწევს, მიემართება.

ყუ̆ე̄დი – 1. წყნარი, თვინიერი; 2. ნელთბილი წყალი.

ცჱგ – 1. ცომის გუნდა; 2. წისქვილის ბორბლის რკინის წვეტიანი ფეხი, რომლითაც ბორბალი კიბორჩხალაზე ტრიალებს.

წამ – 1. სისხლით ნათესავი, თვისტომი, მკვიდრი (და, ძმა, ნათესავი). 2. წამი.

ხატ – 1. ხატი; 2. ფიცი, (დაფიცება ხატზე).

ჯალ/ჯალ/ჯგლ –1. მძევალი (მაგ. ქათმის საბუდარში ჩატოვებული კვერცხი). 2.სატყუარა, ნადირის მოსატყუებელი. ჰაჯ – 1. ნატვრა, სურვილი, ნატვრისთვალი; 2. ძალა, ღონე.

სვანურისა და მეგრულ-ლაზურის პოლისემიური ლექსიკის შედარებამ ცხადყო, რომ სიტყვათა მრავამლნიშვნელობიანობა (ომონიმია/პოლისემია) ერთნაირადაა დამახასიათებელი ყველა ქართველური ენისათვის და ფუნქციონირების თვალსაზრისით ზოგად ლინგვისტურ კანონზომიერებებს მისდევს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსგავსი ფუძეების მქონე ომონიმები ამ ენებში ნაკლებადაა წარმოდგენილი (როგორიცაა თვალი, ბაბა, ბურღი...), რაც გამოწვეულია იმით, რომ ფონეტიკური ვარიაციები, ლექსემათა სესხების სხვადასხვა გზები და საშუალებანი ქართულს, სვანურსა და მეგრულ-ლაზურს მაინც განსხვავებული აქვს, რამაც თავის დროზე გამოიწვია მათი ერთგვარი დაშორება ენობრივი თვალსაზრისით. ქართველურში პოლისემიური ლექსიკის სიუხვე და მრავალფეროვნება ამ ენათა დიალექტური ვარიანტების სიმრავლითაც უნდა იყოს გაპირობებული.

ბ) ზმნათა პოლისემიისათვის ქართველურში

პოლისემია შედეგია საერთო ენაში იმ მნიშვნელობათა თავმოყრის, რომელიც გააჩნია თავდაპირველი მნიშვნელობის განშტოებას კილოებსა და სპეციალურ ენებში. განშტოებულ

მნიშვნელობათა თავმოყრა შეპირობებულია გარე ენობრივი მოვლენებით, იმ როლით, რომელსაც ენობრივი კოლექტივის ცხოვრებაში ასრულებენ მასში შემავალი ჯგუფები. პოლისემიის კვლევისას ენათმეცნიერების წინაშე დგება წმინდა ისტორიულ-ენათმეცნიერული საკითხი – როგორ და რა კონკრეტულ პირობებში დაემატა სიტყვას ახალი მნიშვნელობა, ან როგორ შემორჩა ძველი მნიშვნელობა ახალთან ერთად.

ენობრივი კოლექტივისა და მისი ქვეჯგუფების ურთიერთობა აისახება ცალკე სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაშიც: სიტყვას სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფში შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობები ჰქონდეს; მათი შეხვედრა საერთო ენაში იძლევა პოლისემიას, ხოლო ტერიტორიულ ჯგუფებში არსებულ ერთგვარმნიშვნელობიან სიტყვათა თავმოყრის შედეგად ვიღებთ სონონიმებს. მონოსემიური, ერთმნიშვნელობიანი ვოკაბულისაგან განსხვავებით პოლისემიურ ლექსიკურ ერთეულს აქვს პირდაპირი (მთავარი, ძირითადი, პირველადი) და გადატანითი (წარმოქმნილი, მეორეული, მოტივირებული, ფიგურალური) მნიშვნელობები. პირდაპირი მნიშვნელობა პარადიგმატული თვალსაზრისით უფრო მყარია და სინტაგმატურად ნაკლებშეზღუდული. ზოგადად პოლისემიური ლექსიკის გაჩენას განაპირობებდა ენის განვითარების შინაგანი ბუნება, დიალექტური განშტოებანი, სიტყვათა სესხება და ფონეტიკური მოდიფიკაცია. საენათმეცნიერო ლიტერატურაში ასევე შენიშნულია, რომ **„ენა ვერ იტანს ომონიმიას (და პოლისემანტიზმს) ვერც ლექსიკურ და, მით უფრო, გრამატიკულ დონეზე.** მეტყველების დონეზე ენა მუდამ ეძებს და პოულობს კიდევაც ომონიმია-პოლისემიის დაძლევის გზას, პოტენციას თავისავე წიაღში, რაშიც არაერთხელ დავრწმუნებულვართ ქართუ-

ლი სახელისა თუ ზმნის სისტემის დიაქრონიული ანალიზისას (მელიქიშვილი, 2014: 54).

ზმნათა მრავალმნიშვნელიანობის თვალსაზრისით საინტერესო აღმოჩნდა დაკვირვება ქართველურ ენებზე; საანალიზო მასალა ამოვკრიბეთ მეგრულის, ლაზურის სვანურის ლექსიკონებიდან, ტექსტური გამოცემებიდან, ცოცხალი მეტყველებიდან, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიდან; პოლისემიურია ლაზურში შემდეგი ზმნები:

ნობუნ – 1. კიდია; მიკიდებული, მიბმულია; 2. ეკიდება, ეტორღიალება (დასდევს); 3) ასხია, აკიდია; 4) გაწამაწიაშია;

ოწედუ-სი, ჯუკალი ქონობუნ (ჩიქობავა II, 119) – „შეხედა, რომ ქვაბი კიდია". მოთ ნობურჲა ბოზოფეს (მარ., 1)-„რატომ ეტორღიალებიო გოგოებს". გჲობუნ ჯას მცხული(სარფ. მასალ.) „ასხია ხეს მსხალი". გოწოვობუ, დიდო დულჲა-ნა მიღუნ, გოწაკიდეი ვორე (ასათ. სარფ. 101);

დოამბარენ (>დვაბარამს) – 1. დაებერება, 2. გაუსივდება; **მბარამს** – 1. ბერავს, 2. ასივებს

ჰალიშ დამარეფ დაბარუდორტუნ (დიუმეზ. 87) „ჰალის ძარღვები დაბერვოდა". ბეეს კუჩხე გვაბალეეტუ (ჩიქობ. I. 112) „ბიჭს ფეხი გაუსივდა". კეტი მეტახუ... ჰიმ კეტითე ჯომბარამს ((ჩიქობ. II. 27) „ჯოხი მოტეხა... იმ ჯოხით ცემით ასივებს".

დიბირუ – 1. იმღერა, 2. ითამაშა, 3. იარშიყა

ბერექ მუზუკას ელოყონუ დო იბირუ (ა.თ. 235) „ბავშვი მუსიკას აჰყვა და იმღერა". კუმარი იბის (იბირს)"(ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, 74). – კარტს თამაშობს. ჰიმსერი ბოზუმოთაშკალა დიბირეს (ჩიქობ. II. 137. 13) „იმ ღამეს შვილიშვილთან იარშიყეს (ითამაშეს)".

ნაგნუ – 1. გაიგო, მიხვდა; 2. გაიგონა; 3. მოიგონა, გაიხ-

სენა;

მუ რტუ, დაჰა ვარ ნაგნერეტუ! (ჩიქობავა – ჭანური ტექსტები, 32) „რა იყო, ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო“. ამუში მარიჩეთეფე მითიქ ვარ ნაგნეფს (ა. თ. 17) „ამის მარიფათებს ვინმე ვერ გაიგებს“. მან, ჯოლორიქ-ნა ლალუფს მუ ზოპონს მევაგნეფ-ჲა (სარფ. მასალ.) „მე, ძაღლი რასაც ამბობს, გავიგებო (მესმისო)“. მუთხანი გვაშინასინტუ, ნენას გჲუძიტუ, ამმა მუ რტუ, დაჰა ვარ ნაგნერეტუ (ჩიქობ. I.) „რაც ახსენდებოდა, ენაზე ედო (ამბობდა), მაგრამ რა იყო, მაინც არ ახსენდებოდა“.

გამალუ – 1. გამოვარდა, 2. გაიღვიძა, (უცებ გამოღვიძება), 3. ჩაიარა, 4. გამოხტა, 5. გასვლა-გამოსვლა;

ქომოლიქ იდუ დო ნთხორუმტუ-ში, სუმ ჩხომი გამალუდორენ (ჩიქობავა, ჭანურის გრამატ. ანალიზი, გვ. 41) „ქმარი წავიდა და რომ თხრიდა, სამი თევზი გამოვარდნილა“. ბოზო გამალუში, დოთანუ-დორტუნ (დიუმეზილი IV, 57) „გოგომ რომ გაიღვიძა, გათენებულიყო. თამო იპარამითით, ბერე მოთ გამალამტას (ჩიქობავა, ჭანურის გრამატ. ანალიზი, 58) „ნელა ილაპარაკეთ, ბავშვმა უცბად არ გაიღვიძოს“. ცხენონი კოჩი-ნა გამალუსთეი, თემბელი კოჩიქ ოხაჩქუს ქოგჲოჭკუ (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 38) „ცხენიანმა კაცმა რომ ჩაიარა, ზარმაცმა კაცმა მაშინვე დაიწყო თესვა“. მა ამუს ვუწუმერ დო სი მოთ გამალა (ა. თ. 67) „მე ამას ვეუბნები და შენ რად გამოხტები (შენ რას უხტები)“. დიკაშ ბერე მუთუთენ ვარ გამალუ (დიუმეზილი IV, 48) „დიკას შვილი, ბავშვი ვერაფრით ვერ გამოვიდა“. გალე ვარ გამამალუ (ა. თ. 67). „გარეთ ვერ გავედი“.

გოლაფუ – 1. შემოვლა; 2. შემოხვევა, შემოვლება; 3. გადავლება:

ფათიშაიშ ოხოიში ეტრაჩის გოილია (კარტოზია – ლაზური

ტექსტები, 156) – „ხელმწიფის სახლის ირგვლივ შემოვიარეო“; კინონი ხეფე არ ალის გომილაფ (ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, 39) – ინიანი ხელები ერთი ყელზე შემომავლე (მომხვიე). ა ნდღას ნანა მუშიქ უწუ-ქი: „არ დუნჲა ქოგუილი-ა“ (ჟღენტ, ჭანური ტექსტები, 131) – „ერთ დღეს დედამისმა უთხრა, რომ ერთი ქვეყანა შემოიარეო“. „ანთეფეს არ ტუცა წკარი გოლაფი„(ა.თ. 67) – ამათ ერთი ცხელი წყალი მოავლე (გადაავლე?)

გექოსუ/ ჯექოსუ – 1. გახვეტა ; 2. წაშალა; 3. გაწმინდა;

ნისაქ ოხორი ქოსუ დო ნოშე დაჩხირიკელე ქამუქოსუ(ა. თ. 11) „რძალმა სახლი ხვეტა და ნაგავი ცეცხლისკენ შეუხვეტა“. მა-ნა ბჭარი ჯებჯირი! ჯებჯირითი ითქვენ, ჯეფქოსი-თი (ჩიქობავა, ჭანურის გრამატ. ანალიზი, 109) „მე რომ დავწერე, წავშალე, წაშლაც ითქმის და გადაშლაც“.

მარტინა მოხთას, ოხოიშ ჭერი გექოსუფან დო კიდაფეთი დოჩხიფან (ა. თ.101)- „მარტინა რომ მოვა, სახლის ჭერს გადახვეტავენ (გაწმენდენ, გაასუფთავებენ) და კედლებსაც გარეცხავენ“.

გოლუ – 1. სიარული; 2. შემოსევა, ალყის შემორტყმა; 3. შემოვლა:

ფირალეფე გულუნან (ჟღენტი,167)- „ფირალები (ყაჩაღები) დადიან “; ჯუმალეფე გულეს ბიჭის (კარტოზია, 172) – „ძმები შემოესივნენ ბიჭს“; „გუიქთეს დო ხოლო კალეს გულეს“ (ყიფშიძე, 3)– „დაბრუნდნენ და ისევ ალყა შემოარტყეს ციხეს“. იდეს, გოხთეს, დუნჲა გუ/ოილეს (კარტოზია, 66) – „წავიდნენ, იარეს, ქვეყანა მოიარეს“. ქჲოჲლუღის მჟუა გუილუ“ (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 47)– „სოფელში მზემ მოიარა“.

ჯანს – 1. ნევს, 2. ძინავს

ჯოლოი კრევეტის გჲუჯანს (კარტოზია, 185) – „ძაღლი საწოლზე უწევს“. ბოზო ლამბას მედვინერი ჯანს (ჟღენტი, ჭანური ტექსტები, 137) – „გოგო ლამპა დანთებული წევს“. ბერე ვარ ჯანს, თოლი ფაყუფს (ა. თ., 728) – „ბავშვს არ ძინავს, თვალს ახამხამებს“.

ოწკე(ნ) – 1. ხედავს, უყურებს, 2. უვლის, უყურებს, მწყემსავს;

ტუჭელი ქოდიქაჩუ-დორენ დო ზუღას მჭიფაშა ოწკენ (დიუმეზილი IV, გვ. 120) – „თოფი დაუკავებია და ზღვას დაწვრილებით უყურებს“. ნოპეტითე ნთხალეფეს ოწკეტეს (ჟღენტი, ჭანური ტექსტები, 115) – „რიგ-რიგობით თხებს უყურებდნენ (მწყემსავდნენ)“.

საინტერესოა, რომ მეგრულსა და ლაზურში პოლისემიურობას იჩენს ზოგიერთი საერთო ძირის ზმნა, მაგ., **ხორცქუ/ხროცქუ** (= წყდება, კვდება, სკდება), **ქოსუნს/ქოსუმს** (=ხვეტავს, შლის, წმენდს), **ჭვარუნს/ნჭვარუფს** (=კაფავს, წმენდს, ჭრის)...

პოლისემიური ზმნები მეგრულში:

ოგურუანს, გურაფულენს- 1.ასწავლის, სწავლობს; 2. დამსგავსება, დამგვანება.

ხანგას ოგურუანდესია დო ჭკვერქჳ დიგურუა „სულელს ასწავლიდნენ და ჭკვიანმა ისწავლაო“. მით ჯგგრო იგურუანს, ინა უჲორს მაგურაფალს (*ი. ყიფშ.*, 116) „ვინც კარგად ისწავლის, ის უყვარს მასწავლებელს“. ბჟა დო თუთას ქოგურაფუ იში ჭირიმა! (*მასალ.*, 17) „მზეს და მთვარეს დამსგავსებია, მისი ჭირიმე!“ ხენწგფეშ სქუას ქოგურაფუქ (*ი. ყიფშ.*, 136) „ხელმწიფის შვილს დამსგავსებიხარ.

დირგუნს – ენერგიული, ძლიერი ქმედება: 1. ჩარტყმა, ჩარჭობა, მაგ., დანის, ხანჯლის; 2. ჩაყოფა ხელისა; 3. შეჯახე-

ბა, დატაკება; 4. ძლიერი, ღონიერი სიარული; ამოსვლა (კვამლისა).

დირგუ ხამუ კიდირს დო მაჟირა განიშე გაკლაჭიბაფუუ – „ჩაარტყა დანა მკერდში და მეორე მხარეს გამოვიდა". ზღვას ქოდირგუ დუდი – „ზღვას ჰკრა თავი (=ზღვაში ჩაყვინთა)". თიქ ხე ვადირგასინი, ვეშეულებუ – „იმან ხელი რომ არ ჩაყოს (ჰკრას), არ შეუძლია". კილე დო კილეშა ქაადირგეს ართიანს – „მკლავდამკლავ შეეჯახნენ ერთმანეთს". მიიშუ შარას, მიიდირგუდუუ – „მიდიოდა გზაზე, ენერგიულად მიდიოდა". კუმა მედირგუნდუ უბედურო ბუხარიშე – „კვამლი ამოდიოდა უბედურად ბუხრიდან".

დაარშუანს – 1. დაქსელვა; აბრეშუმის ძაფით ქსოვის დაფუძნება; 2. მოდება, ძალიან გავრცელება (ავადმყოფობის...).

მუს დაარშუანქგნი, თის მეირშუანა (*ხალხ. სიბრ.,I, 100*) – „რის დათესვასაც დაიწყებ (მოქსოვ), იმასვე გაგიგრძელებენ (მიგიქსოვენ)". ძაფიქი დაარშუუ, მალას პარკუას ქიდიიჭყანს – „ძაფი დააფუძნა (დაქსელა), მალე პარკვას (პარკის გაკეთებას) დაიწყებს".

ოზიზინუანს, ზიზონდუნ – 1. ზიზინება; გავსება მეტისმეტად; გადატ. ჩასივება (ავადმყოფობით). 2. გადამწიფება (ხილისა); 3. ძალზე გაძღომა.

კუჩხიქ დოზიზინდუ – „ფეხი გასივდა". სოიშა ვაგოზიზონდუნი, ვედუ – „სანამ არ გამოძღა მაგრად, არ წავიდა".

ნწალუნს – 1. მოწამვლა; ცუდი, მომწამვლელი სუნის გადმოფრქვევა; გამოშვება; გამოცემა, დაყენება (სუნისა); სულის დალევა (ი. ყიფშ.). 2. რწევა, ნძრევა (მიწისა); მიწისძვრა. // გადატ. დაქცევა. 3. დაშაშხვის წინ ხორცის ცხელ წყალში ამოვლება (შემდეგ ამარილებენ).

მარა არხოს ვემენჭაფუ, კუჩხიგურჭიპუ, შურიგუნწალგ (ი.ყიფშ., 172) – „მაგრამ ახლოს ვერ მისწვდომია, ფეხი გაუჭიმავს, სული დაულევია“. ბრელი იჩიის, რაგადეს დო დიხაქ დინნალუ (მ. ხუბ., 4) – „ბევრი ისაუბრეს, ილაპარაკეს და მინა იძრა“.

ტიღუნს – 1. ჩაკვრა, ჩარტყმა (ხელის, ფეხის) რასიმე. 2. მაგრად ცემა. // გადატ. ხარბად ჭამა დიდი ლუკმებით.

ფაფირს ხე ქოტიღუ- „ფაფაში ხელი ჩაჰკრა“. ღუმუ დო ხარჩო დოპტიღვი – „ღომი და ხარჩო შევჭამე“. შქირენული ხალხი რგილი ჭკის დო ლებიას მიკიტიღუაფუდეს – „მშიერი ხალხი ცივ მჭადსა და ლობიოს ხარბად ჭამდნენ“.

ტუცუნს – 1. ტრუსვა, ტუსვა; ფუფქვა; ტუცვა. 2. ბევრის დალევა (მაგ., ღვინისა). 3. მაგრად დარტყმა.

თულეფი ალდაჩხირს გოტუცეს – „გოჭები ცეცხლის ალზე გატრუსეს“. ხე დუღა წყარს ქოტუცუა- „ხელი მდუღარეში სტუცაო“. უტუცუანს შაქარამ ღვინს- „სვამს (ბევრს) შაქრიან ღვინოს“. ქოტუცუ – „მაგრად დაარტყა“.

ქოსუნს – 1. გვის, წმენდს, ხვეტს. 2. დამხობა, გაქრობა.

ხვალე ქოსუა-წიმინდუა ვაბალუ (ყაზაყ., 26.03.1930, 2)- „მარტო ხვეტა-წმენდა არ კმარა“.

ჩქიმი ჩილამური ვააქოსე სწორეთ დიდი სალფეთქისგ (ი. ყიფშ., 120) – „ჩემს ცრემლს ვერ გაწმენდს სწორედ დიდი სალფეთქი (ხელსაწმენდი)“. ამარ-ემერ იქოსუუ კოჩი იში აკნანჭალა (მასალ., 68) – „აგერ-ეგერ ემხობა (ინთქმება) კაცი მისგან დაფლეთილი“.

ჭვარუნს – 1. კაფავს; გაწმენდა და ადგილის საყანედ გამზადება; მოახოება; ტყე-ჯაგის განგაკაფვა ცეცხლის წაკიდებით. 2. გადატ. რაიმეს თავის სასარგებლოდ კეთება; მცდელობა.

ბურჭულ გეჭოფი, ტყაშა მეუ, ტყასი ოჭვარალი ჭვარი (ქხს, 1, 201) – „წალდი აიღე, ტყეში წადი, ტყეში საკაფი კაფე“. დუდიშე მივანწყუათ ხონუა დო ბარუას, მუნაზიმა დიხეფიში წიმინდუა- ჭვარუას (ქხს, 1, 330) – „თავიდან შევუდგეთ (შევეწყოთ) ხვნასა და ბარვას, მოზომილი მიწების წმენდა-მოახოებას". კოჩი მაღურუუ რდუა დო იშენ მუშოთ ჭვარუნდუა--„კაცი მომაკვდავი იყოო და მაინც თავისთვის ცდილობდაო“. ჩქიმოთ პჭვარუნდი (//ბჭვარუნდი) – „ჩემთვის ვცდილობდი (ვკაფავდი)".

ქართველური პოლიპერსონალური ზმნა, როგორც ცნობილია, ლექსიკურ–სემანტიკურთან ერთად შეიცავს აზრის გამოხატვის ისეთ მორფოლოგიურ საშუალებებს, რომლებიც უცხოა ევროპული ენებისათვის. მე-19 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული დღემდე მკვლევართა მიერ შეკრებილი და გამოცემული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ტექსტური გამოცემები და სალექსიკონო მასალები საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ქრთველურ ენათა ლექსიკის სიმდიდრესა და სემანტიკურ-ეტიმოლოგიურ ასპექტებს. საინტერესო აღმოჩნდა სვანურ ზმნებზე დაკვირვება პოლისემიურობის ასპექტით, გამოიკვეთა შემდეგი ჯგუფი:

ხ-აყა – 1. ჰყავს; 2. აქვს, აბია; 3. ვარგა.

ხ-აშდბა – 1. საქმეს აკეთებს; 2. ეპყრობა, ექცევა.

ხ-აშიდ – 1. შველის; 2. ჲყრია //აყრია.

ხ-აცხნე – 1. ეჩვევა; 2. იჩემებს, აზვიადებს, აჭარბებს.

აჭშხე – 1. ასწორებს, ყალიბში ათავსებს; 2. მკვდრის გაპატიოსნება.

ახანახა – 1. თიბვის დაწყების დღე; 2. ახალმოწეული ჭირნახულის გემოს გასინჯვა.

აჯგრი – 1. აკურთხებს; 2. არიგებს (ჭკუას), რჩევა-დარიგებას აძლევს. ხ-აჯეშ – 1. ჰგავს; 2. ღირს. **ბაცხ/ბეცხ** – 1. დიდი ლხინი, რომელსაც იხდიდნენ მტერზე მნიშვნელოვანი გამარჯვების შემთხვევაში ან ვაჟიშვილის (გადაშენების საშიშროების წინაშე მდგარი გვარის გამგრძელებლის) დაბადებისას; 2. ქელეხი, რიგი. **საყან** – 1. დღეობაზე შესრულებული სიმღერა; 2. (ლშხ.) ქელეხის დროს დიდი რაოდენობით სასმელ-საჭმელის ეზოში დადგმა და არყის სმის წესი მიცვალებულის სახელზე (სიტყვასიტყვით „გასატანებელი"). **საჯაყ** – 1. უცნაური, საოცარი, საკვირველი; 2. ცუდი, უშნო, უხეირო.

ტყარაბურა // ტყარაბულა – 1. წვრილმანი, ფუჭი, თავის გასართობი საქმე; 2. ყბედობა.

ყერ –1. მადლი, ძალა; 2. ნეზვი; 3. ეშურება, გასწევს, მიემართება.

ქართველური ენები პოლისემიური ლექსიკის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ზმნათა მრავალმნიშვნელობიანობის, თვალსაზრისით საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი მასალის შემცველია. ქართველურ ენებში ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა სამომავლო კვლევის საქმეა. ამ ეტაპზე მხოლოდ აღწერით შემოვიფარგლეთ. ქართველურში პოლისემიური ლექსიკის სიუხვე და მრავალფეროვნება, შესაძლოა, ამ ენათა დიალექტური ვარიანტების სიმრავლითაც იყოს განპირობებული.

15. ქართველური რელიგიური ლექსიკის ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი:

ქართველურ ენათა საერთო ტიპოლოგიისა და ერთიანი წარმომავლობის ხაზგასასმელად საინტერესო აღმოჩნდა სემანტიკა-სემასიოლოგიისა და ლექსიკოლოგიის ასპექტები: ენაში აირეკლება ისტორია და თავგადასავალი ერისა, მის ლექსიკურ ერთეულებში შესაძლებელია დავინახოთ ისტორიული მოვლენების კვალი, ასევე ამა თუ იმ კუთხისათვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებების, ადათის, სეპეციფიკის, ეთნოლოგიური თავისებურებების ანარეკლი. საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია თვალსაზრისი, რომ ქართველური ენები საკმაოდ მდიდარია ყოფა-ცხოვრების, რელიგიური დღესასწაულებისა და საქართველოს ამ კუთხეებისათვის დამახასიათებელი თვითმყოფადობის ამსახველი ლექსიკით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ თავისებური და გარკვეული სირთულე ახლავს მათ თარგმნას, ვინაიდან სხვა ენაზე თუნდაც მშობლიურ ქართულზე მათი ზუსტი მნიშვნელობის გადატანა ყოველთვის ვერ ხერხდება. ამჯერად ყურადღება გამახვილებულია რამდენიმე ლექსიკურ ერთეულზე, რომლებიც საქართველოს ამ ძირძველი კუთხეების ყოფითი სპეციფიკის ამსახველია, რელიგიურ-ეთნოლოგიური ფუნქციისა და სემანტიკის მქონეა და გარკვეულ შემთხვევებში ტერმინების როლშიც გვევლინებიან. აქვე მოცემულია ცდა ლინგვოკულტუროლოგიურ ჭრილში მათი შესწავლისა და ქართველურ ენათა ლექსიკონებში ამ ლექსემა-ტერმინთა დაფიქსირება-გაშუქებისა. შესაბამისად, საანალოზო მასალა ამოკრებილია შემდეგი ლექსიკონებიდან: ნ. მარი, ჭანური (ლაზური) ენის გრამატი-

კა, 1910წ. (რუსულ ენაზე); ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ. 1994; ნ. ჩართოლანი, სვანური ტექსტები და ლექსიკა, თბ. 2003წ. ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I ახალწლის ციკლი, თბ. 1939 წ.

იოსებ ყიფშიძის მეგრულ-ქართული ლექსიკონი, „მართალია, თარგმნითი ხასიათისაა, მაგრამ რამდენადმე ეტიმოლოგიური და ენციკლოპედიური ლექსიკონების ნიშნებსაც ატარებს, რაც ზრდის მის საცნობარო და მეცნიერულ ღირებულებას. არსებითად, ენციკლოპედიურ სიტყვა-სტატიებს წარმოადგენენ წარმართულ ღვთაებებთან, უძველეს წეს-ჩვეულებებთან თუ გადმოცემებთან დაკავშირებული ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა: ანთარი, ალანურობა, გოხარჭალაფა, არამ-ხუტუ, კაპუნა/ მირსობა, მესეფი, ჭეჭეთობა და სხვა – აღნიშნავს კორნელი დანელია წინასიტყვაობაში (იოსებ ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი,თბ., 1994, გვ. 9)

1. ალანურობა-მალანურობა (გვ. 397) – ადათი, რომელიც სრულდება 20-21 აგვისტოს ეკლესიის ეზოში ზუგდიდის ოლქის სოფელ ბიაში;

2. ანთარი ჟინი (გვ. 398) – ჟინი ანთარი, მიჩნეულია ღვთაებად, რომელსაც იხსენიებდნენ დიდმარხვისას; ღვთაების პატივსაცემად სწირავდნენ მსხვერპლს.

3. ბარბალობა (გვ. 404) – დღესასწაული წმინდა ბარბალეს პატივსაცემად, რომელიც იმართება 4 დეკემბერს. ამ დღეს აკრძალულია ყოველგვარი შრომა; მეგრელების რწმენით, ამ დღეს მზე ერთი ნაბიჯით იწევს უკან და დღის ხანგრძლივობა მატულობს; ამ დღესვე ირჩევენ მეკვლეს.

4. თუთაშხა (გვ. 438) – თუთაშხა ბედნიერი, ასე უწოდებენ მეგრელები დიდმარხვის პირველ დღეს. მათი რწმენით, ამ

დღეს დაწყებული ყოველი საქმე წარმატებით სრულდება, განსაკუთრებით მოზარდთა განსწავლულობა. ამ მიზნით, ორ წყლიან ტაფას უდგამდნენ იატაკზე ფეხშველა მჯდომ მოზარდს და ჯვარედინად აყოფინებენ შიგ ფეხებს, თან აიძულებდნენ ჩაეხედა გაშლილ ანბანში და აცნობდნენ ანბანის პირველ ასოებს. ამ რიტუალს ოთუთაშხური ერქვა. სადილად ამ დღეს ამზადებდნენ ხოზო-კვარს; ამ ღამესვე ქალწულები მკითხაობდნენ, ჭამდნენ რა მლაშე კვერებს.

5. ერტი (გვ. 436) – წინასწარმეტყველებათა წიგნი, გადმოცემით, ის დაწერილია დიაკვან მირცხულავას მიერ, რომელსაც წინასწარმეტყველად თვლიდნენ. ამ წიგნში ნათქვამია სამეგრელოში დადიანების დინასტიის აღზევებისა და შემდგომში ნითელი ადამიანის გამეფებისა.

6. კაპუნია-კაპუნობა (გვ. 456) – გადმოცემით, კერპის სახელი, რომელიც იდგა იმ ადგილას, სადაც ახლა მარტვილის მონასტერია; ის დამზადებული იყო რკინისაგან, პირდაღებული კაცის სახით, რომელსაც ქურუმები ცოცხალ ბავშებს სწირავდნენ. კაპუნობა იმართებოდა დიდმარხვამდე 10 დღით ადრე. ადამიანის ნაცვლად კერპს სწირავდნენ ამ დღისთვის გამოზრდილ ღორს (ოკაპუნე), მირსობისას თქმულ ლოცვებთან ერთად.

7. კუჩხა (გვ. 467) – ადათი, რომელიც სრულდება 2 იანვარს, სტუმარი წინასწარ შერჩეულია ოჯახის მიერ 4 დეკემბერს, ბარბალობისას.

8. ნაფრა-ნაფურნახა (გვ.490) – რომელიღაცა ღვთაების სახელწოდება, რომელსაც მსხვერპლად სწირავდნენ ჭვავის პურს ყველითურთ ივლისის თვის შაბათს. რიტუალის შესრულებისას დგებოდნენ სახით სამხრეთისაკენ, წინასწარ ამწყვევდნენ ღორებს.

9. ნერჩი- ნერჩიში ხვამა-ოჯუმაშხური (გვ.492) – სალოცავი რიტუალი, რომელიც იმართება ოთხშაბათს დიდმარხვამდე 25 დღით ადრე რომელიღაცა ღვთაების პატივსაცემად.

10. ორთა (გვ.498) – ორი ღვთაების დასახელება: ა) ცხოველთა მბრძანებელი „გალენიში ორთა"(გარეულთა ღვთაება) და ბ) ცის მბრძანებელი „ჟინიში ორთა"(ზედა მბრძანებელი). პირველ ღვთაებას ოჯახის უფროსი გომურში ევედრება საქონლის დაცვას გარეული ცხოველებისაგან; მეორე ღვთაებას კი ზაფხულობით ტყეში მამალს სწირავენ და ღმერთს შესთხოვენ საქონლის დაცვას მეხისაგან.

11. ოხუჯური (გვ. 528) – ამ სახელით სამეგრელოში ცნობილია დღესასწაული, რომელშიც მთელი სოფელი მონაწილეობს. ყველანი დგებიან წრეში და სიმღერის ტაქტზე ირხევიან. თავიდან ქალები გამოეყოფიან კაცებს, შემდეგ- კაცები ქალებს; სიმღერის პირველ ნაწილს ქალები ასრულებენ, მეორეს – კაცები, თან ცდილობენ ერთმანეთს დაასწრონ. ამას ეწოღალას (წართმევა) ეძახიან.

12. გაძიგება (გვ. 578) – სრულდება ყოველთვის ოთხშაბათს დიდმარხვის 24-ე დღეს. ამ დღეს ვახშმად პირველად ამზადებენ ფხალს ჭინჭრისაგან. ახალი წლის დადგომისას სასტიკად აკრძალულია ჭინჭრის სახელის ხსენება, მას უწოდებენ „ოზეში ხოჯს" (ეზოს ხარი). გაძიგებისას კი ჭინჭრის შეიძლება საკუთარი სახელით მოხსენიება.

13. ჭეჭეთობა (გვ. 591) – ამ სახელით სამეგრელოში ცნობილია ელიობისა და ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულებისას შესრულებული რიტუალი. ხალხური გადმოცემით, ქალები და კაცები, რომლებიც ბოროტ სულთან არიან შეკრული, იმ საღამოს მიემართებიან სოფლის შემაღლებული ადგილისაკენ

და ყურს უგდებენ იმას, თუ რა ხდება თანასოფლელთა სახლებში. თუ გაიგონებენ ნაჯახის მსგავსი დარტყმის ხმას, ეს ნიშნავს, რომ იმ სახლში წლის განმავლობაში მამაკაცი გარდაიცვლებოდა; თუ სიმინდის დაფქვის ხმას – ე.ი. ქალი გარდაიცვლებოდა.

14. გოხარჭალაფა (გვ. 602) – რიტუალი, რომელიც დიდ ხუშაბათს სრულდება. საღამოს, ვახშმობის შემდეგ ოჯახში აირჩევენ ქალიშვილს, რომელიც მდუმარედ იღებს თითისტარს და იწყებს შალის ძაფის რთვას. ამ წუთიდან იგი ვერ ილაპარაკებს, ვერც იჩურჩულებს, მიუხედავად იმისა, რომ გარეშემყოფნი ცდილობენ მის ამეტყველებას. შუაღამისას მდუმარე ჩუმად დგება, ჩუმად გადაუხვევს ოჯახის ყველა წევრს ფეხს თავისივე ძაფით, აიღებს, სპილენძის ქვაბს და ხმაურის ატეხით აღვიძებს მთელ ოჯახს. ოჯახის წევრები სასტვენით უერთდებიან მდუმარეს და ხმაურით მთელ ეზოს მოედებიან.

15. ხეხუნჯობა (გვ.613) –ეს დღესასწაული სამეგრელოში 31 დეკემბერს ტარდება. მასში მონაწილეობენ მხოლოდ მჭედლები და ხარატები, რომლებიც ვალდებულნი არიან სამჭედლოში ჰქონდეთ ქვევრი ღვინით სავსე, რომელსაც სწირავენ წმინდა სოლომონს.

16. მირსობა (გვ. 485) – დღესასწაული, რომელიც იმართება დიდმარხვამდე 24 დღით ადრე რომელიღაცა კერპის პატივსაცემად. ღორს, რომელსაც ღვთაებას სწირავენ ომირსეს უწოდებენ.

მირსა (→ მირსობა), მ(ე)ისარონი, ჯეგე-მისარონი: მითრას კულტი ჩაისახა ძველ ინდოეთში („რიგ-ვედა") და სრულყოფილი სახე მიიღო პართულ (ირანულ ენათა ოჯახის ჩრდ.-დას. ჯგუფი) ჰიმნოგრაფიაში („ავესტა", „იეშთ-სადე"), სადაც იგი

წარმოდგენილია აჰურამაზდას (შემოქმედი ყოველივე არსებულისა) უპირველეს თანამებრძოლად, მზისა და სინათლის ღვთაებად, ბოროტების დამთრგუნველად და სიკეთის მფარველად. „მითრას კულტმა განიცადა განსაკუთრებულად ფართო გავრცელება. მითრას სახე დამკვიდრდა (პირდაპირ ან ირიბად) სხვადასხვა კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებსა და რელიგიურ-მითოლოგიურ სისტემებში" (მით. ლექსიკონი, 1990 361). მითრაიზმი სწრაფად გავრცელდა კაპადოკიაში, ხოლო იქიდან მთელ მცირე აზიაში, პონტოს სამეფოში, ბერძნულ-რომაულ სამყაროში (რომის იმპერია) და მხოლოდ ახ. წ. IV ს-ში დათმო პოზიციები ქრისტიანობის წინაშე. „მითრაიზმის ოფიციალურად დამარცხებისა და ქრისტიანობის გაბატონების შემდეგ მითრაიზმი ქრისტიანობასთან შეგუების გზას დაადგა და წმინდა გიორგის სახით მოგვევლინა" (ანდრონიკაშვილი, 1966 : 33).სომხეთში მითრას კულტი დიდი პოპულარობით რომ სარგებლობდა, ამას ადასტურებს მითრას ტაძარი ბაგარავჯში (თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე), სამსხვერპლო მთებში, ვანის მახლობლად (ძვ.წ. I ს.) და სხვ. გარდა ამისა, „Следы почитания М. обнаруживаются: в древнеармянском календаре..., в армянской ономастике (включая топонимику) _ более 150 наименований, производных от имени М. Влияние культа М. после распространения христианства проявилось в армянских духовных песнях, сложившихся в 5-8" (მით. ლექსიკონი, 1990: 336). თეონიმი მითრა ქართულ წერილობით წყაროებსა და აღმ. საქართველოს დიალექტების ფოლკლორში, კულტმსახურებასა და ეთნოგრაფიაში არ ჩანს, მაგრამ მაინც არის ცდა, დასაბუთდეს, რომ მითრას კულტი ცნობილი იყო ქართველებისათვისაც. ქართულ სინამდვილეში პირველი ნ. მარი იყო, რომელ-

მაც ქართული პანთეონის ერთ-ერთი ღვთაება – ზადენი – მითრასთან გააიგივა (მარი, 1901). გამოთქმულია ვარაუდი, რომ ქართული ეპოსის გმირის სახელი ამირანი „იქნებ „ამიჰრან"-ად გამოითქმოდა, რაც, თავის მხრივ, „მიჰრანს"-ს, „ამითრა"-ს, „მითრას"-ს უდრის. „ა" ამ შემთხვევაში ის ძველი თავსართია, რომელიც ეხლაც ასეა მიღებული აფხაზურში" (ჯავახიშვილი, 1951 159). ს. მაკალათიაც გამოთქვამს ვარაუდს, რომ „მითრაიზმის უნივერსალური რწმენა ქართველებშიაც უნდა ყოფილიყო გავრცელებული" (მაკალათია, 1927 183) და მკითხველს წარმოუდგენს რამდენიმე ფაქტორს: მაზდეანური მოძღვრების გავრცელება ქართველთა შორის მითრას გარეშე შეუძლებელი იქნებოდა; მცხეთაში აღმოჩენილი რიტუალური ჭურჭლის ცალ ყურზე ამოკვეთილია ღვთაება მითრას სახე;

მითრა ჩანს მცხეთაშივე აღმოჩენილ ბარელიეფებზე; ქართველი მეფეები ატარებდნენ მიჰრ ფუძის შემცველ სახელებს: მიჰრდატი, მირიანი (← მიჰრან) და სხვ. ყველა დასახელებული არგუმენტი არაარსებითია. ღვთაება მითრას სახელი ქართულ საისტორიო წყაროებსა და აღმოსავლურ-ქართული დიალექტების ფოლკლორში, ეთნოგრაფიაში, საკულტო სალოცავების ტექსტებში, როგორც უკვე აღინიშნა, არ ჩანს. დასავლეთ საქართველოში კი, კერძოდ სამეგრელოში, ფართოდაა გავრცელებული ლოცვა-ვედრებანი, რომლებიც იწყება მიმართვით მირსასა და მირსობისადმი: ა. „წიმდა მირსა! ამუდღა ბხვამულენქ ჩქიმი თოლიში სასინთელოთ..." („წმინდაო მირსა! დღეს ვლოცულობ ჩემი თვალის სიმრთელისათვის..."). (იხ. მაკალათია, 1938:12); ბ. „დღარი მირსობაში მოზოჯუა..." („დღეს მირსობის მობრძანებავ...") (ყიფშიძე, 1994:350). მირსობას კი დღესასწაულობდნენ დიდმარხვის დაწყებამდე 24 დღით

ადრე. სამეგრელოს „სხვადასხვა სოფელში დღესაც დაცულია მირსას ან ჯეგე-მისარონის სალოცავები" (ბაღათურია, 1991 :6). ამას ადასტურებს მითრაიზმის კულტის გადმონაშთის ამსახველი ტოპონიმური მასალა, რაც სამეგრელოში ჩაწერილია ოთხი ათეული წლის წინათ: მირსობა// ნირსობა//ცხვა(ცხვ) ისუკი – ბორცვი სქურჩა-წკვიბღალის წყალგამყოფზე (სოფ. ლეღვინჯილე, წალენჯიხის რ.). 85 წლის ინფორმატორი ესტატე ღვინჯილია გადმოსცემს (5. 10. 69): "უწინ აქ ცაცხვი მდგარა და ყოფილა სალოცავი. ესვენა წმინდა გიორგის ხატი. ღვინჯილიები აქ ამოდიოდნენ და აღნიშნავდნენ ნირსობას, რაც ხდებოდა ზამთარში, თოვლში" (პ. ცხადაია, მირსა (→ მირსობა), მ(ე)ისარონი, ჯეგე-მისარონი სამეგრელოს ტოპონიმიაში, სსუ, ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, III, თბ. 2012წ. გვ. 312-324). მირსობა// ნირსობა//მოგონაში – ბორცვი ტეხურის ნაპირზე, სოფ. ეწერში (ტალერის საკრ., მარტვილის რ.). გადმოცემა: "აქ მდგარა ძველთაძველი თუთის ხე. მასთან მოდიოდნენ მირსობა დღეს, შემოუსხდებოდნენ და ღმერთს შესთხოვდნენ ძროხის დაცვა-გამრავლებას. ამ ხეს ერქვა სამირსო".

ლაზურში:

ბინა – ათინურში, თითოეული სასიმინდეს ოთხი ბოძიდან; შუქრი ეფფენდის მიხედვით, ოთხი ხარიხა კვადრატულად, რომელთა კუთხეებში ჩასმულია სასიმინდეს ოთხი ბოძი. (მარი, 130).

ბოდა – ათინურში ბადე ან ბადურა ვაშლის შესაგროვებლად: ის მაგრდება ჯოხის ბოლოზე; ამ ჯოხს ეწოდება „კალი"; ერთად კი – „ბოდა-კალი"; ბოდა ხოფურში ბადისებრი ტომარა კაკლისთვის და ასე შ. ონილაშე და უუშკური ონილონი..

ო-ბოდალე ხოფ-ში ბადისებრი ტომარა ჩიტის საჭერი ბადის შესანახად: მასში დებენ ბადეს ჩიტებისთვის და „ხარშვა") განხილვისას მოჰყავს ლექსემა გიბერიჩაირი, ასევე გიბიჩაირი, ხოფუსში მოხარშული ბალახიN(როგორც რბილი, მას აძლევენ ძროხებს, როცა ისინი ავად არიან). (მარი, 136).

დუვალი – ხოფ. (ძველად) ბალდახიანი ჯოხებისგან და აბრეშუმის ნაჭრისგან საქორწინო პროცესიაზე; ის ეჭირათ ფეხით მიმავლებს, დედამთილს (მთირე) და ბიძას ან სხვა ახლობელ პირს, პატარძლის თავს ზემოთ. (მარი, 140).

ვირვილი – ვიწურში საბავშვო სათამაშო: ჯოხის ზედა ბოლოზე თარაზულად მაგრდება ღერო გვერდებზე ქაღალდებით; ჯოხის მოძრაობისას ღერო ტრიალებს, (ქარტალიშ ოვრიალონი ხოფ-ში, ოფირფილონი არქბაულ ერთ-ერთ თქმაში.; ოვირვილონი (ასევე ოვილვილონი) ვიწ-ში საბავშვო სათამაშო მთელი, ფრთხილად გამოწმენდილი ორი ნიგვზის კაკლის ნაჭუჭებისგან, რომელთაგან ერთი უფრო დიდია, მეორე კი- მომცრო. მომცრო ღერძზეა ჩამოცმული; ღერძი გაყრილია მეორე, უფრო დიდ, კაკალში გამჭოლად, ამასთანავე ღერძზე დახვეულია ძაფი, რომლის ბოლო გამოტანილია გარეთ და მისი ხშირი მოქაჩვა იწვევს ზედა პატარა კაკლის ტრიალს (კაკალიშ ოვრიოლინი ხოფურში, ოხარხალონი არქაბულის თქმაში). (მარი, 145).

თერმონი – ბერძნ. თერმოს- „ცხელი"; ნ. მარი აღნიშნავს რომ, თერმონი ხოფურსა და არქაბულ-ვიწურში არის კისელი, მომზადებული ყურძნის წვენისგან, აქვე დასძენს, რომ "თერმონზე" ფეიზ-ბეიმ ერთი თურქული ანდაზა ჩააწერინა, რომლის შინაარსი შემდეგია: ლაზური თერმონი მუსულმანს არ ეჭმევაო. თერმინი იგივე ფელამუშია (აღმ. თათარა), რომლის

შესატყვისს ნ. მარი, რა თქმა უნდა რუსულში ვერ იპოვიდა და მიმსგავსებული ტექნოლოგიის საკვები- კისელი მიუსადაგა ასახსნელად. (მარი. 146).

წანგი – ქალის ფეხსაცმელი (ხოფურში) ყვითელი ტყავისგან სამუხლით (ყალონი), შდრ. ჭაპუნი. ნ. მარი აღნიშნავს, რომ ეს ფეხსაცმელი (წანგი) მის დროს უკვე არაა: ხოფაში მისი მასწავლებლის – ალი ეფენდის დედა, 80 წლის მოხუცი ჯერ კიდევ ატარებდა. (მარი, 218).

ჭუკალი – ვიწურ-არქაბულში ერთგვარი თამაშია ჯოხებით, კერძოდ წუკალი არის ხის ჯოხი წაწვეტებული ბოლოებთ: მის ერთ-ერთ ბოლოზე არტყამენ უფრო დიდ ჯოხს (მეტი) და, როდესაც ის ავარდება, უკვე ჰაერში ახალი დარტყმით მოისვრიან შორს; ხოფურის ერთ-ერთ თქმაში წუკალს ჰქვია რიკი, მეტს (დიდ ჯოხს) კი- რიკიშ ბიგა; ხოფაში ეს თამაში ცნობილია სახელით მილონი: წუკალს ჰქვია მილი, მეტს მილიშ ბიგა ან დაფა. ნ. მარს ლაზისტანში უთხრეს რომ ქართულად ამ, თამაშს ეწოდება "ბილა", მისთვის კი ცნობილი ყოფილა გურული სახელწოდება "რიკ-ტაფელა", რიკი-წუკალი, ტაფელა-მეტი; აქვე ავტორი მოიხსენიებს სტუდენტ აკ. შანიძის მიწოდებულ ქართულ ტერმინს "ფილა", რაც აცდენას, წარუმატებლობას ნიშნავს, ზემო იმერეთში, გურიასა და ქვემო იმერეთში იმავე მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინი "ფუწი". ნ. მარი წერს, რომ აქედანაა ქართულში გამოთქმა "ფუწიმე" დამნაშავის (მე დავაშავეს) მნიშვნელობით. ქართლში, დასძენს ავტორი, დიმავე თამაშს ეწოდება ჩილიკა-ჯოხი; ჩილიკა თურქულში სათამაშო ჯოხია, იგივე თამაში სომხურშიც არის. (მარი. 222).

ჭანდ – ოჭანდუ ვიწურ არქაბულსა და ათინურში მიწვევას, მოსაწვევს ნიშნავს; ხოფურში ერთგვარი საქორწინო პროცე-

სიაა: როცა საქორწინო პროცესია პატარძლითურთ მიუახლოვდება სასიძოს სახლს (სტელო-ს), დედამთილი, მაზლი, მული, პატარძალს შეაყრიან ფულს (ფარა ნობრაფან); "-ინ" სუფიქსით ოჭანდ-ონ უ ათინურში ინსტრუმენტზე დაკვრას ნიშნავს, ხოფურში ვოჭანდინარე კი მოწვევას. (მარი, 223).

ხარო – ქართულიდან ვიწურში ოთხკუთხა განყოფილება კუთხეში ან სასიმინდეს რომელიმე კედლის გასწვრივ, ხილის, პურის და სხვა საკვების შესანახად. (მარი, 229). ჰო- ხარულე – ყუთი სიმინდისთვის, რომლიდანაც ის იყურება დოლაბში; ვიწურში – ოხარე, შდრ. ჰო-მ-ქირალე (ქუერი) (მარი, 229).

სვანური:

შეშხუ̈მ/შუშხუ̈მ – (<ლი-შხუ̈მე); ახალწლის წინა დღე, რომლის განმავლობაში საახალწლო სამზადისი მიმდინარეობდა, ოჯახის მამაკაცი ტყეში ჭრიდა ნაძვისა და მრავალკვირტიანი თხილის ტოტებს, აგრეთვე არყის ხეს. თხილისა და ნაძვის ტოტების კონას გვიზი (გუ̈ზ) ეწოდებოდა, ხოლო არყის ხეს – ხული (ჴულ) ერქვა. იმ დღეს ირჩევდნენ მეკვლეებსაც.

კუ̈იმტობ – ამ დღეს სრულდებოდა ახალწლის წეს-ჩვეულება: „ხელის შენაცვლება", (შ̄მი ლიფშუ̈დე//ლიცა̈დი) ქალები ერთმანეთს უცვლიდნენ პურის ფქვილს, კაცები – ფულს.

ლიფშა̈ნა̈ლი – (ლი-ფშა̈ნ-ა̈ლ-ი); მიცვალებულთა სულების მოსახსენებელი დღეობა. სვანების რწმენით ამ დროს მიცვალებულთა სულები სასულეთიდან (ლაქუნ) მოდიოდნენ სტუმრად ამქვეყნიურ საცხოვრებელში, ამიტომ ოჯახში ამ დროს იმართებოდა ლიფანალი, რომელიც საოჯახო დრესასწაულთა შორის ერთ-ერთ უმდიდრეს დღესასწაულს წარმოადგენდა. ზემო სვანეთში ლიფანალი იწყებოდა წყალკურთხევის (განცხ-

დაბ) წინა დღეს– 5 იანვარს, (ძვ. სტილი) და უახლოეს ორშაბათს მთავრდებოდა. (ჩართოლ. სვან. ტექსტ. 2003:175). ლიფჯნე – ტაბლების დადგმა დალოცვით მიცვალებულთა სულების სახელზე. გლიფანეს წეს-ჩვეულება დამყარებული იყო შეხედულებაზე რომ სული გარდაცვალებიდან ერთი წლის განმავლობაში თავის ოჯახს არ სცილდებოდა, ამიტომ მას სასმელ-საჭმელს შინ მიართმევდნენ, უწყობდნენ ლიფანეს – რიტუალურ პურობას, რომელიც შინ იმართებოდა, (ისევე როგორც კონჩხჯარ, კათხ-ტაბჯგ, ბჯცხ, ლუხორ...)

